

გელა გამყრელიძე თემურ თოდუა

რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია
საქართველოში

Gela Gamkrelidze Temur Todua

**MILITARY-POLITICAL EXPANSION OF ROME
IN GEORGIA**

Written and Archeological Sources, Stamps,
Military-Political history
(the 1th cent. BC – 4nd cent. AD)

საუნივერსიტეტო გამოცემა Universitien G.T. Press

თბილისი 2006 Tbilisi

UDC 947.922:902/904(479.22) 3198

რედაქტორი: *ი.მ.დ.* გრანი ქავთარია,
თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები: *ი.მ.კ. დოცენტი* ემზარ კახიძე

ი.მ.კ. დოცენტი ზურაბ ბრაგვაძე

ი.მ.კ. ვერა თოლორდავა

© გამყრელიძე გ., თოდუა თ.

ISBN 99940-58-63-0

წინასიტყვაობა

ანტიკურ ეპოქაში ძველი საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთის და იბერიის სამეფოებმა მოიპოვეს, რომელთა ადგილსა და საფუძველზეც მომავალში წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო - საქართველო. წინამდებარე წიგნში ძველი საქართველოს და რომის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაა განხილული. ჭერილობითი წყაროების (იხ. სტრაბონი, ტაციტუსი, აპიანე, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.), არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემების ურთიერთშედარების და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება საქართველოში რომაელთა ყოფნის პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მეტ-ნაკლები აღდგენა-წარმოდგენა. ძველი საქართველოს და რომის კონტაქტების კვლევა ფრიად მნიშვნელოვანია. კონკრეტულად ნაშრომში განხილულია რომაელების საქართველოს ტერიტორიაზე პირველი გამოჩენის პერიპეტიები და ადგილობრივი მოსახლეობა; იმპერიის ეპოქაში პონტოკავკასიის სასაზღვრო სისტემის ხასიათი, ჩამოყალიბების ეტაპები; კოლხეთის ზღვისპირეთში რომაული სამხედრო შენაერთების დისლოკაციის დრო, ხასიათი, შეიარაღება და სხვ.

ბოლო წლებში ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ახალი ნაშრომები გამოჩნდა, რაც ამ ეტაპზე საშუალებას იძლევა გვიანანტიკური ხანის (რომაული პერიოდის) საქართველოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პერაპეტიებს ისტორიულ-შედარებითი განვითარების ჭრილში დაეაკვირდეთ. წიგნში, საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მიმდინარე მასალა შესწავლილია სტატისტიკურ-ტიპოლოგიურად. აღნიშნული არქეოლოგიური

მონაცემები შეგვერებულა წერილობით წყაროებთან. საქართველოს მოცემული პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის წყარომცოდნეობის და არქეოლოგიის საკითხები არა ერთმა მეცნიერმა განიხილა. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოცემული პრობლემატიკის კვლევის საქმეში. წიგნში ხსენებული ნაშრომები დამოწმებულია შესაბამის საკითხებზე მსჯელობისას. სამწუხაროდ, წიგნში მოცემული თემატიკის ყველა საკითხი, მონაცემების ნაკლებობის გამო, თანაბრად არ არის წარმოდგენილი.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების, სტუდენტების, დოქტორანტებისა და საერთოდ საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

საისტორიო წყაროები

საქართველო-რომის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის კონსტრუქციისათვის უპირველესი მნიშვნელობა ქართულ და ხოლო საისტორიო-ლიტერატურულ (წერილობით წყაროებს), ქეოლოგიურ მონაცემებს, ეპიგრაფიკულ ძეგლებს ენიჭება.

საქართველოს ისტორიისათვის და კერძოდ, მისი სამხედრო-ლიტეკური ისტორიისათვის ძირითად ქართულენოვან რილობით წყაროს წარმოადგენს "ქართლის ცხოვრების" თ-ერთი ნაწილი - "ცხოვრება ქართველთა მეფეთა და ზველთაგანთა მამათა და ნათესავთა" (ქართლის ცხოვრება - 1955, გვ. 3-138), რომლის შემდგენელ-გადამწერია ზთველი სწავლული ლეონტი მროველი (გაფრინდაშვილი, 61, გვ. 239). ის თავის მხრივ წინამორბედთა მრავალფერო-ნი წყაროებით სარგებლობდა, რომლებსაც ტექსტში ასახე-ბს - "წიგნი ბერძენთა," "მოქცევაი ბერძენთა," "ცხოვრება რსთა"; აგრეთვე "მოქცევაი ქართლისაი" და სხვ.

ლეონტი მროველი ქართულად და უცხოურად დაწერილი ჯდასხვა თხზულებებითაც სარგებლობდა, რომელთაგან გიერთი შესაძლოა ფარნავაზიანთა ეპოქის დროინდელიც კი ი. "ცხოვრება ქართველთა მეფეთაში ..." მოყვანილი ცნობების რსონაჟების, პუნქტების და სხვ.) უმეტესი ნაწილი, ახალი ქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადღეისოდ დოკუმენ-რად დადასტურებულია. მაგ.: ციხე-ქალაქები - ნასტაკისი, კინე, ციხე-გოჯი, არმაზციხე, შორაპანი, დიშნა; ისტორიული სსონაჟები - არტაგი (არტოკე), ფარსმან I, ფარსმან ქველი, რიდატე (მიპრდატი), ამაზასპი.

არქეოლოგიურად აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ტურდება ისტორიულ პირთა სახელები: მეფე ფარსმანი სენებია 75 წლით დათარიღებულ ე.წ. ვესპასიანეს წარ-აში, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს "ზაქესთან" ოჩნდა (ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 241). აქვე იხსენიება მეფე რიდატე (მიპრდატე). ის აგრეთვე იხსენიება ე.წ. № 1 წერაში, რომელიც არმაზში აღმოჩნდა (წერეთელი, 1942, 42).

მეფე მითრიდატე მოიხსენიება ქ. რომში აღმოჩენილ წარწერაშიც (ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 245). მეფე ფარსმანი ფიგურირებს ქ. რომის ნავსადგურ ოსტიაში აღმოჩენილ წარწერაში (გამყრელიძე, 1982, გვ. 148). იგივე მეფე ნახსენებია მცხეთაში, არმაზში არქეოლოგიურად გათხრილ ე.წ. "არმაზის ბილინგვაზეც." ამავე ბილინგვაზევე მოხსენიებულია "იბერთა დიდი მეფე ქსეფარნუგი" (წერეთელი, 1942, გვ. 16). "იბერთა დიდი მეფე ამაზასპე" მოიხსენიება 1996 წელს არმაზციხე-ბაგინეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ წარწერაში (ყაუხჩიშვილი, 1998, გვ. 12).

"ცხოვრება ქართველთა მეფეთაში..." ნახსენებ ისტორიულ პირთა მოქმედებანი მრავალგზის აღინიშნება და აღიწერება აგრეთვე ბერძნულ-ლათინურ წყაროებში. მაგ.: იბერიის მეფე არტაგს (არტოკეს) ძე.წ. 65 წელს პომპეუსის იბერიაში ბრძოლების აღწერისას ახსენებს - აპიანე (მითრიდატიკა, 103, 117), დიონ კასიუს კოკეიანოსი (რომის ისტორია XXXVII, 1; დიონ კასიუსი, 1966, გვ. 59). მეფე ფარნავაზს და მეფე მითრიდატეს ახსენებს დიონ კასიუსი (რომის ისტორია XIX, 24; VIII, 26). მეფე ფარსმანს - ტაციტუსი (ანალები, VI, 33, 34; გამყრელიძე, 1973, გვ. 55-56); დიონ კასიუსი (რომის ისტორია VIII, 26). მეფე ფარსმან II-ს იხსენიებს ფლავიუს არიანე (პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო, 11; ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 42); დიონ კასიუსი (რომის ისტორია XX, 2); აელიოს სპარტიანეს ადრიანოსი (Latyshev, 1904, გვ. 293); იული კაიბოლინი (ანტონიუსი ...9; Latyshev, 1904, გვ. 294).

ეპიგრაფიკულ და წერილობით წყაროებში ნახსენები იბერიის მეფეები ქართლში სამხედრო საქმის ხელმძღვანელორგანიზატორები იყვნენ. მეფე ფარნავაზის მიერ გატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო იბერიის (ქართლის) სამეფოს - "მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24; 6-8). შემდგომ ეს რეფორმები ფარნავაზიანთა დინასტიის სხვა მეფეებმა განაგრძეს.

მნიშვნელოვანია, რომ ფარნავაზი, იბერიის მეფე, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებელი (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის პირველი ნახევარი), ნახსენებია არქეოლოგიურად აღმოჩენილ ე.წ. არმაზის ბილინგვის არმაზულ-არამეულ ტექსტში. კერძოდ, მე-8 სტრიქონში. უწინ ამ სიტყვის გაშიფრვა არ ხერხდებოდა. ახლა აქ სახელ - ფარნავაზის ამოკითხვა, მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ, ერთხმად არის გაზიარებული (იხ. გიორგაძე, 1986, გვ. 151; წერეთელი, 1992, გვ. 33).

"ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა" - ერთად საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა "მოქცევაი ქართლისაი" (იხ. ძველი ქართული ... 1963, გვ. 81-163). მასში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თხზულების პირველი ნაწილი, სადაც მოკლე ქრონიკის სახით ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიაა გადმოცემული. აქვე მოთხრობილია იბერიის მეფეების სამხედრო-ფორტიფიკაციის, ზღუდე-ციხეების მშენებლობის ამბები. "მოქცევაი ქართლისაიში" მოყვანილი ისტორიული ცნობების რეალობა ისევე, როგორც "ქართლის ცხოვრებისა," არქეოლოგიური, ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროებით და ეპიგრაფიკული მონაცემებით დასტურდება. ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ "მოქცევაი ქართლისაი" შედგენილია V ს-ში (Обращение Грыз. ... ჩხარტიშვილი, 1989, გვ. 14).

საქართველო-რომის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის კვლევა-ძიებისას გამორჩეული მნიშვნელობა ბერძნულ-ლათინურ-ენოვან წყაროებს ენიჭება. საყურადღებო ცნობებია დაცული, ქართველური მოსახლეობის სამხედრო-პოლიტიკური ქმედებების შესახებ, ძვ.წ. I ს-ის ისტორიკოს დიოდორე სიცილიელის თხზულებაში - "ისტორიული ბიბლიოთეკა" (ყაუხჩიშვილი, 1976-7, გვ. 37-117). ის წინამორბედთა თხზულებებს იმორწმებს. კერძოდ - აპოლოდოროსს, ეფოროსს, აგათარქიდესს, არტემი-ლოროსს და სხვ.

მნიშვნელოვანია ძვ.წ. I ს-ის ავტორის, მცირე აზიაში დაბადებული მემნონის "პერაკლესის ისტორია" (ყაუხჩიშვილი, 1962, გვ. 137-194). მასში ის პონტო-რომის ომების ისტორიას გადმოგვცემს. შესაძლოა, მემნონი ამ ომის მომსწრეც კი იყო. ის აქვე მითრიდატე ეპატორის დასავლეთ კოლხეთში

მოქმედების და იბერთა მეფესთან სამხედრო-პოლიტიკურ შეთანხმება-ხელშეკრულებაზე მოგვითხრობს (გამყრელიძე, 1985, გვ. 50).

ისტორიოგრაფიაში სანდო და პოპულარულ ავტორად არის მიჩნეული ბერძენი მწერალი, კოლხეთთან ახლო, სამხრეთ შავიზღვისპირეთში, მდ. იეშილ-ირმაქთან მდებარე ქალაქ ამასიაში დაბადებული სტრაბონი (ძვ.წ. 64-ახ.წ. 24 წწ.). ის ბრწყინვალე წარმომავლობის (მითრიდატე პონტოელის სარდლის დორილაოსის და კოლხეთის მმართველის მოაფერნეს ნათესავი იყო), კარგი განათლების მქონე ნიჭიერი პიროვნება გახლდათ. სტრაბონს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეჭირა და ბევრს მოგზაურობდა. ივარაუდება, რომ ის კოლხეთშიც არის ნამყოფი. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სქელტანიანი თხზულება-ნაშრომი "გეოგრაფია" (ყაუნჩიშვილი, 1957), რომლის წერისას ის იყენებს სხვადასხვა დღევანდლამდე მოუღწეველ წყაროებს - პოსეიდონიოსს, თეოფანე მიტილენელს, პიფსიკრატეს, აგრეთვე ევრიპიდეს და სხვ.

სტრაბონის "გეოგრაფია" საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, შედარებით ვრცელი წყაროა. ჩვენთვის საყურადღებოა მასში მოცემული სამხედრო-პოლიტიკური მონაცემები. კერძოდ, სამხედრო-საზღვაო მოქმედების: საბრძოლო ნაევების, კამარებისაგან შემდგარი ფლოტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად კოლხეთიდან აჰყავდათ საზღვაო ძალებში სამსახურისათვის ხალხი. ოლხეთიდან გაჰქონდათ სტრატეგიული ნედლეული - გემთსაშენი მასალა (ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი). სტრაბონის მიხედვით იბერია-კოლხეთში იყო გამაგრებული ციხე-ქალაქები - სარაპანა (შორაპანი), ჰარმოზიკე (არმაზციხე), სევსამორა (წიწამური), იღვესა.

სტრაბონის მიერ დასახელებული გამაგრებული პუნქტები არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა. სტრაბონი გადმოგვცემს იბერიის სამეფოს სამხედრო ფენაზე და მათ ხელმძღვანელებზე; მოგვითხრობს მამაც და ძლიერ სვანებზე, რომელთაც საომრად მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანა შეუძლიათ. სტრაბონი საუბრობს სპეციფიკურ იარაღზე, შხამიან ისრებზე, რომლის მოხვედრის შემთხვევაში მოწინააღმდეგეები სწრაფად კვდებიან. აქვე ცნობებია მთიელი მებრძოლი იბერების

შესახებ, რომლებსაც ომიანობის დროს "შრავალი ათასი" მეომრის გამოყვანა შეუძლიათ; იბერები შეიარაღებულები არიან ტყავის აბჯრებით, შუბებით, მშვილდებით და სხვ.

სტრაბონთან მოთხრობილია მითრიდატე ევპატორის, კომპეუსის, ფარნაკეს, მითრიდატე პერგამონელის ბრძოლების შესახებ. სტრაბონი XI, III, 6 თავში დასძენს, რომ იბერიის სამეფო სოციალურ-იერარქიულად სტრატეფიცირებულია (იხ. ვაშაკიძე, 1991, გვ. 134). იერარქიული კიბის თავში გამაერთიანებელი ხელისუფალი, მეფე იღგა. მას მოსდევდა არისტოკრატია, "მოსამართლეები, სარდლები, ქურუმები;" შემდეგ "მეომრები და მიწათმოქმედები."

საინტერესო ცნობები აქვს ბერძენ ავტორს პლუტარქეს (46-120 წწ.) თხზულებაში "პარალელური ბიოგრაფიები" (პლუტარქე, 1975), რომლებიც ძირითადად "ლუკულუსის," "პომპეუსის" და "ანტონიუსის" ბიოგრაფიების თხრობისას გვხვდება. პირველ ორ თხზულებაში აღწერილია რომაელი სარდლების ლუკულუსის და პომპეუსის ომები მითრიდატე ევპატორთან. ამ ომებში ჩართული იყო იბერია და კოლხეთი. პლუტარქე მოგვითხრობს იბერიის სპეციალური შუბოსანი რაზმის შესახებ. ისინი, მისი აზრით, საუკეთესო და სანდო მებრძოლებად იყვნენ მიჩნეული. აქვე აღწერილია პომპეუსის საბრძოლო მოქმედებები იბერიის სამეფოში და შემდგომ, კოლხეთში. კოლხეთში, მდ. ფასის-რიონის ზღვასთან შერთვის ადგილას, მას ელოდებოდა სერვილიუსი თავისი სამხედრო ფლოტით.

ძველი საქართველოს და, კერძოდ, ჩვენი შესასწავლი თემის შესახებ, მნიშვნელოვანი მონაცემები მოუპოვება რომაელ ისტორიკოსს, კორნელიუს ტაციტუსს (50-117 წწ.). მას საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული და გარკვეულ პერიოდში აზიის პროვინციის პროკონსულის თანამდებობაც ეუჭირა. კორნელიუს ტაციტუსი თავის თხზულებებში ეყრდნობა პირველწყაროებს. მას ხელი მიუწვდებოდა რომის სენატის სხდომების ოქმებზე, სახელმწიფო დოკუმენტებზე, სასამართლოს ოქმებზე და სხვ.

ტაციტუსი, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაცემებს გადმოგვცემს თხზულება "ანალებში" (გამყრელიძე, 1973), სადაც ძირითადად აღწერს მის თანადროულ მოვლენებს

და მათ კრიტიკულად განიხილავს. ზოგიერთი ცნობა ძველი საქართველოს შესახებ მხოლოდ ტაციტუსის თხზულებებში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ტაციტუსის თხრობის მთავარი ობიექტი რომაული სამყაროა, მაინც მცირე აზია : კავკასიის ამბებს საკმაო ადგილი ეთმობა.

იბერია-კოლხეთში მიმდინარე მოვლენები ტაციტუსთან განხილულია რომი-პართიის ურთიერთჭიდილის ფონზე. ტაციტუსის "ანალებში" მოიპოვება ცნობები მცირე აზია-კავკასიაში რომაელთა ლეგიონების განლაგების; კორბულონთან ერთად იბერების ბრძოლის; კავკასიონის ქედზე სტრატეგიული გადასასვლელების; იბერიელთა მეფის ძმის მითრიდატეს ქრომში ყოფნის; იბერიის მიერ არმენიის ქალაქ არტაქსატას (არტაშატის) აღების; პართელთა და იბერიელთა, მეფე ფარსმანის და სარდალ ოროდის ურთიერთბრძოლის შესახებ. აქვე აღნიშნულია იბერიელი მეომრების ამტანობის, მამაცობის და ბრძოლის ასპარეზის კარგად ცოდნის; იბერიის მეფის ფარსმანის ბრძოლის წინა სიტყვიერი მიმართვა-მოწოდების; იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე პართიის მეფის არტაბანის სამხედრო ბრძოლა-ოპერაციების შესახებ.

ტაციტუსის თხზულებაში ფრიად საყურადღებოა ანიკეტის ამბოხის ისტორია. ანიკეტი ადრე სამეფო ფლოტის მეთაური და გველენიანი პირი იყო. მან მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის (შესაძლოა ქართველურის) გადაბირება, აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი და იქ რომაელთა კოპორტა გაჟლიტა. სამწუხაროდ, ამ მოვლენების გადასამოწმებლად სხვა წყარო არ გაგვაჩნია.

მოცემული თემისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული რომაელი ისტორიკოსის აპიანეს (90 - 170 წწ.) თხზულებაში "რომის ისტორია." მასში განსაკუთრებით საყურადღებოა XII წიგნი - "მითრიდატიკა" (აპიანე, 1959), რომელიც პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორის ომების ისტორიას გადმოგვცემს. ამ მონაკვეთის მიხედვით სამეფო არა მხოლოდ ტერიტორიულად იყო ახლო იბერია-კოლხეთთან, არამედ ძირითადად ქართველური მოსახლეობით იყო დასახლებული.

აპიანეს წყაროებად მიჩნეული არიან - პოლიბიოსი, დიონისიოსი, ფაბიუს პიქტორი, ტიტუს ლივიუსი, იულიუს

კეისარი, პლუტარქე, დიოდორე, სალუსტიუსი. აპიანე მნფორმაციას გვაწვდის: მითრიდატე-პომპეუსის ბრძოლების; დასავლეთ კოლხეთში მითრიდატეს მოქმედებების და დიოსკურიაში (სოხუმში) გამოზამთრების; იბერიის მეფის არტოკეს 70.000 მეომრიანი ჯარის; პომპეუსის და იბერიის იმეფე არტოკეს მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყართან ბრძოლების; პომპეუსის რომში ტრიუმფის შესახებ, სადაც წახსენებია კოლხთა სკეპტუხი ოლთაკე და იბერთა სამი იმეთაური; პომპეუსის მიერ კოლხეთში გამგებლად დანიშნული არისტარქეს (აღმოჩენილია არისტარქეს სახელით მოჭრილი ეპერცხლის მონეტები); იბერიელთა აღჭურვილობის და საომარი ტაქტიკის შესახებ და სხვ.

სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესახებ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მონაცემებია შემონახული არიანეს თხზულებაში - "შავი ზღვის გარშემო პერიპლუსი" (ფლავიუს არიანე, 1961), რომელიც იმპერატორ ადრიანესადმი გაგზავნილ სამხედრო-სამსახურებრივ ანგარიშს წარმოადგენს. ფლავიუს არიანე (95 - 175 წწ.) დაიბადა მცირე აზიის ქალაქ ნიკომედიაში, წარჩინებულ ოჯახში. მან კარგი განათლება მიიღო. არიანემ წარმატებული სამხედრო კარიერა გაიკეთა. ის 131-137 წწ. კაპადოკიაში რომის იმპერატორის ლეგატი იყო და ამ პროვინციას სამხედრო-ადმინისტრაციულად მართავდა. "პერიპლუსი," არიანეს მიერ, მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით საინსპექციო დათვალიერება-საქმიანობის ანგარიშია, რომელიც გაეგზავნა იმპერატორ ადრიანეს. არიანემ ქალაქ ტრაპეზუნტიდან ქ. სებასტოპოლისამდე (დღევანდელი სოხუმში) პირადად მოიარა შავი ზღვის სანაპირო და ზოგიერთი გამაგრებული პუნქტი დაწვრილებით აღწერა. ქ. სოხუმში არიანეს ლეგატობის დროინდელი საინსპექციო საქმიანობის დამადასტურებელი, ქვაზე ამოკვეთილი წარწერაა აღმოჩენილი (იხ. Ломоури, 1981, გვ. 25 და იქ დასახ. ლიტ.).

არიანეს "პერიპლუსის" დიდი ღირსებაა ის, რომ ავტორი თვითმხილველია იმისა, რის შესახებაც მოგვითხრობს. არიანეს მიხედვით, აფსაროსი (დღევანდელი გონიო) იმპერიის სასაზღვრო სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია. აქ ხუთი კოპორტა იყო განლაგებული. მეომრებს იარაღ-

საჭურველი საკმაო რაოდენობით ჰქონდათ. აფსაროსის ციხესიმაგრეს მტკიცე კედლები ჰქონია, რომლებიც თხრილებით ყოფილა გამაგრებული. აქვე სამხედრო ჰოსპიტალი და სურსათის სტრატეგიული მარაგის შესანახი ნაგებობები იყო.

არიანე, ფასისის (ფოთის) ციხესიმაგრეზე საკმაოდ დაწერილებით ცნობებს გვაწვდის (იხ. დაწვრ. გამყრელიძე, 2002, გვ. 70-110). ის, ციხესიმაგრის მოხერხებულ-მიუღვამელ თავდაცვით განლაგებაზე მიუთითებს. მოიხსენიებს საფორტიფიკაციო კედლებს და კოშკებს, რომლებზედაც "სამხედრო მანქანებია განლაგებული." აღნიშნავს ციხესიმაგრის კედლებთან ორმაგი თავდაცვითი თხრილის არსებობას. აქვე მიუთითებს ციხესიმაგრის დამცველი ოთხასი რჩეული მეომრის და პენსიაზე გასული მეომრების შესახებ. არიანე მოგვითხრობს, აგრეთვე ადგილობრივ მებრძოლთა რაზმებზე, რომლებიც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდნენ ქალაქ ფასისში გამაგრებულ რომაელებს. არიანეს ხელმძღვანელობით ციხესიმაგრე ფასისში სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო სამუშაოები ჩატარებულა.

სებასტოპოლისის (სოხუმი) ციხესიმაგრეში ყოფნისას არიანე აღწერს ჯარის მდგომარეობას; ციხესიმაგრის ფორტიფიკაციას; მებრძოლთა სურსათით და იარაღ-საჭურველით მომარაგების მდგომარეობას და სხვ. არიანე გადმოგვცემს: "იმავე დღეს მოხერხდა ჯარისკაცებისათვის გასამრჯელოს მიცემა, ცხენების და საჭურველის დათვალიერება, ცხენონების ვარჯიში; დაჭრილ-ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება; ციხესიმაგრის კედლისა და თხრილის შემოვლად-დათვალიერება" (ფლავიუს არიანე, "პერიპლუსი ..." 10).

არიანეს თხზულებაში "აღანთა წინააღმდეგ" დაცულია მნიშვნელოვანი ცნობა კოლხთა სამხედრო რაზმის შესახებ - "ჰოპლიტთა შემდეგ მოკავშირეთა ჯარი დაეწყოს. ისინი, რომლებიც მცირე არმენიიდან არიან, ჰოპლიტები ტრაპეზუნტიდან; კოლხები და რიზელი შუბონები" (არიანე, "აღანთა...", 7).

დიონ კასიუსი ისტორიოგრაფიაში ძირითადად სანდო და მცოდნე ისტორიკოსად არის მიჩნეული. კასიუს დიონ კოკეიანუსი (153-235 წწ.) მცირე აზიის ქალაქ ნიკეიიდან იყო წარმოშობით. დაიბადა და აღიზარდა წარჩინებული სენატორის ოჯახში, მიიღო კარგი განათლება. მისი კარიერა წარმატებული

გამოდგა; კონსული და იმპერატორთან დაახლოებული პიროვნება იყო. დიონ კასიუსის თხზულებებიდან მხოლოდ "რომის ისტორია" შემორჩა (დიონ კასიუსის ... 1966). ეს ნაწარმოები ძირითადად რომის სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიას მოიცავს, სადაც ყურადღება, უპირატესად ფაქტების გადმოცემაზეა გამაზვილებული, ხოლო მოვლენების ახსნა-განმარტებები შედარებით უკანა ადგილზე დგას.

საქართველო-რომის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა დიონ კასიუსის თხზულების ის მონაკვეთები, სადაც ტრანსკავკასიაში რომის სამხედრო მოქმედებებია აღწერილი. მათში განსაკუთრებით ვრცლად რომი-პონტოს სამეფოს მესამე ომი, ლუკულუსისა და პომპეუსის ბრძოლებია გადმოცემული. აქვეა იბერიაში და კოლხეთში პომპეუსის ლაშქრობის ამბები. კერძოდ, დიონ კასიუსს, ყველა დანარჩენ ავტორებთან შედარებით, ვრცლად აქვს მოცემული პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის მარშრუტი და პერიპეტიები; იბერიის მეფე არტოკესთან ომი და შემდეგ დიპლომატიური მოლაპარაკება. დიონ კასიუსი ასახელებს იბერიის რამდენიმე მეფეს. აქვე, იბერიის მეფის, არტოკეს, ჯარის საომარი ტაქტიკაა აღწერილი. დიონ კასიუსს აგრეთვე მოეპოვება საყურადღებო ცნობა იბერიის მეფე ფარსმან ქველზე.

რომის ისტორიის და კერძოდ, მისი საქართველოში სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების შესახებ მოკლე, ირიბ ცნობებს გვაწვდიან სხვა ავტორებიც. კერძოდ: პომპონიუს მელა, იოსებ ფლავიუსი, კლაუდიოს პტოლემეაიოსი, დიონისიოს პერიგეტი, ლუკიანე სამოსატელი, პომპეიუს ტროგუსი, გაიუს პატერკულუსი, მარკუს მანილიუსი, ლუციუს სენეკა, კვინტუს რუფუსი, გაიუს პლინიუს სეკუნდუსი, გაიუს სევეტონიუს ტრანკვილი (იხ. Latyshev, 1904), მოვსეს ხორენაცი და სხვ. აღნიშნულ წერილობით წყაროებში მწირი ცნობებია შემონახული. მათში, ზოგჯერ ძნელი გასარჩევია ნამდვილი და გამოგონილი, მითიური, ხოლო ნაწილში კი ცნობათა უმრავლესობა ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს და ერთსა და იმავეს იმეორებს.

წყარო-მონაცემთა შორის ეპიგრაფიკულ მასალას თითქმის დოკუმენტის ღირებულება გააჩნია. ჩვენ თემატიკასთან დაკავშირებული წარწერები უმეტესად შესრულებულია ქვაზე

ან ლითონზე და ხშირად არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული.

ნაქალაქარ ეშერის (ქ. სოხუმის ჩრდილოეთით 8 კმ-ზე) მონუმენტური ნაგებობის არქეოლოგიური გათხრებისას ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხები აღმოჩნდა, რომელზედაც ბერძნულად შესრულებული წარწერაა. ასოების სიდიდე $\approx 0,7 \times 0,6$ სმ-ია. ამ წარწერიდან, მისი ფრაგმენტულობის გამო, ძალიან ძნელია შინაარსის გაგება. წარწერაში ნატეხები ქ. სოხუმის მუზეუმში ინახება. წარწერაზე შემდეგი სიტყვები იკითხება, რომელთა თარგმანი ასეთია - "სამხედრო ძალა ...; შეძლება ...; სამეფო ხელისუფლება ...; აღება-დაუფლება ...; ქალაქი ...; საბრძოლო წყობა ...; წარმართვა ...; პირდაპირი ...; მამაცი ...". წარწერას პალეოგრაფიულად ძე.წ. I ს-ით ათარიღებენ. მისი შემორჩენილი, ზემოთ მოყვანილი სიტყვების მიხედვით შინაარსი შეიძლება ასეც აღვადგინოთ: საბრძოლო მოქმედებების შედეგად, მომხდურმა მტერმა აიღო ქალაქი ("ეშერი"). შემდგომ ქალაქის მამაცმა მებრძოლთა რაზმებმა შეძლეს, სამეფო ხელისუფლების სამხედრო დახმარებით, ჯაებრუნებინათ და აღედგინათ ქალაქი. შესაძლოა, რომ სწორედ ამ მოვლენის, ქალაქის აღება-აღდგენის, აღსანიშნავადაა ეს წარწერა შექმნილი (შეადარე, იხ. Каухчишвили, 1985, გვ. 218; Инадзе, 1988, გვ. 148).

საქართველოს ძველ დედაქალაქში, მცხეთაში, მდინარე მტკვრის მარჯვენა, არმაზციხე-ბაგინეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, 75 წლით დათარიღებული ბერძნულენოვანი ე.წ. ვესპასიანეს წარწერა აღმოჩნდა. მასში ნახსენებია - იმპერატორი ვესპასიანე (69-79 წწ.), მისი შვილები ტიტუსი (იმპერატორი 79-81 წწ.), დომიციანე (იმპერატორი 81-96 წწ.). აქვე აგრეთვე ნახსენებია იბერთა მეფე მითრიდატე, ფარსმან მეფის შვილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა "ვესპასიანეს წარწერის" ბოლო ნაწილი; კერძოდ: "... იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და ამაზასპუსის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელების მომხრეს, და ხალხს (იბერიელებს) ეს კედლები გაუმაგრეს" (წერეთელი, 1958, გვ. 14, ტაბ. I). როგორც ჩანს, მეფე მითრიდატეს რომაული ორიენტაციის გამო რომის იმპერატორი ვესპასიანე იბერიის სამეფოს საფორტიფიკაციო

მშენებლობაში ეხმარება და თავდაცვით კედლებს უმაგრებს, ანდა მათ გასამაგრებლად გარკვეულ თანხებს იხდის. ე.წ. ვესპასიანეს წარწერა ადასტურებს იმ სამხედრო-პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთინტერესს, რომელიც რომს და გაძლიერებულ იბერიის სამეფოს ჰქონდა ახ.წ. I ს-ში, პართიის სახელმწიფოს და მისი მომხრე არმენიის სამეფოს საპირისპიროდ. წარწერა, როგორც ჩანს, არმაზციხის საფორტიფიკაციო ნაგებობაში, შესაძლოა კარიბჭეში იყო ჩაშენებული, რათა რომი-იბერიის პოლიტიკური მეგობრობა საზოგადოებისათვის უფრო თვალნათელი ყოფილიყო.

ქ. ანკარასთან თურქეთში კიბელას სახელზე აგებული ტაძრის კედელზე შემორჩენილია მონუმენტური წარწერა, რომელიც "მონუმენტუმ ანკურანუმის" სახელითაა ცნობილი. წარწერა ახ.წ. 14 წლისაა; ლათინურად ინტერიერში და პარალელური - ბერძნულად ექსტერიერშია ამოკვეთილი. "მონუმენტუმ ანკურანუმის" წარწერა 35 ნაკვეთისაგან შედგება და წარმოადგენს იმპერატორ ოქტავიანე აუგუსტუსის (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14 წწ) მოღვაწეობის და ომების ამბების აღწერას. 31-ე მონაკვეთში, ჩვენი თემის თვალსაზრისით საყურადღებო ცნობებია დაცული. თარგმანში, კერძოდ - "ჩვენი (რომაელების) მეგობრობა მოითხოვეს ელჩების მეშვეობით... ბასტარნებმა, სკვითებმა და იმ სარმატთა მეფეებმა, რომლებიც ტანაისის გამოღმა და გაღმა არიან; ასევე ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეებმა" (Res gestae divi Augusti; Latyshev, 1904, გვ. 41; ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 240).

წარწერის მიხედვით, I ს-ში რომსა და იბერიის სამეფოს შორის ურთიერთმომგებიანი რაღაც ხელშეკრულება იყო დადებული. პომპეუსის იბერია-კოლხეთში 65 წელს ლაშქრობის შედეგად რომაელებმა ტრანსკავკასიაში მტკიცედ ვერ მოიკიდეს ფეხი. ამას აგრეთვე რომის პართიასთან ქიშობაც უშლიდა ხელს. საყურადღებოა, რომ ამ წარწერაში იბერიის სამეფო, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერ მიდიელებთან ერთად, ერთ კონტექსტშია მოხსენიებული.

ქ. რომში აღმოჩნდა სამარხის სტელა, რომელზედაც ბერძნულად ამოკვეთილია 12 სტრიქონიანი ეპიტაფია; თარგმანი ასეთია - "მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწა არის კასპიის კართან, იბერი

იბერიის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც აავო ნიკატორმა მიგდონის ზეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამგზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მისული პართელებთან საბრძოლველად, მიიცვალა უწინ ვიდრე გაისვრიდა ხელს, ძლიერ ხელს, მტრის სისხლში შუბის, მშვილდისა და მახვილის პირზე; ქვეითიცა და მხედარიც იყო... " (ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 245). ამ წარწერიდან ჩანს, რომ II ს-ის პირველ ნახევარში რომსა და იბერიის სამეფოს შორის კარგი ურთიერთობაა, იბერიის სამეფო პრორომაული ორიენტაციის სახელმწიფოა და რომს ეხმარება პართიის სახელმწიფოს წინააღმდეგ. წარწერის მიხედვით, იბერიელთა ლაშქარი, იბერთა მეფის მითრიდატეს ძმის, ამაზასპის მეთაურობით, რომაელების მხარეზე პართელების წინააღმდეგ იბრძვის.

ქ. რომის სანავსადგურო ქალაქ ოსტიაში, მდ. ტიბრის შესართავის მარცხენა ნაპირზე - მარმარილოს ბრტყელ, დაზიანებულ, ფილას მიაკვლიეს - 17 x 14 x 2,2 სმ. ფილაზე ლათინურად დაწერილი შვიდი სტრიქონია შემორჩენილი. ასოების ამოკვეთილი მოხაზულობა I-II სს-ის ასომთავრულისათვის არის დამახასიათებელი. თარგმანი ასეთია - "...სიანუს ... ფაბიანუს ... ფარსმანი (მეფე იბერთა) ... ით და მეუღლით ფრ... მისცა აპრილის კალენდებამდე ხუთი დღით ადრე მაისის ნონებამდე ერთი ... დღით ადრე გლადიატორთა ... (გამყრელიძე, 1959, გვ. 135). წარწერაში ნახსენებია იბერიის მეფე და სამხედრო ხელმძღვანელი ფარსმან II (ქველი), რომელიც წერილობით წყაროებში კარგ, მორჭმულ სახელმწიფო მოღვაწედ არის შეფასებული. ეს ფარსმანიევა ნახსენები არმაზის ცნობილ ბილინგვის წარწერაში (წერეთელი, 1942, გვ. 23).

დიონ კასიუსი გადმოგვცემს - "... როცა ფარსმან იბერიელი ცოლთან ერთად რომში ჩავიდა (იმპერატორმა) გაუფართოვა, განუვრცო სამფლობელო, პატივი დასდო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა; მისი ცხენზე მჯდომი ქანდაკება ენიალიონზე დადგა და მისი ვაჟკაცის და სხვა შეჭურვილი წარჩინებული იბერების სამხედრო-საბრძოლო ვარჯიშებს უცქერდა-აკვირდებოდა" (დიონ კასიუსი, LXX, 2, 3).

არმაზში (მცხეთა) № 4 სამარხის არქეოლოგიური შესწავლისას ბაზალტის ქვის სტელა აღმოჩნდა, რომელზედაც

ბილინგვა და სამეცნიერო ლიტერატურაში "არმაზის ბილინგვის" სახელითაა ცნობილი. პირველი, ზედა წარწერა ბერძნულია, ხოლო მეორე, ქვედა ე.წ. არმაზულ-არამეული დამწერლობით არის შესრულებული (იხ. წერეთელი, 1942, გვ. 1-84; ყაუხჩიშვილი, 1951, გვ. 250; წერეთელი, 1992, გვ. 3-48). ჩვენთვის საყურადღებო ნაწყვეტი ქართულად ასეა - "... ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, (რომელიც) იმარჯვებდა და ამრავლებდა ადრე ჩადენილ საგმირო საქმეებს, (და არის) ეზოსმოდღვარი ქსეფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოდღვრისა ფარსმან მეფისა (რომელმაც) სძლია მძღველნი, რაც ფარნავაზმა (ან წინა ფარნავაზიანებმა) ვერ დაასრულა..." (სრული თარგმანი იხ. გიორგაძე, 1986, გვ. 159; წერეთელი, 1992, გვ. 48). ამ წარწერიდან უპირველეს ყოვლისა ფრიად საყურადღებოა, რომ არამეული ტექსტის აქამდე გაუშიფრავი მერვე სტრიქონი ამოიხსნა, სადაც აღმოჩნდა, რომ ნახსენებია იბერიის მეფის, ქართლში სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმების გამტარებლის, ფარნავაზიანთა დინასტიის ფუძემდებლის ფარნავაზის სახელი (იხ. გიორგაძე, 1986, გვ. 151).

აგრეთვე საყურადღებოა, რომ ამ ტექსტში მოხსენიებულია იბერიის მეფე ფარსმან II ქველი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია "ქართლის ცხოვრებიდან," "მოქცევაი ქართლისაიდან" და დიონ კასიუსის თხზულებიდან. ამგვარად ეს ბილინგვა მნიშვნელოვანი წყაროა იბერიის სამეფოს I-II სს-ის სამხედრო-პოლიტიკური იერარქიის და სახელმწიფო წყობილების შესასწავლად.

არმაზში № 4 სამარხის არქეოლოგიური კვლევისას, "არმაზის ბილინგვასთან" ერთად აღმოჩნდა ე.წ. № 1 წარწერად წოდებული მონოლინგვა, ე.წ. არმაზულ-არამეული წარწერით, რომელიც მთლიანად დღემდე გაუშიფრავია. ამ ტექსტის შესახებ სპეციალისტებს გამოთქმული აქვთ ზოგადი შენიშვნები. მათი აზრით, წარწერა I ს-ა და ეხება მიპრდატ (მითრიდატე) იბერიის დიდი მეფის პიტიახშის სამხედრო გამარჯვებებს, რომელიც მან იბერიის სამეფოს მოსაზღვრე სახელმწიფოებზე მოიპოვა. წარწერაში გამაგრებული ადგილები და ციხესიმაგრეებია დასახელებული. ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ მეფე მითრიდატე, ისევე როგორც მამამისი ფარსმანი, არმენიის

საწინააღმდეგოდ რომსა და პარტიას შორის ომში იყო ჩაბმული. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ტექსტში მოყვანილ გამაგრებულ ადგილთა და ციხესიმაგრეთა სახელების დამაჯერებელი და საბოლოო ამოკითხვა ვერ ხერხდება (იხ. გიორგაძე, 1999, გვ. 186).

ქალაქ სოხუმში (სებასტოპოლისში) 132 წლით დათარიღებული ლათინურ წარწერიანი ფილა აღმოჩნდა - "HADR (ადრიანეს დროს) PER. FL(avium) A (rrianum).LEG (ლეგატი კაპადოკიის)" - რომელზეც ნახსენებია რომის იმპერატორ ადრიანეს, კაპადოკიის ლეგატი, სამხედრო-ადმინისტრატორი ფლავიუს არიანე (95-175 წწ.). ჩანს, ეს წარწერა, არიანეს სებასტოპოლისის ციხესიმაგრეში წარმატებული სამხედრო-საფორტიფიკაციო საქმიანობის აღსანიშნავად არის ქვის ფილაზე ამოკვეთილი (Ломоури, 1981, გვ. 25 და იქ დასახ. ლიტ.).

ჩვენი თემისათვის მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა რომაული სამხედრო შენაერთების არქეოლოგიურად დადასტურებული დამლები. ეს სამხედრო ნაწილები ადგილობრივ სამხედრო ძალასთან საბრძოლველად და ჩრდილოეთ კავკასიის გასაკონტროლებლად, საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად შავი ზღვისპირეთში, კოლხეთში იყვნენ განლაგებული. კერძოდ, ბიჭვინტა-პიტუნტში, სოხუმ-სებასტოპოლისში, ფოთ-ფასისში, ციხისძირ-პეტრაში, გონიო-აფსაროსში და ა.შ.

პიტუნტის კასტელუმის ტერიტორიაზე, II ს-ის ფენაში აღმოჩნდა თიხის ფილის ფრაგმენტი, რომელზეც ოთხკუთხა დამლა - GXV. კასტელუმის დასავლეთ კარიბჭესთან დადასტურდა მეორე დამლა; სადაც მხოლოდ ასო - G-ა შემორჩენილი. ეს დამლები ანალოგიების მიხედვით შესაძლოა ასე გაიშიფროს - LEG(io) XV(Apollinaris). ამ ლეგიონის ძირითადი დისლოცირების ადგილი იყო კაპადოკიაში, სატალაში (Кигурадзе, Лордкипანიძე, Тодუა, 1987, გვ. 88). პიტუნტ-ბიჭვინტაშივე, ინკიტის ტბასთან მდგარ საფორტიფიკაციო კოშკში, II-III სს-ის ფენაში გაითხარა თიხის ფილა, რომელზედაც ოთხკუთხა დამლაა - LEG(io) (ლორთქიფანიძე, 1963, გვ. 105).

სოფ. მოედნის (ლანჩხუთის რ-ნი) ნამოსახლარზეც ოთხკუთხა დამლიანი თიხის ფილაა აღმოჩენილი - LEG

(თოდუა, მურვანიძე, 1997, გვ. 108, ტაბ. X, 2). ოთხკუთხა დამლიანი თიხის ფილა დადასტურებულია ქობულეთის რ-ნის სოფ. ციხისძირის ციხესიმაგრის III-IV სს-ის ფენის გათხრისას - "VEX.FA"; VEX (illatio) FA (siana), რომელსაც ქალაქ ფასისის ციხესიმაგრისათვის დაშვადებულად მიიჩნევენ (შაიდელი, 1985, გვ. 134; გამყრელიძე, 2002, გვ. 86 და იქ დასახ. ლიტ.).

აფსაროსში (სოფ. გონიო), ციხესიმაგრის ცენტრალურ ნაწილში, მოზრდილ ნაგებობაში არქეოლოგიურად გაითხარა დამლიანი აგურები. ერთზე იკითხება COH(ors) II; ხოლო მეორეზე (C) OH (ors) II. ისინი შეიძლება გაიშიფროს - Cohors II claudiana. აქვე აღმოჩნდა აგურის ნატეხი, რომელზედაც იკითხება Sagi(taria), რომელიც მშვილდოსანთა კოპორტას უნდა უკავშირდებოდეს. აფსაროსის ციხესიმაგრის ერთ-ერთი კოშკის გათხრისას დადასტურდა სანათურ-ჭრაქი. მის ქვედა ფრიზზე ამოტიფურულია ლათინური წარწერა - C.COH.AVR.C.R. წარწერა შეიძლება გაიშიფროს შემდეგნაირად - C - სახელის შემოკლება; COH(ors) - კოპორტას აღნიშნავს; AUR(elius) - რომის იმპერატორ აურელიუსს (161-180 წწ.); C(ivium) R(omanorum) - რომის მოქალაქე (იხ. მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 163).

საქართველოს ისტორიის და კერძოდ, სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად საყურადღებო წყაროა ე.წ. "შაპურის წარწერა." წარწერა სამხრეთ-დასავლეთ ირანში, ძველ პერსეპოლისში (თახთაჯემშიდი; ამჟამად ქ. ისთახართან), ქ. შირაზიდან 50 კმ-ზე, ზოროასტრული რელიგიის "ზოროასტრის ქაბის," მთავარი ტაძრის კედელზე აღმოჩნდა. წარწერა შესრულებულია პართულ-ფალაურ, სასანურ-ფალაურ და ძველ ბერძნულ ენებზე (Sprengling, 1953, გვ. 25; ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 255 და იქ დასახ. ლიტ.). "შაპურის წარწერაში" მოთხრობილია სასანური ირანის მეფის შაპურ I-ის (240-272 წწ.) სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. აქ ნახსენებია მის სამეფოში შემავალი ქვეყნები; მის მიერ წარმოებული ძღვევამოსილი ომები და სხვ. აქვე ნახსენებია იბერია, რომელიც პროსასანიდურ ქვეყნად ჩანს; აღნიშნულია იბერიის მეფე ჰამაზასპის შესახებ. კონტექსტის მიხედვით მეფე ჰამაზასპი სასანური ირანის ხელმწიფის

მოკავშირე გავლენიანი პირი ყოფილა. ჰამაზასპი (ამაზასპი), რომელიც პროსასანური ორიენტაციისაა, ვიცით "ქართლის ცხოვრებიდანაც," სადაც იგი მოხსენიებულია ძლევამოსილ მეფედ, კარგ სამხედრო მოღვაწედ. მას მის დიდ პაპას, ფარსმან ქველს ადარებენ. ამაზასპი რომაელებს ებრძოდა და მათთან ომში ბრძოლის ველზე დაეცა.

ძველი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. ქართველები, ქართველური ეთნოსი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე განსახლებული იყო სამი მდინარის - მტკვრის, რიონის და ჭოროხის აუზებში. დაახლოებით ამ ტერიტორიაზე ძველი ქართველური მოდგმის ხალხი სახლობდა, რომელთა სხვადასხვა გაერთიანებებს ძველი წერილობითი წყაროები (პეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. კერძოდ - კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუნიკები, სასპერები, პენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ, ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და სხვ. (იხ. საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი... 1993; ქავთარაძე, 1985, გვ. 65-141). ანტიკურ ეპოქაში ზემოხსენებულ ტერიტორიაზე დაწინაურდნენ კოლხეთის სამეფო და იბერიის (ქართლის) სამეფო.

კოლხეთის და იბერიის ქელები, ზეგნები, ხეობები, სერები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები მოსახერხებელ სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდნენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ.წ. I ს-ის რომაელი მხედართმთავრის ლუკულუსის მითრიდატე ევპატორთან ომის დროს კავკასიონის მთიანეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მოქმედების თეატრის შეფასება: "შე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ წავიდეს. განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ მის ზურგში გადაშლილია უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო,, (იგულისხმება ბოსფორისა და ყუბანის სტეპები). იქვე ახლოს არის კავკასიონი მრავალი მაღალი მთით..." (პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

აგრეთვე მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს იმპერატორ ადრიანეს სამხედრო-ადმინისტრაციული წარმომადგენლის, საქართველოს ზღვისპირეთის თვითმხილველის ფლავიუს არიანეს მოხსენება. ფასისის "... ციხესიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენება მეტად მიუდგომლად ადგილის ბუნებრივი გარემოს მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით, მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომხდურთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამოშწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული." "... ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია..." (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 39). სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, გადასალახად რთული მაღალი მთების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევი მდინარეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებით დაგვირგვინების გარანტია იყო.

არანაკლები მნიშვნელობა სამხედრო მოქმედებისას ენიჭება კლიმატს და წელიწადის დროის ცვლას. მაგალითად, მითრიდატე ეპატორი პომპეუსთან ომის დროს "მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა" (სტრაბონი, XII, III, 28). მას ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. ამ შემთხვევაში მითრიდატემ ზამთარი და მთები თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა (აპიანე, "მითრიდატე," 101).

რიონ-ყვირილა (ფასისი) და მდ. მტკვარი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო და სტრატეგიული გზა იყო (Гамкрелидзе, 1992, გვ. 7). ცნობები მისი სატრანზიტო გზად გამოყენების შესახებ, ძირითადად, სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული. სტრაბონი აღწერს ამ მაგისტრალს: "ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს

მთელი ქალაქის მოსახლეობა; შორაპნიდან ფეხით, საურმე გზით, ოთხ დღეში მიისვლება მდ. მტკვარამდე" (XI, II, 17). ამ გზის გაგრძელებას სტრაბონი ასე აგვიწერს: "... ინდური საქონელი შემოაქვთ პირკანის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მისი მომდევნო ადგილებით ექვისინის ზღვაში ჩააქვთ" (სტრაბონი, XI, VII, 3).

ამრიგად, ნათელია, რომ სტრაბონი აღწერს სავაჭრო-სტრატეგიულ გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვრის და მდ. რიონის გავლით შავი ზღვისაკენ. ამავე გზას აღწერს I ს. ავტორი პლინიუსი: "... პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილი იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შეიღ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. აქედან ინდური სავაჭრო საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასისს, რომელიც შავ ზღვას უერთდება" (პლინიუს სეკუნდუსი, VI, 52). სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი (კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონის და მინის ჭურჭელი). ასეთი ნამოსახლარები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩენილია შორაპანში, კლდეეთში, ვარციხე-პატრიკეთში, ვანში, შუამთაში, მთისძირში, საჯავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიდში, ფოთთან (პალიასტომის ტბა) და სხვ. (დაწვრილებით იხ. Гамкрелиძე, 1992). აღმოსავლეთ საქართველოში: ზღუდერში, ურბნისში, უფლისციხეში, ყანჩაეთში, ძალისაში, ნასტაკისში, სარკინეში, მცხეთაში და სხვ.

რიონ-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომთან მდებარე ქალაქი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარგაპები შავ ზღვაში გადიოდნენ კაბოტაჟური ცურვისათვის. შავიზღვისპირეთის პიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში II-VII სს. ნამოსახლარს მიაკვლია. შესაძლოა, რომ ამ ნამოსახლარის სახით საქმე გვქონდეს პროკოფი კესარიელის და აგათიას თხზულებებში აღწერილ ქალაქ ფასისის ფორტიფიკაციის ნაშთებთან (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 1987, გვ.98).

მდ. რიონზე ჩამოცურებული ნაგებიდან ტვირთი ჰალიასტომის ტბაზე მდებარე ნაესაყუდელში უკვე საზღვაო ხომალდებში გადაჰქონდათ და შავი ზღვის გავლით მიჰქონდათ სხვა ქვეყნებში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა გამაგრებული დასახლებული პუნქტებია მიკვლეული — აფსაროსი (გონიოსთან), ციხისძირთან (პეტრა), ქობულეთი, ურეი, ფასისი (ფოთთან), ანაკლია, დიოსკურია-სუბასტოპოლისი (სოხუმთან), პიტიუნტი (ბიჭვინტასთან) და ა.შ. ჩამოთვლილი დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი და ზმელთაშუა ზღვების ქვეყნებთან.

სტრაბონის "გეოგრაფიაში" დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ მხარედ წარმოგვიდგება: "ქვეყანაში კარგი ნაყოფი იცის; ... მოიპოვება გემთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებით ჩამოაქვთ; ამუშავენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის წარმოება განთქმულია და გარეთაც კი გააქვთ" (სტრაბონი, XI, II, 17). ექსპორტზეა საუბარი მარკუს მანილიუსის (I ს.) ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალებიო (Latyshev, 1904, გვ. 377). VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის წერილობითი ცნობა: "მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ზარობს..." (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 14). კოლხეთში მდებარე მოხირისის მხარე ეკონომიკურად ძლიერი რეგიონია. შესაბამისად, აქაურებს საბრძოლო მოქმედებებისათვის კარგი რესურსებიც ექნებოდათ. კოლხეთის დაბლობი რომ დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც (იხ. Гамкрелидзе, 1992).

ანტიკური ხანის იბერიის შესახებ სტრაბონი გადმოგვცემს: "იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით და სოფლებით; იქ არის კრამიტისანი სახურავები,

სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული; უდიდესი მა შორის არის შტკვარი. ... ის მოედინება საძოვრებით მდიდა ველზე, ერთვის სხვა მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არი ალაზანი, სანდობანი... ყველა ესენი სანაოსნონი არიან დ უერთდებიან კასპიის ზღვას" (სტრაბონი, XI, III, 1,2).

სამხედრო-საბრძოლო მოქმედებებისას იბერია-კოლხეთში ადგილობრივი მებრძოლები ფლობდნენ და კარგად იყენებდნენ რელიეფს, მთებს, ხეობების ჩასაკეტად ვიწრო ადგილებს, მთა გორებზე მოხერხებულად განლაგებულ თავდაცვით ნაგებობებს შირ გაუვალ ტყეებს, მდინარეების ფონებს. იგივე ფაქტორებს უარყოფითად აისახებოდა მომხდურთა სამხედრო ძალი მოქმედებებზე. ისინი, ბუნებრივია, არ იცნობდნენ დ ტაქტიკურად სწორად ვერ იყენებდნენ ადგილობრი ბიოგეოგარემოს - რელიეფს, კლიმატს, რესურსებს, ფლორა ფაუნას და სხვ. შესაბამისად, ისინი ადგილობრივი პირობები შესახებ სრული ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ კერძოდ, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მოწინააღმდეგე სამეურნეო-ეკონომიკურ ბაზა-რესურსებზე, რაოდენობრი დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ფსიქიკურ განწყობაზე კომუნიკაციურ და სამხედრო-ტექნიკურ საშუალებებზე საზოგადოების წყობაზე, სამხედრო-სტრატეგიულ ქმედებებზე.

ბიოგეოგარემოდან გამომდინარე იბერია-კოლხეთში თითქმის შეუძლებელი იყო ფართო, მასშტაბური, ფრონტალური, მრავალრიცხოვანი ჯარით მოქმედება. აქ უფრო კარგა გაწვრთნილი, ადგილობრივ გარემოზე ინფორმირებული, მობილური, რაზმებით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. დგილობრივი მოსახლეობის საბრძოლო მოქმედებების სტრატეგია დ ტაქტიკა კი, ძირითადად, სწორედ რელიეფის მოხერხებულ გამოყენებაზე იყო აგებული.

ძვ.წ. I - ახ.წ. II სს. სიტუაცია იბერია-კოლხეთში

კოლხეთი და ნაწილობრივ იბერია მთებით შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები იყო, რაც სამხედრო-სტრატეგიულად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოციერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეული, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა.

ანტიკური ხანის კოლხეთს და იბერიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრაც და შეჯახებაც. ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნებისათვის, როგორც კოლხეთი და იბერია იყო, სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამის გათვალისწინება სრულიად აუცილებელია იბერია-კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების ასახსნელად.

სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორი ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ზოლო ზოგჯერ უკეთურ გავლენას ახდენენ. კონსტრუქციულია, მაგალითად, სამეურნეო-კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია - საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სოფლების და ქალაქების დანგრევა, მატერიალურ ფასეულობათა ძარცვა-განადგურება, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლის მოშლა.

აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე ძველი საქართველო (იბერია-კოლხეთი) სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალის, ერთი მხრივ, ირანული და, მეორე მხრივ, ანტიკურ-რომაული ორიენტაციის ქვეყნების საომარი მოქმედებების ასპარეზი იყო. ასეთ გარემოცვაში მყოფი საქართველო ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა. ძვ. წ. 250-იან წ-ში პართიაში არშაკიდების დინასტია გამეფდა, ქვეყანა გაძლიერდა და საუკუნის ბოლოსთვის დასავლეთ აზიის წამყვან სახელწიფოდ გადაიქცა. რომმა სელევკიდებს მცირე აზიაში ძვ. წ. 190 წ. ქ.

მაგნეზიასთან ბრძოლა მოუგო. აქ რომაელებმა ანტიოქოს III-ის ჯარი გაანადგურეს. ძვ. წ. 188 წ. დადებული ზავის მიხედვით თავროსის ქედის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე ტერიტორიებს რომი აკონტროლებდა. შედეგად, სელევკიდების სახელმწიფომ რღვევა დაიწყო და მის ტერიტორიაზე რამდენიმე ახალი ქვეყანა გაჩნდა. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა არტაქსითის არმენია იყო, რომელმაც იბერიის მიმართ იმთავითვე აგრესიულობა გამოიჩინა და მდ. არაქსის და მტკვრის ზემო წელის მიწები მიიტაცა (იხ. სტრაბონი, XI, 14, 5).

არმენიის სამფლობელოები თანდათანობით გაფართოვდა და ძვ. წ. 170-იან წლებში არტაქსით I-ის (ძვ. წ. 189 - 161) მეთაურობით, მდ. არაქსის შუა წელზე ცენტრით ქ. არტასათში, ძლიერი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. სელევკიდების იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი არტასათის სამეფო - არმენია ელინისტურ ტრადიციებზე ჩამოყალიბებული ქვეყანა იყო. ჩვენ ის სომხურ სახელმწიფოდ არ მიგვაჩნია ანუ იმ დროინდელი "არმენია" შემდგომი პერიოდის "სომხეთი" სულაც არ არის იდენტური ცნებები. სომხური მოსახლეობა ამ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფო-კონგლომერატში ერთ-ერთი კომპონენტი გახლდათ. ამ ქვეყანაში ერთ-ერთ ძირითად მცხოვრებლებს დასავლურ ქართველური მოსახლეობა შეადგენდა - ხალიბები, მოსხები, მოსინიკები, ტრაპიზონის მიმდებარე ტერიტორიის კოლხები და სხვ.

ძვ. წ. II ს. მიწურულისათვის არმენიის მიერ მითვისებული ზოგიერთი დასავლურქართული ტერიტორიის საფუძველზე პონტოს სამეფო გაძლიერდა. ძვ. წ. 183 წ. მეფე ფარნაკე I-მა ქალაქი სინოპი აიღო და პონტოს სამეფოს მთავარ ცენტრად აქცია. მითრიდატე VI ეპატორის ეპოქის დასაწყისში პონტოს სამეფომ პაფლაგონია და აღმოსავლეთით ტრაპიზონის მიმდებარე მიწები შეიერთა. ამ დროისათვის მცირე არმენია ფაქტიურად პონტოს სამეფოზე დამოკიდებულ ე. წ. მოკავშირე ქვეყანას წარმოადგენდა.

პონტოს მეფე ძლევამოსილმა მითრიდატე VI ეპატორმა (ძვ. წ. 120 - 63 წ.წ.) (იხ. გოზალიშვილი, 1965) თავისი ტერიტორიები ბრძოლით გააფართოვა. მან მთელი შავიზღვისპირეთის - სამხრეთი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი

(კოლხეთის სანაპიროთი) გააერთიანა. მდ. ღუნაის შესართავიდან ბოსფორამდე შავი ზღვა ფაქტიურად პონტოს სახელმწიფოს შიდა ზღვად იქცა. მითრიდატე VI-მ პართიას მდ. არაქსისპირეთი წაართვა, ხოლო რომთან ომებში სირია-ფინიკია და კილიკია დაიპყრო. პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის წარმატებულ წინსვლას რომის სახელმწიფო დაუპირისპირდა. რომის რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური აქტიობა სირია-მცირე აზიის გეოპოლიტიკური სივრცისადმი განსაკუთრებით ძვ. წ. II ს. მეორე ნახევარში გამოაშკარავდა. ხსენებულ ტერიტორიას რომი საკუთარი პოლიტიკური ამბიციების წრეში მყოფად მიიჩნევდა.

იმდროინდელ სამყაროში ამ ორი დიდი სამხედრო-პოლიტიკური ძალის მწვავე დაჯახება ბუნებრივია უარყოფით გეოპოლიტიკურ ძვრებს გამოიწვევდა მახლობელ აღმოსავლეთში და კავკასიაში. აქ ორი, აღმოსავლურ-ელინისტური და რომაულ-ევროპული, დასავლური იდეოლოგია შეეჯახა.

პონტო-რომის ომების პირველი ფაზისას მითრიდატე VI-მ მოახერხა მთელი მცირე აზიის სატელიტი ქვეყნების რომაელთა წინააღმდეგ დარაზმვა. შედეგად, აქედან რომაელთა განდევნა შეძლო. ბოლოს მითრიდატემ ევროპის საბერძნეთიც კი დალაშქრა. მითრიდატეს მთელი ძალა-ენერგია საგარეო-დაპყრობითი ომებისაკენ იყო მიმართული; ქვეყნის საშინაო პრობლემები კი მოუგვარებელი რჩებოდა. ამიტომ, მას მცირე აზიაში და შავიზღვისპირეთში პატარ-პატარა მხარე-სამთავროების მფლობელები აუჯანყდნენ. ზოგიერთი მათგანი რომაელებთან კავშირზეც კი წავიდა, რასაც გარკვეულწილად რომაელთა ხსენებულ ტერიტორიებზე გამაღებული სადაზვერვო-იდეოლოგიური მუშაობაც ხელს უწყობდა.

შედეგად მითრიდატეს ჯარს მომარაგება-კომუნიკაციები დაერღვა, ხოლო რომაელებმა თავისი ლეგიონების მეტი კონსოლიდაცია შეძლეს და საომარი-პერმანენტული დარტყმების შედეგად პონტოელები რამდენჯერმე სძლიეს.

ძვ. წ. 73 წ. მითრიდატემ პონტო-რომის ომების მესამე ფაზა წამოიწყო. რომაელთა მხედართმთავარმა ლუკულუსმა მითრიდატე ამჯერადაც დაამარცხა და მდ. ტიგროსის ზემო წელზე მისი მოკავშირის ტიგრან II-ის მიწები დაიკავა. ამ დროს მითრიდატეს მხარეზე იბერიელი და ალბანელი

მეომრებიც ომობდნენ (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 26). ძვ. წ. 68 წ- ს რომაელებმა მდ. არაქსის შუა წელზე მდებარე ტიგრან II- ის მთავარი ქალაქი არტასათი დალაშქრეს (პლუტარქე, ლუკულუსი, 31). მალე რომის სენატმა მითრიდატეს დამმარცხებელი ლუკულუსი სამშობლოში გაიწვია და მის მაგივრად აღმოსავლეთში განლაგებული არმიის ხელმძღვანელად პომპეუსი დანიშნა. უკვე ძვ. წ. 66 წ. მითრიდატე VI- მ ფართო მასშტაბიანი საომარი მოქმედებები შეწყვიტა და კოლხეთისაკენ გაიქცა, ხოლო მერე ბოსფორში გადავიდა.

ფარნავაზის პერიოდის კოლხეთი, ზოგიერთი ზღვისპირა მონაკვეთის გარდა, ქართლის სამეფოში ეგრის-სვანეთის საერისთავოს სახით იყო გაერთიანებული. ქართლის სამეფომ ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის ინკორპორაცია განახორციელა (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 1985, გვ. 87-89). ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა დაახლოებით ძვ.წ. I ს. დასაწყისამდე, ვიდრე კოლხეთის გარკვეული ნაწილი მითრიდატე VI ეპატორის გავლენის ქვეშ არ მოექცა. შავი ზღვისპირეთში პონტოს სამეფოს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა. სწორედ აქ იყო განლაგებული დიოსკურიის, გიენოსის, ფასისის ქალაქები. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ეპატორის ძირითადი მიზნის - მთელი შავიზღვისპირეთის გაერთიანების გრანდიოზული იდეის (იხ. Шелов, 1980, გვ. 28) თანამიმდევრული განხორციელება.

ზღვისპირა კოლხეთის ქალაქები მითრიდატემ პონტოს სამეფოს ძვ.წ. I ს. დასაწყისში შეუერთა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ სანაპირო ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტ-ნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი - ეშერის გარდა; სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი - არ არის დადასტურებული ძვ.წ. I ს. დასაწყისის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების კვალი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქალაქებში, ისევე როგორც ბოსფორსა და ხერსონესში, მითრიდატე გარკვეულ წინააღმდეგობას არ წააწყდა. მაგალითად, მემნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოები (მდ. ფასისის ქვემო წელი). ამ მიდამოების მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთ-ფიჭვნარში ნაქალაქარი

დარბეულია ძვ.წ. I ს. დასაწყისში (იხ. Хахутаишвили, 1985, გვ. 517).

შიდა კოლხეთი მითრიდატეს არ შეუერთებია პონტოს სამეფოსთვის. ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ იგი იქ შეიჭრა მაშინ, როცა პომპეუსს გამოექცა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. მემნონი (30), აპიანე (15) (აპიანეს ისტ. წყაროდ გამოყენების სანდოობის შესახებ იხ. Шелов, 1986, გვ. 113-117), იუსტინუსი (XXXVIII, 7, 10), სტრაბონი (XI, II, 18; XII, III, 28) გვამცნობენ, რომ მითრიდატემ შეიერთა კოლხეთი, მაგრამ სახელდობრ კოლხეთის რა ნაწილი, არ არის აღნიშნული. თუ სტრაბონისავე ცნობას დაუჯერებთ, კოლხეთი მეტწილად ზღვასთან მდებარეობს (XI, II, 17); შემდეგ იგი გადმოგვცემს: "მთელი ეს სანაპირო ეყვრა ევპატორს, კოლხეთიდან ჰერაკლემდე, ..." (XII, III, 2). შესაბამისად, სტრაბონის მიხედვით მითრიდატეს ძირითადად სანაპირო ზოლი უნდა დაეკავებინა.

კოლხეთში მოიპოვება "გემთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება მრავალრიცხოვანი ტყეები..." ამუშავენენ დიდძალ - სელს, კანაფს, ცვილს და ფისს" (იხ. სტრაბონი XI, II, 17). მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტრაბონი შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს "კოლხეთის ზღვას" უწოდებს (იხ. სტრაბონი, XI, I, 6; Агбунов, 1987, გვ. 19-48, 65-111). სტრაბონი აღნიშნავს, რომ სწორედ კოლხეთიდან მითრიდატე ევპატორს - "...მისდიოდა უმეტესი ნაწილი საზღვაო-სანაოსნო ძალებში სამსახურისათვის" (იხ. სტრაბონი XI, II, 18).

აგრეთვე, ფრიად საყურადღებოა ანიკეტის ამბოხის ამბავი. ანიკეტი უწინ სამხედრო ფლოტის მეთაური ყოფილა. შესაძლოა, რომ იგი წარმომავლობით ადგილობრივი, კოლხი იყო. მას შემდეგ, რაც პოლემონის სამეფო რომაელებმა პროვინციად აქციეს, ანიკეტმა ამის გამო პროტესტი განაცხადა, რისთვისაც მკაცრად დასაჯეს და დაატყვევეს. ანიკეტი გაიქცა, მიიმხრო და სათავეში ჩაუდგა პონტოს ადგილობრივ უკმაყოფილო და უპოვარ მცხოვრებლებს. ის ამბოხებულებით სწრაფად შეიჭრა აღმოსავლეთ პონტოში და აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი. აქ, ერთი რომაული კოპორტა ამოხოცა და ტრაპეზუნტის ნავსადგურში მდგარი ფლოტის ნაწილი ხელთ იგდო, ხოლო ნაწილი დაწვა. მან ტრაპეზუნტის გასწვრივ

ზღვაზე კონტროლი დააწესა; სადაც "... ადგილობრივები გაბედულად მოძრაობდნენ სახელდახელოდ აგებული ნაეებით, რომლებსაც კამარებს უწოდებენ..." (იხ. ტაციტუსი, ანალები, III, 47). ამის შემდეგ "ანიკეტი მდინარე ხობის (ახლანდელი მდ. ხობი) შესართავში" (ანალები, III, 48) თავისი საზღვაო ფლოტილიით დაბანაკდა.

ძველი საქართველოს სამხედრო საზღვაო ფლოტის ძირითადი ძალა ნიჩბიანი კატარღები იყო. შემდგომ აქ ეტყობა რომაული (იხ. Петерс, 1982; TorCecil, 1964; Casson, 1960), იმ დროისათვის მოწინავე საზღვაო ტექნიკის გამოყენებაც დაიწყო და მათი მსგავსი მოზრდილი ხომალდების აგებაც. საერთოდ, ბუნებრივია, რომ საზღვაო საქმის განვითარებას ძველ საქართველოში ხელს უწყობდა მისი შავ ზღვასთან მდებარეობა და სანაპიროზე ფართო სამდინარო ქსელის არსებობა (იხ. Берадзе, 1989, გვ. 66, 199). მომდევნო პერიოდში, კოლხეთში, ნაოსნობის განვითარების შესახებ აღნიშნავს ბიზანტიელი ავტორი აგათიაც. კერძოდ, "ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები; ისინი სხვა მეომარ ხალხებზეც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით..." "... ეხლანდელი მცხოვრებლები ზღვაოსნობენ, რამდენადაც შესაძლოა და ამით ვაჭრობაში სარგებელს ნახულობენ..." (იხ. აგათია, III, 5).

კოლხეთის სანაპიროს დაკავების დროისათვის პონტოს სამეფო სამხედრო-ეკონომიკურად ძლიერი იყო. სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა პონტო-რომის პირველი ომის დასასრულისათვის, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძნეთში. აქ იფეთქა აჯანყებამ. რომთან ომების დროს, ბუნებრივია, მითრიდატე ეცდებოდა საიმედო ზურგი ჰქონოდა. ამიტომ ის მოერიდებოდა იბერიის სამეფოსთან ურთიერთობის გამწვავებას. ძვ. წ. 85 წ. დარდანოსის ზავის შემდეგ მითრიდატემ კოლხეთისათვის მოიცალა, ურჩი შეიღო დასაჯა და დასაეღეთ კოლხეთში უწინდელი მდგომარეობა აღადგინა (აპიანე, "მითრიდატე"). რომთან ომების დროს მითრიდატე ბუნებრივია ეცდებოდა საიმედო ზურგი ჰქონოდა. ამიტომ იგი იბერიის სამეფოსთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდებოდა (იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 50).

იბერების დამარცხების შემდეგ პომპეუსი შეუფერხებლად გადავიდა კოლხეთში (პლუტარქე, "პომპეუსი," 34). როგორც ჩანს, იბერიისაგან განსხვავებით, კოლხეთში ორგანიზებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, შესაძლოა იმიტომაც, რომ სკეპტუხიებად დანაწილებული შიდა კოლხეთი პოლიტიკურად იბერიის გავლენის ქვეშ იყო და მათ მეფე არტაგის მსგავსი (ქ.ც., 1955, გვ. 30) ჯარი არ ჰყავდათ (არტოკეს ჯარის შესახებ იხ. აპიანე, "მითრიდატ." 103; დიონ კასიუსი, "რომის ისტ." XXXVII, 1, 2; პლუტარქე, "პომპეუსი," 34). ამის შემდეგ, როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ ფასისი არ არის შორს, გადაწყვიტა მის გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო" (დიონ კასიუსი, "რომის ისტ.", XXXVII, 3). ამ ნაწყვეტიდან ისე ჩანს, რომ კოლხეთი მდ. ფასისის ქვემო წელზე, ზღვასთან იგულისხმებოდა. პომპეუსი "დაიძრა განზრახული მიმართულებით და გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით" (დიონ კასიუსი, "რომის ისტ." XXXVII, 3) და ბრძოლით.

რომი-პონტოს მესამე ომის დასასრულს პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე სამი ათასი მეომრით მიდის ქალაქ სინორიაში (სინორეგა), რათა სული მოითქვას და მხედრობას აღჭურვილობა შეუესოს (იხ. აპიანე, "მითრიდატ." 101). აქედან მითრიდატე ჯარითურთ თავისი სიძის - ტიგრანისკენ გაემართა, "მაგრამ ტიგრანმა იგი არ მიიღო და თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა მას, ვინც მის თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ ეფრატის სათავეს გზა აუქცია და კოლხეთში გადავიდა" (პლუტარქე, "პომპეუსი," 32). ამასვე ადასტურებს დიონ კასიუს კოკეიანოსი - "თავის იმედებში მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ..." ("რომის ისტ.", XXXVI, 50). მითრიდატე გადავიდა მდინარე აფსაროსზე (ჭოროხ-ოლთუ) და იქიდან მდ. მტკვრის ხეობაში. იგი ზღვის სანაპირო გზით არ წასულა, რადგან იცოდა, რომ აქ პომპეუსის ბრძანებით ჩასაფრებული იყო სერვილიუსი სამხედრო-საზღვაო ფლოტით (იხ. პლუტარქე, "პომპეუსი," 34).

სერვილიუსს, ეტყობა, მთასა და ზღვას შორის ვიწრო სანაპირო (აფსაროსის ვიწრო გასასვლელის შესახებ იხ. Latyshev, 1904, გვ. 447) ჰქონდა ბლოკირებული და მითრიდატეს რაზმებს ელოდებოდა. მითრიდატე შეიჭრა

ხოტენეში, ბრძოლით გაიკაფა გზა (აპიანე, "მითრიდატ.", 101) და შემდეგ დაუყვა მდ. მტკვრის ხეობას, აქედან ფოცხოვი-ქვაბლიანი-ჭუბრაულის ხეობაში გადაინაცვლა, რადგან მტკვართან იბერებთან შეტაკება მოუხდა (აპიანე, "მითრიდატ.", 101). ეტყობა, მათთანაც, როგორც ტიგრანთან, საქმე გართულებული ჰქონდა და გაემართა "მეფისწყაროს" გადასასვლელისაკენ (შესაძლოა, აგრეთვე, რომ მითრიდატე გადავიდა ზეკარის გადასასვლელზე და შემდეგ ხანისწყალ-რიონის გზით მიაღწა "ვანს"). ეს გზა შემდეგ მდ. სულორის წყალგამყოფ ქედამდე აღწევს და ხეობაში ეშვება. იგი არცთუ ძნელად სავალია და სირთულით დაახლოებით ლიხის ქედის გადასასვლელების მსგავსია. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ახლაც იყენებენ სასიარულოდ (ამ გზაზე სოფ. სულორთან "საკაილეში" ძვ.წ. II-I სს.; მდ. ყუმურის ხეობაში სოფ. გაილოურთან "მსხალთაში" ძვ.წ. II-I სს. არქეოლოგიური მასალებია დადასტურებული; იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 32).

სტრაბონი ალბათ ამ ადგილებზე მიუთითებს, როცა გადმოგვცემს, რომ მითრიდატე "მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცაო" (იხ. სტრაბონი, XII, III, 28). მითრიდატეს ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა. მას ზომ ისევ რომთან ბრძოლის დიდი გეგმები უტრიალებდა თავში (იხ. აპიანე, "მითრიდატ.", 102), რაც უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა. მითრიდატეს გზაზე კი მდ. სულორის ხეობაში მდიდარი ქალაქი სური (ვანი) მდებარეობდა (ვანი-სურის შესახებ იხ. ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 131). ნაქალაქარის ნგრევის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი.

ვანის ნაქალაქარზე (ახლანდელ ქ. ვანთან) აღმოჩენილია ძვ.წ. II-I სს. საზოგადოებრივი, სატაძრო-საკულტო და ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ქალაქს ჰქონდა მძლავრი სამშენებლო პოტენციალი: კრამიტის, ალიზის აგურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები; მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა.შ. რაც მთაყარია, ყველაფერი ამის ამოქმედება მოითხოვდა გარკვეულ ორგანიზაციულ გამოცდილებას და სამშენებლო-საინჟინრო ცოდნას.

ვანის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში დიდძალი ადგილობრივი წარმოების (ქვევრები, ამფორები, ქოთნები,

ლოქები, ჯამები და სხვ.) და შემოტანილი უცხოური (სინოპეს, როდოსის, ქიოსის, კნიდოსის, კოსის კერამიკული ტარა; მცირეაზიური, შავი და წითელლაკიანი კერამიკა და სხვ.) კერამიკაა ნანახი, რაც კარგად დაყენებულ სავაჭრო საქმიანობაზე მიუთითებს. ნაპოვნია, აგრეთვე, ტერაკოტების დასამზადებელი ყალიბები. გვხვდება დიდი რაოდენობის ვერტიკალური საქსოვი დაზვის საწაფები; ადგილობრივად დამზადებული და უცხოეთიდან შემოტანილი ოქრომჭედლობის ნიმუშები; სატევრები, შუბები, საბრძოლო ცულები, ისრის პირები, ჯავშნის ფირფიტები, ფარები, ცხენის აღკაზმულობა, ქვის ყუმბარები, შურდულის ქვები, ურნალის თავი და სხვ. (არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. "ვანი," 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1983). ქალაქი ეკონომიკურად ძლიერი იყო. აქ, ხელოსნობა და ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული.

მას ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწები - მთისძირი, შუამთა, გაილოური, კეჭინარა, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი "საკაკილე," ძულუხი, ბზვანი და მათ ურბანისტულ ცენტრს წარმოადგენდა (იხ. გამყრელიძე, 1982, გვ. 36, 55). ქალაქს მძლავრი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა და, ბუნებრივია, დამცველი რაზმებიც ეყოლებოდა.

არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ ქალაქი ძვ.წ. I ს -ში რამდენჯერმეა დანგრეული (იხ. ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 141). საფიქრებელია, რომ ერთ-ერთი ნგრევა პომპეუსმა ჩაიდინა, რომელიც "კოლხეთში შეიჭრა" (პლუტარქე, "პომპეუსი," 34). პომპეუსმა "კოლხებთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან ... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით განაერცო რომაელთა ძალაუფლება..." (აპიანე, "მითრიდატეს ომები," 114; იხ. გამყრელიძე, 1993, გვ. 62). პომპეუსის წინ ქ. "ვანი" დაარბია მითრიდატემ. იგი ქალაქის გაძარცვის შემდეგ, თავისი მეომრებით გადავიდა მდ. ფასისზე (რიონი) და გაემართა ქალაქ დიოსკურიისაკენ. მან აქ რომის წინააღმდეგ ახალი გეგმების შემუშავებაში გაატარა ზამთარი (აპიანე, "მითრიდატ." 101), ხოლო შემდეგ "ხმელეთის გზით" წავიდა ბოსფორში (დიონ კასიუსი, "რომის ისტ." XXXVI, 50), რადგან საზღვაო გზა რომაელებს ჰქონდათ ბლოკირებული.

"დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა" (პლუტარქე, 1957, გვ. 117). პომპეუსმა კოლხეთში დაამარცხა და ტყვედ იგდო სკეპტუხი ოლთაკე (აპიანე, "მითრიდატ." 117). საინტერესოა, რომ ამდაგვარივე სახელის (Otaces) იბერთა სამხედრო რაზმის წინამძღოლს იხსენიებს რომაელი ავტორი ვალერიუს ფლაკუსიც (იხ. Latyshev, 1904, გვ. 210).

ვანის ნაქალაქარზე ამ ნგრევის ფენაში ნაპოვნია რომაული მონეტები და რომაული საბრძოლო შუბი - Pilum-ი. ქალაქი არსებობას პომპეუსის დალაშქერის შემდეგაც აგრძელებს, მაგრამ მისი ეკონომიკური საყრდენი უკვე მოშლილია.

ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ყუმბარსატყორცნი (ლოდსატყორცნი), ონაგრის ან ბალისტას ტიპის მანქანებს (ამ ტიპის მანქანების შესახებ იხ. Marsden, 1969), როგორც თავდამსხმელები, ასევე ქალაქის დამცველები იყენებდნენ. თავდამსხმელები ყუმბარებით ქალაქის ნაგებობებს, ხოლო ქალაქის გარნიზონი მომხდურებს ყუმბარებით სააღყო მანქანა-მოწყობილობებს უზიანებდა. ქვის ყუმბარები, უმეტესწილად, ვანის ნაქალაქარის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, თავდაცვითი კედლის და კარიბჭის კომპლექსის ნანგრევებში დადასტურდა. ყუმბარსატყორცნი მანქანები ალბათ, ძირითადად გალაკანთან იყო განლაგებული, რათა მოწინააღმდეგის დასაზიანებელ ობიექტებთან უფრო ახლო ყოფილიყო. ყუმბარსატყორცნიდან ნასროლი ჭურვი მოწინააღმდეგეს 150-200 მ-ზე წვდებოდა და აზიანებდა.

ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტუფის ქვისაგან გამოთლილი მრგვალი ბირთვების, ყუმბარების დიამეტრი 10-დან 30 სმ-მდეა. შესაბამისად, ისინი სხვადასხვა კალიბრისა იყო. ასეთი, სპეციალურად, მრგვალად გამოთლილი ყუმბარები, ეტყობა ძირითადად ქალაქის გარნიზონის იყო. მომხდურები უფრო ჩვეულებრივ, არა მრგვალ ლოდებს იყენებდნენ სატყორცნად, რომლებიც მდ. რიონის ჭალებიდან მოჰქონდათ. ყუმბარ-ჭურვების სატყორცნი მანქანები გალაკანზე და კოშკებზე იყო განთავსებული. მათ გვერდზე ყუმბარების მარაგი ეწყო.

ვანის ნაქალაქარზე 300-მდე ქვის მრგვალად გათლილი ყუმბარაა აღმოჩენილი. საერთოდ, ყუმბარსატყორცნების დამზადებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო საჭირო. მათი ამოქმედება კი გარკვეულ სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქში ყუმბარ-მტყორცნელთა ანუ არტილერიისტთა სპეციალურად გაწვრთნილი მეომრები ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ასეთი იარაღი და მისი გამოყენებელი მებრძოლები, მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებს და სახელმწიფოებს ჰქონდათ.

კავკასიაში ძვ.წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ რომის რესპუბლიკის ლეგიონერები გნეუს პომპეუს მაგნუსის ხელმძღვანელობით. რომს აქ ძირითადად იზიდავდა ეკონომიკურ-სტრატეგიული გამორჩენა; ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; ახალი საეაჭრო გზების და საქონლის გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდება. ამის გარდა ერთ-ერთი მიზანი კოლხეთში გაქცეული მითრიდატე ეპატორის შეპყრობაც იყო.

ფრიად საყურადღებო იყო შუა აზიიდან მომავალი გზა, კასპიის ზღვიდან მდ. მტკვარზე ლიხის ქედის გადასვლით, მდ. ფასისზე გავლით შავ ზღვამდე (პლინიუსი, VI, 50). ეს გზა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის შემდეგ, რაც გაძლიერებულმა პართიის სახელმწიფომ თავის კონტროლს დაუქვემდებარა ჩინეთიდან და ინდოეთიდან მომავალი სამხრეთის სატრანზიტო მაგისტრალები.

კავკასიონის ქედი კარგი წინააღმდეგობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-შეომარი ტომების ტრანსკავკასიასა და მცირე აზიაში შემოჭრის რეგულირებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მამისონის, დარიალისა და დერბენტის გადასასვლელები. ვის ხელშიაც ეს გზები იყო, მას შეეძლო კონტროლი გაეწია ჩრდილოკავკასიური მეომარი ტომების მოძრაობისათვის.

ამასთანავე, პომპეუსს პირადი პატივმოყვარული ინტერესებიც ამოძრავებდა. გაიუს მანილიუსის კანონის - Lex Manilia მიხედვით, პომპეუსმა ერთპიროვნული ძალაუფლება მიიღო. მას აღმოსავლეთის პროვინციებში მყოფი ყველა ლეგიონი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ექვემდებარებოდა. პომპეუსს თავისი შეხედულების მიხედვით შეეძლო დაენიშნა ან გადაეყენებინა

მმართველები, ეწარმოებინა ომები, დაედო ზავი. აქამდე რომი რესპუბლიკაში ასეთი დიდი ძალაუფლება არავის მიუღია (აპიანე, 97).

აღმოსავლეთის ქვეყნებში პომპეუსის ჩასვლის დროისათვის ლუკულუსს მითრიდატე ევპატორთან ომი თითქმის ბოლომდე ჰქონდა მიყვანილი. პომპეუსს კი ღიღება-სახელისათვის დამოძვალი ტრიუმფებისათვის ახალ-ახალი ომები სჭირდებოდა პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობა, რასაკვირველია, მხოლოდ მითრიდატე ევპატორის დევნითა და მასზე საბოლოო გამარჯვების მოპოვების წყურვილით არ აიხსნება, თუმცადა ერთ-ერთ მიზეზი ესეც უნდა ყოფილიყო.

პომპეუსის ლეგიონერები ტიგრან II-ზე გამარჯვების შემდგომ მდ. მტკვრის ზემო წელთან დაბანაკდნენ. აქ იბერიელთა მეფე არტოკეს წარმომადგენლები მოვიდნენ მორიგების წინადადებით. არტოკემ პომპეუსს "შეგობრობა" შესთავაზა და იმავე დროს დაიწყო საომარი მზადება. არტოკე ალბათ, დაზვერვის შედეგად საქმის კურსში იყო რომაელების საომარი გადაადგილების თაობაზე. პომპეუსმა გაიგო ამის შესახებ და იბერიაში თვითონ შეიჭრა. ვიდრე იბერები მოზადებას მოასწრებდნენ და ძნელად ჩასაკეტი გასასვლელები: გამაგრებას, პომპეუსი სწრაფად შევიდა მეფე არტოკეს სამფლობელოში. იგი მალევე მიაღდა სატახტო ქალაქ მცხეთას და მის აკროპოლისს (არმაზციხეს). არტოკემ, ეტყობა, ვერ მოახერხა თავისი ძალების სწრაფად მობილიზება მტრის წინააღმდეგ და გაცლა არჩია. მცხეთის აკროპოლისი მიატოვა გადავიდა მტკვარზე და ხიდი დაწვა (დიონ კასიუსი, XXXVII 1, 2). რომაელებმა მდ. მტკვრის მარჯვენა მხარე დაიკავეს და დაიწყეს მდინარეზე გადასვლისათვის მზადება. ამი შემხედვარე არტოკემ პომპეუსს ელჩები ზავის სათხოვნელად გამოუგზავნა. იგი სანაცვლოდ პომპეუსს ხიდის აღდგენას და სურსათით მომარაგებას დაპირდა. არტოკემ მიცემული სიტყვა შეასრულა, მაგრამ პომპეუსი მაინც გადავიდა მდ. მტკვარზე და შეუტია იბერიელებს. არტოკემ დაიხია მდ. არაგვისაკენ (პელორი). პომპეუსის მეომრები ელვისებურად გადავიდნენ შეტევაზე და მოწინააღმდეგე დაამარცხეს. არტოკემ ბუნებრივია, იმდროინდელი უძლიერესი სახელმწიფოს კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი, ბრძოლებში გამობრძმედილი

ჯარისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა. ამიტომ იგი ამ შემთხვევაში ერთადერთ სწორ გზას — დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა, რადგან მიხვდა, რომაელებთან პირდაპირ შეჯახებაში მათი გამკლავება გაუჭირდებოდა.

ბრძოლებში ცხრა ათასი იბერიელი დაიღუპა (პლუტარქე, პომპეუსი, 34). ბოლოს არტოკემ პომპეუსს ზავი შესთავაზა. პომპეუსმა შეატყო, რომ იბერებთან პარტიზანული ხასიათის გაუთავებელი ბრძოლები მოელოდა, რაც საომარ კამპანიას გააჭიანურებდა და უარყოფითად იმოქმედებდა ლეგიონერების საბრძოლო განწყობილებაზე და ამიტომ ზავზე დათანხმდა. იბერია "რომის მეგობრად და მოკავშირედ" გამოცხადდა. ამგვარად, იბერია რომის მიმართ ნახევრად ვასალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ქვეყანა გადარჩა სრულ დარბევას და არტოკემ სამეფო ტახტი შეინარჩუნა.

იბერიასთან მოგვარებული ურთიერთობების შემდეგ პომპეუსი გადავიდა ლიხის ქედზე და "კოლხეთში შეიჭრა" (პლუტარქე, პომპეუსი, 34). როგორც ჩანს, ძლიერ ციხესიმაგრე შორაპანს წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისათვის, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროისათვის შორაპანი, ეტყობა, არტოკეს ექვემდებარებოდა, მას კი რომთან სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. სტრაბონი სარაპანისის (შორაპანის) შესახებ გადმოგვცემს: "სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა" (XI, II, 17); "კოლხეთიდან იბერიაში შესავალი დახშულია კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობებით" — (XI, III, 4).

შიდა კოლხეთი რომაელების გამოჩენის დროს სკეპტუხიბად იყო დანაწილებული. საფიქრებელია, რომ მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა (მაგ., შორაპანი, რომელიც უბრძოლველად გაიარა პომპეუსმა), ხოლო ნაწილი კი, ეტყობა, სეპარატისტულ, შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (მაგ., "ვანის" სკეპტუხია, რომელიც, ალბათ, ერთ-ერთ ძლიერ რეგიონს წარმოადგენდა).

კოლხეთში პომპეუსი მარტო მშვიდობიანი გზით, რომ არ მოქმედებდა, ამაზე მიუთითებს აპიანეს ცნობა — პომპეუსმა "კოლხეთთან, ალბანელებთან, იბერებთან, არმენიელებთან... და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან წარმატებული ბრძოლებით

განავრცო რომაელთა ძალაუფლება..."-ო (აპიანე, "მითრიდატეს ომები," 114). ამასვე აღნიშნავს ფლორუსი ("მითრიდატეს ომები," 40) პომპეუსმა "დაამარცხა კოლხები"-ო (Latyshev, 1904, გვ. 258). რომაელთა აგრესიულობის დასტურია ისიც რომ რომში პომპეუსის ტრიუმფის დროს ტყვეთა შორის წარმოდგენილია "კოლხების სკეპტუხი ოლთაკე" (აპიანე, 117) შესაძლებელია, რომ ოლთაკე ქ. "ვანის" სკეპტუხთა გვარიდან იყო, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია პომპეუსს (იხ. ინაძე 1987, გვ. 59).

აპიანე (მითრიდატეს ომები, 117) ტრიუმფის მონაწილეებს იერარქიული თანამიმდევრობით ჩამოთვლის; აქ აშკარად ჩანს, რომ ოლთაკე ჩვეულებრივი სარდალი კი არ არის, არამედ ძველი კოლხეთის ხელისუფალთა გვარისაა. იგი სიაში მეფეებსა და მათ შვილთა შორის არის დასახელებული (ყაუხჩიშვილი, 1959, გვ. 36). ასეთი წარმომავლობა, საფიქრებელია, მას აძლევდა უფლებას, რომ ცალკე, არტოკეს პომპეუსთან დაზავების შემდეგ, კიდევ გაეგრძელებინა საკუთარი სამფლობელოების რომაელებისაგან დაცვა.

რომაელებს არ დაემორჩილა და კავკასიონის მთებს შეაფარა თავი კოლხთა მმართველმა ოროზმა, როგორც ამას გადმოგვცემს რომაელი ავტორი ფლორუსი ("მითრიდატეს ომები," X, 28) (იხ. Latyshev, 1904, გვ. 258; The loeb classical library, 1957, გვ. 186-188). ოროზი, ჩანს, კოლხეთის რომელიღაც მხარის წინამძღოლ-მმართველი იყო, დაახლოებით ოლთაკესნაირი, რომელიც არ დაემორჩილა რომაელებს.

დასავლეთ კოლხეთში მითრიდატე ევპატორს მოაფერნე პყავდა მმართველად დაყენებული. მას კი წინააღმდეგობა არ გაუწევია პომპეუსისთვის. ყოველ შემთხვევაში, მოაფერნეს საბრძოლო მოქმედება წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. საყურადღებოა, რომ იგი არ არის პომპეუსის ტრიუმფის სიაში. შესაძლებელია, მოაფერნემ ჯერ მითრიდატესთან ერთად დაიზამთრა დიოსკურიაში, ხოლო შემდეგ მასთან ერთად ბოსფორისაკენ გაიქცა.

პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ჩადის ზღვაში (ეტყობა ქ. ფასისში), სადაც მას სერვილიუსი ფლოტით შეეგება (პლუტარქე, პომპეუსი, 34). რომაელები დიოსკურიის მითრიდატე ევპატორის კოლხური რეზიდენციის მიმართულებით

აღარ წავიდნენ, რადგან შესაძლებელია, რომ მითრიდატეს გაქცევის შემდეგ ქალაქი თავისი ნებით გადავიდა პომპეუსის მხარეზე და წარმომადგენლები აახლა.

სოხუმის (დიოსკურიის) არქეოლოგიურ ძეგლზე ძვ.წ. I საუკუნის კულტურული ფენები სუსტად არის წარმოდგენილი. აქ რაიმე ნგრევის კვალი ჯერჯერობით არ ჩანს. ზღვამდე მისულმა პომპეუსმა მითრიდატეს დევნა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა. პლუტარქეს თქმით, "ბოსფორისა და მეოტიდის მახლობლად მცხოვრებლებთან თავშეფარებული მითრიდატეს დევნა ფრიად დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს, პომპეუსს აუწყეს: ალბანელები ხელახლა აჯანყდნენო. რისხვითა და შურისძიების სურვილით ანთებული პომპეუსი ალბანთა წინააღმდეგ დაიძრა" (პლუტარქე, პომპეუსი, 34).

პომპეუსს "სრულებითაც არ უნდოდა მტრის დევნა ამაოდ. იგი სხვა საქმეებს აკეთებდა, რომლებიც, ასე თუ ისე, მითრიდატეს ომთან იყო დაკავშირებული და დროს აჭიანურებდა" (პლუტარქე, პომპეუსი, 41). კლდე-ღრეებში მითრიდატეს დევნას პომპეუსმა მოქნილი პოლიტიკა ამჯობინა. როგორც ჩანს, მან მითრიდატეს შვილთან ფარნაკესთან კავშირი გააბა და მისი ხელით მოუსწრაფა მას სიცოცხლე. პლუტარქე აღნიშნავს, რომ მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ფარნაკემ მიისაკუთრა და პომპეუსს შეატყობინა - "ყველაფერი ეს ჩემთვისა და რომაელებისათვის მივიღეო" (პლუტარქე, პომპეუსი, 41). მამის "შეკვლევი" ფარნაკე პომპეუსმა "რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ გახადა და უბოძა ბოსფორის მეფობა..." (აპიანე, მითრიდატეს ომები, 113). წავიდა რა პომპეუსი აფსაროსის გასასვლელის და აღმოსავლეთ ანატოლიის გავლით გაურჩეული ალბანელების დასაშოშმინებლად (დიონ კასიუსი, XXXVII, 3; პლუტარქე, პომპეუსი, 35), კოლხეთის გამგებლად არისტარქე დატოვა (აპიანე, 114).

პომპეუსის მიერ აღზევებული არისტარქე შესაძლოა არ იყო ისეთი მაღალი, მეფური გვარის წარმომადგენლის, რომ კოლხ სეკატუსებს ელიარებინათ მისი სუზერენობა და ამიტომ ამჯობინა არ გაელიზიანებინა ისინი. საფიქრებელია, ამიტომ, არისტარქე შიდა კოლხეთში კი არ ჯდება, არამედ დიოსკურიას ირჩევს მთავარ რეზიდენციად, რომელიც ადრე მითრიდატეს კოლხური რეზიდენცია იყო. ქალაქი სანაპიროზე კომუნიკა-

ციური თვალსაზრისით არისტარქესთვის რეზიდენციად უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. აქედან უფრო კარგა შეიძლებოდა, ერთი მხრივ, კოლხეთის კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ, რომაელებთან კავშირი.

სანაპიროზე არისტარქეს რეზიდენციის (დიოსკურად მდებარეობის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ თვითონ სახელი არისტარქე - ბერძნულია. ბერძნული ეთნიკურ-ელემენტის სიჭარბე კი ძირითადად ზღვის სანაპიროსთვის იცხადამახასიათებელი. შესაძლოა, რომ არისტარქე წარმოშობით რომელიმე სანაპირო ქალაქის (გამყრელიძე, 1985, გვ. 95) არისტოკრატიული გვარიდან იყო და ამიტომ, ბუნებრივია, - უფრო მყარი პოლიტიკური დასაყრდენი ექნებოდა საინტერესოა, რომ ამავე ეპოქის კოლხი სკეპტუხი ოლთაკე სახელი ბერძნული არაა.

სამწუხაროდ ის, თუ როგორი იყო არისტარქეს რეალურ ძალაუფლება, ან კონკრეტულად კოლხეთის რა ნაწილს ექვემდებარებოდა მას, საისტორიო წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს. ჩვენთვის აგრეთვე, უცნობია, არისტარქეს მმართველობა ზუსტად რამდენ ხანს გრძელდებოდა. საგულგებელია რომ არისტარქე მმართველობს ძვ.წ. 48 წლამდე, ბოსფორის მეფის ფარნაკეს დასაყრდენ კოლხეთში შემოჭრამდე (ისტრაბონი XI, II, 17).

რომაელები ექსპანსიის დასაწყისში მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში ცნობილია, რომ კი არ ცვლიდნენ არსებულ სამმართველო-კანონმდებლური აპარატის სტრუქტურას, არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ (იხ. Ранович, 1949, გვ. 70). ისინი, ასევე მოიქცნენ კოლხეთში. მათ მმართველად დანიშნეს არისტარქე და მას საგამგებლო აპარატის სტრუქტურა ძველი დაუტოვეს, მითრიდატესნაირი, ალბათ კოლხეთის მმართველის რეზიდენციად იგივე დარჩა, მითრიდატესული - დიოსკურია. საფიქრებელია, რომ შიდა კოლხეთის "სკეპტუხიებზე" (მაგ., ოლთაკეს სკეპტუხიანზე) არისტარქე ძალაუფლება ეფემერული იყო. ჯერ კიდევ ლუკულუსს მითრიდატესთან ომის დროს აღნიშნავდა ამ მხარის სრულად დამორჩილების სიძნელეებს (პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

რომში, ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში შიდაპოლიტიკურმა ბრძოლამ განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია (იხ. Утченко

1965, გვ. 51). პომპეუსის დამარცხების შემდეგ ძალაუფლება გაიუს იულიუს ცეზარმა იგდო ხელთ. ძვ.წ. 44 წელს იულიუს ცეზარი მოკლეს. ამის შემდეგ შეიქმნა ტრიუმვირატი - ოქტავიანე, ანტონიუსი, ლეპიდუსი. მალე ტრიუმვირებიც ერთიმეორეს დაერივნენ. გახანგრძლივებულმა შიდაპოლიტიკურმა ბრძოლებმა დაასუსტა რომის ძალაუფლება პერიფერიაში. თავი წამოყვეს სეპარატისტულად განწყობილმა ხელისუფლებმა.

შექმნილი მდგომარეობის გამოყენება სცადა მითრიდატე ევპატორის შვილმა, ბოსფორის მეფემ ფარნაკემაც. მან გადაწყვიტა პონტოს სამეფოს მამისეულ ფარგლებში აღდგენა. დიონ კასიოსი გადმოგვცემს: "როგორც ნათქვამი იყო, მან (ფარნაკემ) მოინდომა მთელი მამისეული სამეფოს დაბრუნება და აჯანყდა სწორედ ცეზარისა და პომპეუსის ურთიერთშორის ბრძოლის დროს, რადგან რომაელები მაშინ საკუთარი საქმეებით იყვნენ გართული" (XLII, 45). წავიდა რა მამამისის ყოფილი აზიური სამფლობელოებისაკენ, ფარნაკეს, ბუნებრივია, თუ ზღვით არ წავიდოდა, უმოკლესი გზით, კოლხეთზე უნდა გაეველო.

უცნობია, ფარნაკემ არისტარქე დაამარცხა თუ შეიკავშირა. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ფარნაკემ "ყველა იქაური მეფე და ტეტრარქოსი საამბოხოდ წააქეზაო" (ცეზარი, 50). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფარნაკეს მოქმედების შესახებ მხოლოდ ერთადერთი ცნობაა შემონახული, სადაც აღნიშნულია, რომ მან გაძარცვა ლევკოთეას სამლოცველო. სხვა არც ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ფარნაკეს ბრძოლებს ეხება, ლევკოთეას გაძარცვის შესახებ არაფერს ამბობს (იხ. დიონ კასიუსი, პლუტარქე, აპიანე). სტრაბონთან აღნიშნულია, რომ - "... ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული, და მისი სამისნო ...; ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით, მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული" (XI, II, 17).

მცირე აზიაში ვიდრე ფარნაკე ბრძოლებს აწარმოებდა, ბოსფორში მის მიერვე დანიშნული მმართველი ასანდრი აჯანყდა. მას უნდოდა ფარნაკეს წინააღმდეგ გამოსვლით რომაელების გული მოეგო და მათი ხელშეწყობა-თანხმობით ბოსფორში ხელისუფლება ეგდო ხელთ (დიონ კასიუსი, XLII, 46).

ძვ.წ. 47 წელს ქალაქ ზელასთან (აღმოსავლეთ ანატოლია) იულიუს ცეზარმა სასტიკად დაამარცხა ფარნაკე (იხ. პლუტარქე, კეისარი, 50; დიონ კასიუსი, XLII, 47; აპიანე, 120). დამარცხებული ფარნაკე ზღვისკენ წავიდა ბოსფორში გადასასვლელად. ბოსფორში მას აჯანყებული ასანდრი შეებრძოლა და დაამარცხა (აპიანე, 120; დიონ კასიუსი, XLII, 47). ამის მიუხედავად, ასანდრი რომაელებმა ბოსფორის მმართველად მაინც არ დანიშნეს. ბოსფორის სამეფო იულიუს ცეზარმა, სხვა ტერიტორიებთან ერთად, თავის მოკავშირე მითრიდატე პერგამონელს უბოძა. მაგრამ ბოსფორი მითრიდატე პერგამონელს ასანდრისაგან ხმლით უნდა მოეპოვებინა (დიონ კასიუსი, XLII, 48). რა ხდებოდა კოლხეთში ზემოხსენებული ომების დროს, წერილობითი წყაროებიდან უცნობია. შესაძლებელია, რომ შიდა კოლხეთში შეჭრა და ადგილობრივი მმართველ-სკეპტუხების ამხედრება ამ შემთხვევაში მეომარი მხარეების ინტერესებში არ შედიოდა. სრულიად ბუნებრივია, რომ არცერთ მეომარ მხარეს არ ენდომებოდა ზურგში აჯანყებულები ყოლოდა. ამიტომ, ალბათ, შიდა კოლხეთის სკეპტუხია-სამთავროები ამ ომების დროს გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

ოქტავიანე აუგუსტუსის დროს რომის აღმოსავლური პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიური და მოქნილი გახდა. რომაელების მომხრე მეფე პოლემონს მიეცა განკარგულება, რომ ბოსფორში ასანდრის გარდაცვალების შემდეგ რომის ფაქტიური ძალაუფლება აღედგინა (დიონ კასიუსი, IV, 24§4§). დასავლეთ კოლხეთი ამჯერად უკვე პოლემონის საბრძოლო ოპერაციების არეალში უნდა მოხვედრილიყო, რადგან ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. პოლემონმა დასავლეთ კოლხეთი ოქტავიანე აუგუსტუსის დასტურით შეუერთა პონტოს. სტრაბონი გადმოგვცემს: "პოლემონს ჰქონდა კოლხეთი, ხოლო როდესაც ის მოკვდა (ძვ.წ. 8 წ.) მისი მეუღლე პითოდორისი ფლობდა კოლხეთს..." (XI, II, 18).

რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში შავიზღისპირეთს ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ადგილი ეკავა. შავიზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. რომს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდა ლითონი, ხე-ტყე, მარცვლეული,

ტყავეული, სელი, ღვინო (იხ. სტრაბონი, XI, II, 17). I საუკუნის რომაელი ავტორი მარკუს მანილიუსი აღნიშნავს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალები (V, 376).

დასავლეთ კოლხეთი პოლემონის პონტოს შემადგენლობაში იმპერატორ აუგუსტუსის დროს შედის. ამ დროისათვის დასავლეთ კოლხეთი, მართალია, უშუალოდ არ ექვემდებარებოდა რომს, მაგრამ პონტოს სამეფოს საშუალებით რომის პოლიტიკურ გავლენაში მაინც ექცევა. ამ ხანებში რომის ლეგიონერები კოლხეთის მიწაზე არ იდგნენ. რომის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო აღმოსავლეთის საზღვრებთან შეექმნა ფაქტიურად მასზე დამოკიდებული, ხოლო ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნები, რომელთა ხელითაც რომი სასაზღვრო რეგიონებში სათავისო პოლიტიკას გაატარებდა (Ломоури, 1980, გვ. 136). ერთ-ერთი ასეთი სამეფო პოლემონის პონტო იყო, რომელშიც ზღვისპირა კოლხეთის ნაწილიც შედიოდა. პოლემონის პონტოს მნიშვნელოვანი ცენტრი - ქალაქი ტრაპეზუნტი ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა მასთან.

მიუხედავად ძლევამოსილებისა, რომმა მაინც ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელის და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა - ამ მხარის დამორჩილება ძალიან ძნელიაო (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

მართლაც, შიდა კოლხეთი თავისი ბიოგეოგარემოთი - ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით, უღრანი ტყეებით - ადვილად დასამორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. ამას ემატებოდა, აგრეთვე, აგრესიულად განწყობილი, ძლიერი სამთავროები-სკეპტუხიები. ზღვისპირეთისათვის კი რომაელები გარკვეული კონტროლის გაწევას ახერხებდნენ. ამაში მათი ძირითადი საყრდენი უნდა ყოფილიყო სანაპირო ქალაქები, რომლებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, ანტიკურ-რომაული სამეურნეო-კულტურული გავლენა შედარებით ძლიერი იყო. კოლხეთის ზღვისპირეთი ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებ-

ლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად მცირე აზიასა და ბოსფორში.

კოლხეთი გადაიქცა პონტოს სამეფოსა და რომს შორის საომარი მოქმედებების ასპარეზად, რითაც ადგილობრივ მოსახლეობა დიდად უნდა დაზარალებულიყო. რომს გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის და შემდგომ იბერიის განვითარების პროცესზე. ეს ზემოქმედება უარყოფითად გამოდგა - ზღვისპირეთი რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი, რომაელთა მოქნილ პოლიტიკის შედეგად, არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებულ "სამთავროების" განვითარებით დასრულდა (მაგ., სანიგეთი ლაზეთი, აფსილეთი, აბასკეთი; იხ. არიანე, "მოგზაურობა შავ ზღვის გარშემო," 11). რომმა - იმ დროისათვის მაღალგანვითარებულმა სახელმწიფომ, რამდენადმე დადებით როლი ითამაშა. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ახლო გაეცნო იმ დროისათვის მოწინავე რომაულ კულტურას სანაპირო ქალაქებში რომაული სავაჭრო კაპიტალი გამოჩნდა გაეცნენ ახალ საომარ ტექნიკას და ტექნიკას.

ფრიად საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. 401 წ. კოლხებმა მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ, ექიმური იარაღის მაგვარი რამ გამოიყენეს. კერძოდ, როცა ჯარისკაცებმა აიღეს კოლხების დასახლებული პუნქტები და იშევიდნენ, ადგილობრივებმა იქ დატოვეს სპეციფიკური თაფლი "მეომართაგან ვინც კი თაფლი ჭამა, გონება დაკარგა," ... "ის ეყარნენ, როგორც დამარცხების შემდეგ ბრძოლის ველზე (ანაბასისი IV, 8, 20-21). კოლხი მეზომოლების ატაქტიკურმა ფანდმა მეომრები მწყობრიდან გამოიყვანა. სპეციფიკური თაფლის საომარი მიზნით გამოყენება წერილობით წყაროებში აგრეთვე ძვ.წ. I ს-შია დადასტურებული. ეს ამბავი დაახლოებით იგივე ადგილებში მოხდა. კერძოდ, რომაელ სარდალს პომპეუსს "... ამოუწყვიტეს სამი სპიერი (დაახლოებით 350 მეომრიანი რაზმი), რომლებიც მოძრაობდნენ ამ მთებში. მათ მეომრებს გზაზე კრატერებით (სპეციფიკურ ფართოპირიანი ჭურჭელი) შერეული გამაცოფებელი თაფლი დაუდგეს." რომაელმა მეომრებმა "... შეჭამეს ის და ცუდად

გახდნენ; მაშინ მათ თავს დაესხნენ და ადვილად დახოცეს" (სტრაბონი XII, III, 18).

კოლხეთში სამხედრო მოქმედებების დროს "მედეას ზეთი," ნავთობი (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 2001, გვ. 26-32) და სხვა კომპონენტები გამოიყენებოდა, რომელიც თანამედროვე "ნაპალმს" ჰგავდა თავისი მოქმედებით. კერძოდ, ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი კოლხეთში ქ. ფასისიდან სამხრეთით ციხე-ქალაქ პეტრასთან (დღევანდელი სოფ. ციხისძირი ქ. ქობულეთთან) რომაელებისა და ირანელების ბრძოლას აღწერს, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას – "მათ აავსეს ქოთნები გოგირდით, ასფალტით და ერთი საწამლაკით, რომელსაც მიდიელები ნავთს ეძახიან, ელინები კი მედეას ზეთს, მოუკიდეს მათ ცეცხლი და ესროდნენ კედლის დამანგრეველ მანქანებს, რომლებიც თითქმის უმეტესობა დაწვეს", "... მაგრამ მათ დიდხანს ვერ გაუძლეს ამას, ვინაიდან ცეცხლი, სადაც კი მოეღებოდა, მაშინვე აგიზგიზდებოდა, თუ ის მაშინვე არ იყო უკუგდებული," "ცეცხლი ავარდა, მოედო და კოლხი მედეას სახელით ცნობილი ზეთისა და სხვა მომარაგებულ ნივთიერებათა წყალობით მთელი კოშკი და იქ მყოფი ირანელი მეომრები გადაწვეს" (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 11, 36-40).

მითრიდატეს ჯარში მყოფი იბერი მეომრები დაქირავებული პროფესიონალები უნდა ყოფილიყვნენ (პლუტარქე, "ლუკულუსი" 26). იქვე აღნიშნულია, რომ რომაელი სარდლის "ლუკულუსის წინააღმდეგ რჩეული და მრავალრიცხოვანი ჯარი იდგა. ჯარს წინ ცხენოსანი მშვილდოსნები – მარდები და შუბოსანი იბერები (საპეციალური დანაყოფი) უძლოდნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე დიდ ნდობას, როგორც საუკეთესო მეომრებს ..." (პლუტარქე, "ლუკულუსი" 30) სარდლობა სწორედ მათ უცხადებდა.

მნიშვნელოვან მონაცემს გვაწვდის საქართველო-რომის ურთიერთობების შესახებ ბრძოლის ამსახველი ფრიზი ვერცხლის სასმისზე, რომელიც აღმოჩნდა სოფ. გომში (ზემო რაჭაში). სიმაღლე 13 სმ; წონა - 86 გრ.; სასმისი ქ. ქუთაისის სახ. მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში ინახება (ინვ. № 111) (სასმისის შესახებ დაწვრილებით იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 39-49). სასმისს სამი სარტყელი

ამკობს. ზემოდან პირველი - კანელურებიანი ფრიზი; მეორე - ოთხი ადამიანის ურთიერთბრძოლის სცენა; მესამე - ორი ცხოველი და ხე.

კანელურების ქვემოთ ორი ორთაბრძოლის სცენაა გამოხატული. მარცხნიდან პირველ წვეროსან ადამიანს თავზე მუზარადი ახურავს; ზეაწეულ ხელში სამკერებლად გამზადებული მოკლე შუბი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში ოთხკუთხა ფარი უჭირავს. მეორე მეომარი სახით პირველისაკენაა გამოსახული და მშვილდ-ისარს უმიზნებს პირველს. მას თავზე მუზარადი, ტანზე უსახელო სამოსი და პირველი მეომრისნაირი ფეხსაცმელი აცვია. მესამე მეომარი მეორისადმი ზურგით დგას, თავზე მუზარადი ახურავს; მარჯვენა ხელში სატევარი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში პირველი მეომრისნაირი ფარი უჭირავს. მეოთხე მეომრის ფიგურა სახით მესამისაკენაა მიმართული და ხელში შუბი უჭირავს. სასმისზე გამოსახულ ოთხიდან ორ მეომარს ერთნაირი კონფიგურაციის ფარი უჭირავს. ფარი ოთხკუთხაა და მარჯვენა ზედა კუთხე ამოჭრილი აქვს.

ბერძნული სამყაროსათვის ოთხკუთხა ფარები დამახასიათებელი არაა. ადრეული რომაული ფარები წრიულია, ხოლო დაახლოებით ძვ.წ. III ს-დან ჩნდება ოთხკუთხა. ვერტიკალზე ოდნავ მოღუნული ფარები. პოლიბიოსი "ისტორიაში" (VI, 23, 2-4) აღმოგვცემს, რომ ფარები შედგება ხის ფირფიტებისაგან და დაფარულია ტყავით (ზომები დაახლოებით 120×80 სმ). ფარს, ზედა და ქვედა მხარეს შესაკერელად რკინის გარსაკრავები ერტყა. შემდგომ კუთხეებიანთან ერთად თანაარსებობენ ოვალური და მოგრძო წაკვეთილ ბოლოებიანი რომბისებური, ექვსკუთხა ფარებიც. ფარის ცენტრში წრიული ლითონის უმბონი იყო. სამიჯ (ოთხკუთხა, ექვსკუთხა, ოვალური) ტიპის ფარი ქ. რომში ლუციუს სექტიმიუს სევერუსის ტრიუმფალური თაღის რელიეფებზეა გამოხატული. ოთხკუთხა ფარებია გამოხატული ქ. პომპეიში აღმოჩენილ გლადიატორთა ბრძოლის სცენებზეც.

მარკუს ფურიუს კამილუსის დიქტატორობისას, რომაელი ქვეითის ძირითად ფარად იქცა ოთხკუთხა ფარი - სკუტუმი (scutum). აქედან მოყოლებული, დაახლოებით ახ.წ. III საუკუნემდე ამ ტიპის ფარები დომინირებენ რომის ქვეითთა

არშიაში (ცხენოსნებს ოვალური აქვთ). ამგვარი ოთხკუთხა ფარები უნდა ჰქონოდათ პომპეუსის ლეგიონერებს, როცა ძვ.წ. 65 წელს პირველად გამოჩნდნენ ტრანსკავკასიაში და იბერიის მეფე არტოკესთან მოუხდათ შეტაკება (იხ. გამყრელიძე, 2001, გვ. 57-69). რომის იმპერიის ეპოქაში ფარის ზომები შემცირდა და ძირითადად მეომრის ტორსს ფარავდა (Connolly, 1988, გვ. 230-234). დასავლეთ საქართველოში, წებელდაში გათხრილ IV ს-ით დათარიღებულ არქეოლოგიურ კომპლექსში, აღმოჩნდა ოთხკუთხა ხის ფარი, კუთხეებში რკინის სამაგრებით და ლურსმნებიანი გარსაკრავით (ზომა - 48x68 სმ; იხ. Вороних, 1975, გვ. 95, სურ. 33).

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ არქეოლოგიურ მონაცემებში ხშირად ჩნდება ფარის წრიული, ბრინჯაოს ან რკინის "გული", უმბონი. ფარის ხისა და ტყავის სხვა ნაწილები მიწაში ცუდად ინახებოდა. უმბონის წრიულობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ფარიც აუცილებლად წრიული იყო (მაგ. წრიულ უმბონიანი რომაული ოთხკუთხა სკუტუმები). სტრაბონი "გეოგრაფიაში" გადმოგვცემს, ალბანელები "არიან შუბოსნები და მშვილდოსნები, აქვთ ტყავის აბჯრები და ფარები იბერების მსგავსად" (XI, 4, 5). აქ ნახსენებია რომაული სკუტუმის მსგავსი ფარი (იხ. Древнегреческо..., 1958, გვ. 802). მნიშვნელოვანია, რომ "გეოგრაფიის" ეს მონაკვეთი ქრონოლოგიურად კავკასიაში რომაელი სარდლის, პომპეუსის, ალბანელებთან და იბერებთან ბრძოლის ხანას ეხება.

გომის სასმისზე ასახულ მეომრებს მოკლე სამოსი აცვიათ, რომელიც სხეულს მენჯს ქვემოთ ფარავდა. ტანისამოსი გადმოცემულია ვერტიკალური ხაზებით. პირველ და მეორე მეომარს თითქოს ზემოდან უსახელო სამოსიც მოსაეს. პირველ და მესამე მეომარს წელზე ქამრები აქვთ. გამორიცხული არაა, რომ მებრძოლეს აბჯარი ეცვათ. არც ის არის გამოსარიცხი, რომ ხაზებით მოცემულია რომაული ლორიკას (lorica) მაგვარი აბჯარი.

საყურადღებოა, რომ ოთხიდან სამ მებრძოლს ფეხები, რომაელი ლეგიონერებივით შიშველი აქვს. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებულია ბრინჯაოს და რკინის საჯავმნე ფირფიტები და ჯაჭვის რგოლები. კერძოდ, ისინი აღმოჩნდა - ვანში, ეშერში, თაგილონში,

კლდეეთში, წებელდაში (შაპკა). ვანის ნაქალაქარზე გათხრილ მეომრის (№2) სამარხში დადასტურდა ასამდე რკინ ნახვრეტებიანი ფირფიტა. ასეთი ფირფიტებისაგან შეკრულ ა ჯარს ქერცლისებურს უწოდებენ. ნახვრეტებიანი ფირფიტე მავრდებოდა ტყავზე ან მკვრივ ტილოზე და ფარავდა მეომრ ტორსს. ცნობილია, რომ რომაელ მეომრებს ლითონის მოგრ ფირფიტებიანი აბჯარი *Lorica segmentata* ემოსათ. ევროპაში მახლობელ აღმოსავლეთში რომაული სამხედრო გამაგრებულ სადგომების არქეოლოგიური შესწავლისას ამგვარი აბჯრ ფრაგმენტები ხშირად დასტურდება. ასეთი აბჯრის ნაშთე დედოფლისგორის (ქარელის რ-ნი) სასახლის გათხრის აღმოჩნდა (გაგოშიძე, 2004, გვ. 132).

სასმისზე გამოხატულ ოთხივე მეომარს თავზე ახურა; ნახევარსფერული მუზარადი. ზოგიერთს თითქოს ცხვირსაფარ და ყბების საფარი მოუჩანს. ანტიკურის წინა ეპოქაში ცხვირს ფარი და ყბისსაფარი მუზარადებზე არ აქვთ. ისინი არ დამახასიათებელი არც ირანული სამყაროსათვის. ბერძნული მ შემდეგ რომაული სამყაროსათვის კი ყბასაფარები შედარებ ხშირია (იხ. Bottini, Egg, 1988, გვ. 65-136, 327-365). რ მაული ნახევარსფერული მუზარადი აღმოჩნდა კახეთე დედოფლისწყაროს რ-ში სოფ. ზემო ქედში. რომ რესპუბლიკის ეპოქაში მუზარადებს შუბლთან სიმტკიცისათე უკეთებდნენ დამატებით ლითონის სარტყელს. ისეთს, როგორ გომის სასმისზე პირველ და მეორე მეომრის მუზარადე მოუჩანთ. რესპუბლიკის და იმპერიის ხანის რომაულ მუზარადებისათვის ცხვირსაფარები ნაკლებადაა დამახასიათ ბელი (Bottini, Egg, 1988, გვ. 327-365; Connolly, 1988, გ 228). გომის სასმისზე, ალბათ, შერეული ტიპის (ბერძნულ-რ მაული) მუზარადებია. პომპეუსის იბერებთან ბრძოლის დროი დელ ამბებზე თხრობისას, სტრაბონი აღნიშნავს, იბერე ტყავის მუზარადები ეხურათო (XI, 4, 5).

სასმისზე გამოსახულ პირველ მეომარს, ზეაწეულ ხელე წვერით ქვემოთ, საძვერებლად გამზადებული შუბი უჭირავ შუბი მოკლეა და რომბისებური შუბისპირი აქვს. შუბისპირი დამაგრების ადგილი ორი ჰორიზონტალური ხაზით გადმოცემული. ამდაგვარი შუბიანი მებრძოლია გამოსახულ იმპერატორ კონსტანტინეს ტრიუმფალურ თაღზე ქ. რომე

შუბის წვერით ქვემოთ დახრა თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს შუბი საძვერებელია და არა სატყორცნი. საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მონაცემებში შუბისპირები, სხვა იარაღთან შედარებით, პროცენტულად პირველ ადგილზე ჩანს, "შუბოსანი იბერების" სპეციალური რაზმის შესახებ აღნიშნავს პლუტარქე (ლუკულუსი 31).

სასმისზე მეორე მეომარს მარცხენა ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს. ამგვარი ისრისპირები გვიანელინისტურ-რომაული სამყაროსათვისაა უფრო დამახასიათებელი (ლორთქიფანიძე გ., 1976, გვ. 180). რომაელების (პომპეუსის) ლაშქრობის დროს, იბერია-ალბანეთში სტრაბონი იბერების შეიარაღების ჩამოთვლისას მშვილდ-ისარსაც ახსენებს (XI, 4, 5). მშვილდოსანი იბერების შესახებ გადმოგვცემს აპიანეც (მითრიდატეს ომები 101) და დიონ კასიოსიც (XXXVII, 2). სვანების მოწამლული ისრების შესახებ აღნიშნავს სტრაბონი (XI, 2, 19). სასმისზე მესამე და მეოთხე მებრძოლი ერთმანეთს მოკლე ორღესული სატყვერით და შუბით ერკინებიან. რკინის სატყვეარი საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალაში შუბთან შედარებით ცოტაა; ის შედარებით მეტია გვიანანტიკურ ხანაში. მაგ.: არმაზისხევი, კლდეეთი, ჩხოროწყუ, ბრილი, წებელდა და სხვ. (ფუთურიძე, 1959, გვ. 74-75).

გომის სასმისი, ალბათ, სპეციალურად ბრძოლაში დაღუპული, წარჩინებული მეომრისათვის შესაწირად იყო დამზადებული და დაკრძალვის რიტუალში გამოიყენეს. შესაძლოა, აქ სარმატებთან ბრძოლაა გადმოცემული. საქართველოს ხსენებული ხანის ტორეკტიკა რომაული სამყაროს გარკვეულ ზეგავლენას განიცდის (Мачабели, 1976, გვ. 138-147). ამ პერიოდის კანელურებიანი ჭურჭელი საქართველოში აღმოჩენილია - თაგილონში, ხაიშში, ბანძაში, ციხისძირში (იხ. Мачабели, 1976, გვ. 28-29; ფუთურიძე, 1959, გვ. 72-74; ჯავახიშვილი, 1958, გვ. 149-150). ამგვარად, სოფ. გომში დადასტურებული სასმისი, ადგილობრივი ნაწარმია, ზოგადად ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით თარიღდება. მასზე აღბეჭდილი გამოსახულებები ერთი მხრივ ჩრდილო კავკასიურ (სარმატულ), მეორე მხრივ რომაულ სამყაროსთან იჩენს გარკვეულ სიახლოვეს (დაწერილებით იხ. გამყრელიძე, 2002, გვ. 39-49).

ტრანსკავკასიაში პომპეუსის საომარ-პოლიტიკური მოქმედებების შედეგად იბერია, ალბანეთი, არმენია გარკვეულა რომზე დამოკიდებულ ქვეყნებად იქცნენ. შავიზღისპირეთი (კოლხეთში, პონტოს სამეფოში) კი რომმა შედარებით მტკიცე მოიკიდა ფეხი.

ძვ. წ. 53 წ. კარეს ბრძოლაში პართელებმა მარკუს კრასუსის ხელმძღვანელობით მოქმედი რომაელთა ჯარ განადგურეს. ბრძოლის შედეგად აღმოსავლეთში რომაელი წინსვლის ამბიციები შეჩერდა. პართიასა და რომს შორის სამხედრო-პოლიტიკური ბალანსი წარმოიშვა. ამ ომს შედეგად ძვ. წ. I ს-ის მე-2 ნახევარში პართია ძლიერ გაძლიერდა, ხოლო რომის პოზიციები აღმოსავლეთში დაკრძოლ არმენიაში შესუსტდა. ძვ. წ. 40-35-იან წლებში პართი წარმატებული გამარჯვებების შედეგად ანატოლიას და სირიის პალესტინას დაეუფლა. ძვ. წ. 36 წ. რომაელმა სარდალმა მარკუს ანტონიუსმა პართელები დაამარცხა და გარკვეულა შეაჩერა მათი დასავლეთისაკენ წინსვლა.

ძვ. წ. 40-იან წლებში, რომი-პართიის დაპირისპირებებში დროს, იბერიის სამეფო კარი ამ ორი დიდი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა. ძვ. წ. 36 პართელებთან ომის წინ მარკუს ანტონიუსმა პუბლიუს კანიდიუსის ხელმძღვანელობით ჯარი გაგზავნა იბერიის მეფე ფარნავაზზე პოლიტიკური ზეწოლისათვის. კრასუსმა იბერიის ტერიტორიები დაიკავა და მათი მეფე ალბანებზე გალაშქრებანი დაითანხმა. შემდეგ, მათ ერთობლივად ალბანეთის მეფე ზოვერ დაამარცხეს (დიონ კასიუსი, რომის ისტ. XIX, 24). ამ შემდეგ ალბანელები და იბერიელები ისევ რომს მოკავშირეებად ითვლებიან. მომდევნო პერიოდში რომაელთა კარგა ხნის განმავლობაში იბერიაში აღარ გამოჩენილან. დროისათვის რომს ალბათ იბერიაზე ხელი აღარ მიუწვდებოდა და არც ძალა აღარ ყოფნიდა, რომ ეს შორეული ქვეყანა იარაღის გამოყენებით დაემორჩილებინა.

I ს-იდან იბერიის სამეფო კავკასია-მახლობელ აღმოსავლეთის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რაც აქ მისთვის მომგებიანი გეოპოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული. შესაძლოა, რომ დროისათვის მეგობრული რომის ლეგიონერები კავკასიონს

ერთ-ერთ გადმოსასვლელს იცავდნენ (იხ. ტაციტუსი, ანალები, IV, 5). ისინი ალბათ დარიალის ხეობაში იდგნენ.

რომში ნერონის იმპერატორობის დროს ანატოლია-კავკასიაში საომარი მოქმედებების ხელმძღვანელად გნეიუს კორბულონი დაინიშნა. იბერთა სამეფო ამ პერიოდისათვის ისევ რომის მოკავშირე იყო. კორბულონმა დაამარცხა ტირიდატი და ქალაქი არტაქსატი აიღო. ტაციტუსის მიხედვით, კორბულონის ანუ რომის მომხრე — მეფე ფარსმანმა, მეფე არისტობულმა, მეფე პოლემონმა, მეფე ანტიოქოსმა მათ სამფლობელოებთან ახლო მდებარე ტერიტორიები მიიღეს (ანალები, XIV, 26). ცოტა ხანში პართიამ ისევ დაიბრუნა ქ. არტასატი და მთელი არმენია. აქ კვლავ ტირიდატი დასვეს. მალე პართია და რომი დაზავდნენ. ამით იბერიის პოზიციები შესუსტდა და არმენიასთან ბრძოლა განახლდა.

იბერიელების მოკავშირეებად ამ შემთხვევაში ჩრდილო-კავკასიელი ალანები მოგვევლინენ. იბერიელების მიერ წაქეზებული მომთაბარე ალანები ესზმოდნენ რომის და პართიის სამფლობელოებს. ახ. წ. 68 წ. იმპერატორმა ნერონმა განიზრახა ალანების წინააღმდეგ გალაშქრება, რაც ჩანს პართელებსაც აწყობდათ. ეს ჩანაფიქრი ვერც ნერონის და ვერც ვესპასიანეს ეპოქაში ვერ განხორციელდა. ამასობაში კი ალანები რომისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე რამდენჯერმე შეიჭრნენ. იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემს, რომ კავკასია-პირკანის გასასვლელი გახსნეს იბერებმა და ალანები შეესიენ მდ. არაქსისპირეთს. მალე მათ სასტიკად ააოხრეს აქაურობა და დიდძალი ნადავლით უკან გაბრუნდნენ (B.J., VII, 74).

იბერიის სამეფოს აღმავლობის და ძლიერების ხანა ძვ.წ. I ს. მიწურულიდან დაიწყო. ამას გარკვეულწილად ხელს უწყობდა ახალი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური სიტუაცია. კერძოდ, რომსა და პართიას შორის გაუთავებელი ქიშპი და ომი. იბერიის ხელისუფლება რომის და პართიის ურთიერთწინააღმდეგობას თავის სასარგებლოდ მოხერხებულად იყენებდა. I ს. პირველ ნახევარში იბერიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ გააფართოვა თავისი საზღვრები და მედგარი ბრძოლით აიღო მდ. არაქსთან მდებარე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი არტაქსატი. ამ დროისათვის იბერიამ დაიბრუნა

სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ჭოროხის, მდ. მტკვრის და მდ. არაქსის სათავეების ტერიტორიები და ზღვის სანაპიროზე გავიდა თითქმის.

ახ.წ. I ს. 30-იან წლებში, იბერიის მეფე ფარსმან I-მა რომაელებთან შეთანხმებით, სარმატთა (ჩრდილო კავკასიური ტომი) და ალბანელთა დარაზმვით მდ. არაქსისპირეთში პართელებთან საომრად გაემართა. მოწინააღმდეგის ჯარს პართიის მეფის შვილი ოროდი სარდლობდა. პართელთა დიდი ლაშქარი ძირითადად ცხენოსნებისაგან შედგებოდა. იბერიის მეფის ჯარი ამ დროისათვის კი ძლიერ ქვეითთა ლაშქარს და ცხენოსანთა სწრაფ რაზმებს ფლობდა. ამას აგრეთვე იბერიის მიერ დაქირავებული სარმატი და ალბანელი მეომრები ემატებოდნენ.

იბერთა მეფემ ფარსმან I-მა ჩინებულად გამოიყენა ადგილობრივი გარემო-პირობები და ბრძოლის ნაცადი ხერხები. პართიის ცხენოსანი ჯარი კი ასეთ მთავორიან გარემოში მოქმედებას მიუჩვეველი იყო. იბერიელთა ცხენოსნებმა ჯერ ისრები სტყორცნეს პართელებს, ხოლო შემდეგ ქვეითმა ჯარმა მწყობრად მიიტანა იერიში, რამაც პართელების სრული მარცხი განაპირობა (ტაციტუსი, ანალები, IV, 33-35).

ბრძოლის პირველ ეტაპზე ფარსმანმა ალყა შემოარტყა მტრის საგუსაგოებს და ხელთ იგდო სტრატეგიული - საკეების, ფურაჟის და სხვა მარაგი. ტაციტუსი გადმოგვცემს - ფარსმანი "... ამხედრებული მიადგა (პართელთა სამხედრო) ბანაკს, დაარბია ფურაჟის საცავეები და ალყა შემოარტყა გამაგრებულ საგუსაგოებს..." ბრძოლის წინ ფარსმანმა სიტყვით მიმართა თავის მხედრობას: "პართელების ბატონობა არ გვიწვევია, თუ ცდას არ დავაკლებთ, დიდ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით; ხოლო თუ (მტერს) ზურგი ეუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩაეცვივდებით... აქ ვაჟკაცი მხედრობაა, იქ კი საშოვარიო" (იხ. ტაციტუსი, ანალები, VI, 34). ამ ბრძოლაში იბერთა მეფე ფარსმანი ჯარს პირადად მიუძღოდა. მან სწორად გათვლილი მანევრით მოახერხა პართელების დამარცხება. ამის შემდგომ პართელებმა კიდევ რამდენჯერმე სცადეს იბერებთან შებმა, მაგრამ კვლავ მარცხი იწვნის.

ახ.წ. I ს. 50-იან წლებში მეფე ფარსმან I-მა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა რომაელ სარდალს გნეუს დომიციუს კორბულონს, რომელიც სამხრეთ ტრანსკავკასიაში პართელებს ეომებოდა. სამაგიეროდ, იბერიამ მდ. არაქსამდე მიწები შემომიტკიცა (იხ. ტაციტუსი, ანალები, XIV, 23). II ს. პირველ ნახევარში, იბერიის სამეფო ტახტზე ფარსმან II ქველი ავიდა (იხ. მოქცევაი ქართლისაი, სტრ. 36). ფარსმანის შესახებ "ქართლის ცხოვრება" მიგვითითებს: "... ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართველი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო..." (ქ.ც. I, გვ. 51).

ფარსმან II, უკვე შეუფარავად ებრძვის რომის იმპერიას და ცდილობს მის განდევნას ზღვისპირა კოლხეთიდან და სამხრეთ ტრანსკავკასიიდან. იბერია, თავისი ინტერესების დაცვისათვის გაბედულად უპირისპირდება იმ დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოებს, რომსა და პართიას. ხსენებული სახელმწიფოები, როგორც ჩანს, იბერიის სამეფოს ანგარიშგასაწევ ძლიერ ქვეყნად მიიჩნევდნენ. ამიტომ, იმპერატორ ანტონინუს პიუსის (ახ.წ. 138-161 წწ.) დროს იბერიას და რომს შორის ურთიერთობები გამოსწორდა.

რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანე მოგვითხრობს, რომ რომის იმპერატორი პატივს სცემდა იბერთა მეფე ფარსმან II-ს, რადგან მისი სამხედრო მხარდაჭერა სჭირდებოდა სამხრეთ ტრანსკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ამის გამო, იბერთა მეფეს ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი (შესაძლოა, რომ სწორედ ეს ძვირფასი ნივთებია სადღეისოდ, არქეოლოგიურად აღმოჩენილი მცხეთაში; იხ. მცხეთა I, 1955), საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი მებრძოლთა რაზმი უბოძა (იხ. Latyshev, 1904, გვ. 293). ახ.წ. 140 წელს ფარსმან II ამალით, დიპლომატიური მისიით, იმპერიის სატახტო ქალაქ რომში ჩავიდა. აქ მას ზემოთ შეხვდნენ და პატივისცემის ნიშნად ფარსმანის ქანდაკებაც კი აღმართეს (იხ. დიონ კასიოსი, რომის ისტორია, LXX, 2; გამყრელიძე აღ., 1959, გვ. 135). იბერიის სამეფომ მოქნილი პოლიტიკის (რომსა და პართიას შორის ლავირება) და წარმატებული ომების შედეგად საზღვრები გაიფართოვა.

საყურადღებოა, რომ კოლხეთ-იბერიაში ხშირი საბრძოლო მოქმედებები და ოპტიმალური, სტრესული სიტუაციები, რომლის დროსაც საჭირო იყო ორგანიზაციული საკითხების სწრაფი გადაწყვეტა, ხელს უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობაში საზოგადოებრივ კონსოლიდაციას და სოციალურად კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

ფარნავაზიანთა ეპოქის ქართლის ანუ იბერიის სამეფოს, რომელშიც კოლხეთის ნაწილიც შედიოდა, სამხედრო ორგანიზაციის საკმაოდ კარგი სისტემა ჰქონდა. როგორც ჩანს იბერიელები ინფორმირებულები იყვნენ რომაელთა მოწინავე სამხედრო ხელოვნების შესახებ. ისინი ამ ცოდნას მოხერხებულად უხამებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს.

ომის დროს ქვეყანას დაახლოებით 50.000 ქვეითის და 20.000 ცხენოსნის მობილიზება შეეძლო (იხ. სტრაბონი XI, IV, 5). სტრაბონი გადმოგვცემს, რომ - "დაბლობზე იბერთაგან უმეტესად მიწათმოქმედები სახლობენ, ესენი... მიდიელთა ნაირად იცვამენ (იჭურვებიან). უფრო დიდ ნაწილს, რომლებიც მეომარი ბუნების არიან, უკავიათ მთიანი მხარე ... მისდევენ მიწათმოქმედებასაც; როცა შფოთი და ომიანობაა ... თავისი სახსრებით მრავალი ათასი (მეომარი) გამოჰყავთ" (სტრაბონი XI, III, 3). მეფეს, აგრეთვე, მომთაბარე მთიელების, ჩრდილო კავკასიური დაქირავებული რაზმები ჰყავდა. სტრაბონივე აღნიშნავს, რომ ალბანელებს - "ომის დროს ეხმარებიან მთის ნომადური (მომთაბარე) მოსახლეობა ... ისევე, როგორც იბერებს" (იხ. სტრაბონი XI, IV, 5; ქ.ც. I, გვ. 23). ამრიგად, როგორც ჩანს იბერიის მეფეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი შეეძლო საომრად გამოეყვანა. ამ ჯარის ნაწილი კარგად გაწვრთნილი იყო და ფრიად მრისხანე ძალას წარმოადგენდა.

პომპეუსთან ომის დროს იბერიას აპიანეს მონაცემებით შემდეგი რაოდენობის მებრძოლი ჰყავდა - "... არტოკე (არტაგი; იხ. ქ.ც. I, გვ. 30), იბერთა მეფე 70.000 მებრძოლით შეებრძოლა (პომპეუსს) ... მდინარე კირნოსთან (მტკვართან)" (იხ. აპიანე, მითრიდატიკა, 103). მაშინ, როდესაც იმ დროისათვის რომის უძლიერეს, პომპეუსის არმიას, მახლობელ აღმოსავლეთში მითრიდატესთან საომრად და წესრიგის დასამყარებლად 120.000 ქვეითი, 4.000 ცხენოსანი და 25

მალალი რანგის სარდალი ჰყავდა (იხ. აპიანე, მითრიდატიკა, 94).

იბერიის სამეფოს უმაღლესი მთავარსარდალი მეფე იყო, რომლის ხელშიც სახელმწიფოებრივი მართვის მთავარი სადავეები იყრიდა თავს. მეფეს მთელი სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა ემორჩილებოდა. ხშირად, ბრძოლის დროს მეფე ჯარს თავად მიუძღოდა. სტრაბონის მონაცემებით, მეფის შემდეგ მეორე პირი მხედართმთავარი იყო, რომელიც სამეფო გვარიდან ინიშნებოდა (იხ. სტრაბონი XI, III, 6).

იბერიის სამეფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი (იხ. ქ.ც. I, გვ. 24). მათ ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიის წარმომადგენლები, ერისთავები, მართავდნენ, რომელთაც ბერძნული და არამეული წერილობითი წყაროები სკეპტუხებად ან პიტიახშებად მოიხსენებს (იხ. სტრაბონი XI, II, 18; წერეთელი, 1943, გვ. 37-43). ერისთავის ინსიგნიებს, რომელსაც ის მეფისაგან იღებდა, წარმოადგენდა - კვერთხი-სკიპტრა, განსაკუთრებული საბეჭდავი-ბეჭედი, მდიდრული სარტყელი, შეიარაღება და სხვ. (ხსენებული ნივთები დოკუმენტურად დადასტურებულია საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში; იხ. მაგ. მცხეთაში აღმოჩენილი პიტიახშების სამარხები; იხ. მცხეთა I, 1955).

იბერიის სამეფოს ჯარი (იხ. სტრაბონი, XI, III, 3; XI, IV, 5; აპიანე, მითრიდატიკა, 103; ქ.ც. I, გვ. 24-25; პლუტარქე, ლუკულუსი, 31) ძირითადად ორი გვარეობისაგან, ქვეითი და ცხენოსანი დანაყოფებისაგან შედგებოდა. ესენია: მეფის მცველი მძიმედ შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი რაზმი. ისინი შეიარაღებული იყვნენ - შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, მშვილდ-ისრებით, ჯაჭვ-ჯავშნებით, მუზარადებით, ფარებით; ცხენოსანთა და ქვეითთა კარგად შეიარაღებული ასეულები. ამ ორივე გვარეობის ჯარის შეიარაღებაც ალბათ, ძირითადად მეფის რაზმისნაირი იყო. მათ შეიარაღებაში საბრძოლო ეტლები და ქვის ყუმბარების სატყორცნი მანქანებიც ჰქონდათ; ქვეითთა მსუბუქად, დამცავი ჯაჭვ-ჯავშნის გარეშე, შეიარაღებული ლაშქარი ძირითადად, შუბებით, შურდულებით, მშვილდ-ისრებით და ხის ფარებით იბრძოდა. ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ.

იბერიის სამეფოს თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვან ადგილი საფორტიფიკაციო ნაგებობებს ეკავა, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ და საჭირო ადგილებზე იყო განლაგებული - მაგ.: მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, სარკინჯ ნასტაკისი, შორაპანი, დიშნა და სხვ. განსაკუთრებით სატახტო ქალაქი მცხეთა იყო დაცული. აქ მთავარ ციხესიმაგრესთან (არმაზციხე) ერთად სხვა, მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა იყო აგებული. საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამაგრებულ გადაკეტილი იყო აგრეთვე საერთოდ ქვეყანაში შემომავალ გზები. ბუნებრივია, ციხესიმაგრეებში და ციხე-ქალაქებში სპეციალური, მკველ-მეციხოვნეთა გარნიზონები იდგა.

წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ იბერიის სამეფოს სამხედრო ძალები კარგად ფლობდნენ მაშინდელ საომარ საქმის ძირითად ელემენტებს. მათ იცოდნენ და წარმატებით იყენებდნენ საომარ-ტაქტიკურ ხერხებს - სწრაფ იერიშს, გადაჯგუფებას, რელიეფის მოხერხებულად გამოყენებას ე.წ. პარტიზანული ბრძოლის ელემენტებს (იხ. დიონ კასიუსი XXXVII, 1, 2; აპიანე, მითრიდატიკა 103; პლუტარქე კომპეუსი, 34; ქ.ც. I, გვ. 28). ყოველივე ამის განსახორციელებლად კი მათ, შეტევის და თავდაცვის, იმ დროისათვის მოწინავე, რკინის შეიარაღება ჰქონდათ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომის საჯარისო ნაწილები საქართველოს ზღვისპირეთში ძვ.წ. 65 წლიდან გამოჩნდნენ. ამ მოვლენის შესახებ წერილობით წყაროებში სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგადი მინიშნებაა.

იოსებ ფლავიუსი მოგვითხრობს: "...კოლხების, ტაურების, ბოსფორელების პონტოსა და მეოტიდის ირგვლივ მცხოვრებლების შესახებ, რომლებიც წინათ საკუთარ მმართველებსაც კი არ სცნობდნენ, ახლა 3000 მებრძოლს ჰყავს მორჩილებაში და ამასთანავე ორმოცი გემი იცავს მშვილობას ზღვაზე, რომელზედაც უწინ ცურვა შეუძლებელი და შემადრწუნებელი იყო" (B. J., II, 16,4). ამ წერილობით წყაროში ახ.წ. 66 წლის ამბებია გადმოცემული (Ростовцев, 1900, გვ. 142). აქედან გამომდინარე, რომის სამხედრო ნაწილები საქართველოს ზღვისპირეთში იმპერატორ ნერონის დროს უკვე ჩანდნენ. საეჭვოა, რომ ეს წინამორბედი იმპერატორების, აუგუსტუსის, ტიბერიუსის, კალიგულას ეპოქაში მომხდარიყო, რადგან ამ დროისათვის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე მხოლოდ ოთხი ლეგიონი იმყოფებოდა (Бокшанин, 1966, გვ. 151-152), რაც საკმარისი არ იყო. ამ მცირე სამხედრო ძალებით რომი ვერ შეძლებდა აღმოსავლეთით, კერძოდ კავკასიაში, მსხვილი სამხედრო შენაერთების განლაგებას. აქედან გამომდინარე აუგუსტუსს არ უცდია მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური სიტუაცია შეეცვალა. მან რომზე ფორმალურად დამოკიდებული მარკუს ანტონინუსისეული ქვეყნების სისტემა უცვლელად დატოვა. მათ შორის თვალსაჩინო როლს პონტოს სამეფო ასრულებდა. რომაელებმა პონტოს ტახტზე კელავ პოლემონ I დაამტკიცეს. მას სამართავად ზღვისპირა კოლხეთიც ებოძა (გამყრელიძე, 1993, გვ. 80). აუგუსტუსის შემკვიდრე იმპერატორების – იბერიუსისა და კალიგულას დროსაც, კოლხეთის ზღვისპირეთის სტატუსი არ შეცვლილა. ის ისევ პოლემონიდების პონტოს შემადგენლობაში დარჩა. შესაძლოა, რომ ამ პერიოდისათვის კოლხეთის სანაპიროზე პონტოელთა გარნიზონიც მდგარიყო.

ნერონის დროს იმპერიის პოლიტიკა აღმოსავლეთში კარდინალურად შეიცვალა. მან უარყო წინამორბედების ბუფერულ ქვეყნებზე დაყრდნობის პოლიტიკა. ნერონმა ახ.წ. 63 წელს პოლემონიდების სამეფო გააუქმა და ის რომის პროვინციად

გამოაცხადა. ამასთანავე, განსაკუთრებით ყურადღება მიექცა კავკასიის ზღვისპირეთში რომის პოზიციების გამყარებას დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საჭირო იყო იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მნიშვნელოვანი ძალების თავმოყრა, რასაც ასე დაბეჯითებით მოითხოვდა ხელისუფალთაგან რომაელთა გამოცდილი მხედართმთავარი გნეუს ღომიციუს კორბულონი (ტაციტუსი, ანალები, XIII, 35; XVI, 26).

იმპერიის კომუნიკაციების სისუსტე განსაკუთრებით კაპადოკიასა და მცირე არმენიაში შეიმჩნეოდა. ეს ხარვეზ რომაელებმა ნაწილობრივ შეავსეს ახ.წ. 57 წლიდან, როდესაც დასავლეთიდან კაპადოკია-არმენიის საზღვარზე XII და XV ლეგიონები გადმოსროლეს. მათ აქვე რამდენიმე სტრატეგიულ სასიმაგრო ნაგებობაც ააგეს (Акопян, 1985, გვ. 13). ამგვარი ღონისძიებების გატარების შემდგომ ნერონს მიეცა საშუალება კავკასიაში გაბედული სამხედრო ოპერაციების წარმოებისა.

ახ.წ. 60 წელს რომაელებმა დაიმორჩილეს არმენია. იბერა კი რომის ვასალ-მოკავშირედ იქცა (ტაციტუსი, ანალები, XIV, 23, 25, 26). კოლხეთის ზღვისპირეთი გალატიის პროვინციის შემადგენლობაში მოექცა. აქ შესაძლოა ნერონმა მცირე გარნიზონები ჩააყენა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არა მარტო ნერონის ზემოხსენებული ზოგადკავკასიური პოლიტიკა, არამედ კონკრეტული გარემოებებიც. კერძოდ, ამ პერიოდისათვის რომს აღმოსავლეთის საზღვართან საკმარის სამხედრო ძალები არ გააჩნდა, რათა მათი გარკვეული ნაწილ კოლხეთის სანაპიროზეც განელაგებინა; გამორიცხულია, რომ ისეთი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რეგიონი როგორც საქართველოს შავიზღვისპირეთი იყო, რომაელებს დაუცველად დაეტოვებინათ. აღნიშნული ღონისძიების გატარების გარეშე ნერონი არათუ ვერ შეძლებდა კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას, არამედ ჩრდილო კავკასიის მთიელთა შემოტევასაც ვერ შეაჩერებდა; ვერც ზღვაზე ვაჭრობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. სხვა საკითხია, თუ რა რაოდენობის საჯარისო ნაწილები იყო აქ დისლოცირებული იოსებ ფლავიუსის ზემოთ მოტანილ ცნობაში თითქოსდა რომი პონტოსპირეთის ყველა ხალხს აკონტროლებდა. მაგალითად. სანები არიანეს დროსაც რომაელებს არ ემორჩილებოდნენ (ფლავიუს არიანე, "პერიპლუსი...", 11). კოლხეთის სანაპიროზე

დისლოცირებული რომის საჯარისო ნაწილები მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო, რადგან არიანეს ინსპექტირების დროსაც, ისინი აქ არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჩანს.

კოლხეთის სანაპიროზე რომის სამხედრო შენაერთების განლაგების ზუსტი თარიღი უცნობია. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, პლინიუს უფროსის ცნობა აფსაროსისა და სებასტოპოლისის შესახებ. პლინიუსი აფსაროსსა და სებასტოპოლისს "Castellum"-ებს (Plin., NH., VI, 12, 15) უწოდებს, მაგრამ არაფერს გვამცნობს მათი აგების დროზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კასტელუმში, როგორც წესი, იგულისხმება ქვის საფორტიფიკაციო ნაგებობა. მას წინ კი უნდა უსწრებდეს ხის სიმაგრე. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ კაპადოკიის საზღვართან XII და XV ლეგიონების 57 წ. ჩადგომის დროს, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფსაროსსა და სებასტოპოლისში რომის მცირე გარნიზონები ახ.წ. I ს. დასასრულისათვის უკვე განლაგებულია, რასაც გარკვეულწილად არქეოლოგიური მონაცემებიც მოწმობენ.

გონიო-აფსაროსის ნაციხარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა წითელლაკიანი ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი სანდლიანი ფეხის ტერფის გამოსახულებით და მეომრის რელიეფურ-გამოსახულებიანი ჭრაქი. ორივე ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ორივე რომაელთა შემოტანილი უნდა იყოს. ასეთი ნივთები, მხოლოდ იმ ტერიტორიებზე გვხვდება, სადაც რომაული გარნიზონები იდგა. რომის საჯარისო ფორმირებების უნდა იყოს, აგრეთვე სოხუმის ციხის ტერიტორიაზე დადასტურებული, ახ.წ. I ს-ის სინოპური წარმომავლობის ამფორები. რომაულ გარნიზონს უკავშირდება ქ. სოხუმში აღმოჩენილი ახ.წ. I ს-ის ნაგებობაც.

ფასისიდან ახ.წ. I ს-ის არქეოლოგიური მასალები "ნატეხების" ნამოსახლარზე აღმოჩენილი სინოპური ამფორებით შემოიფარგლება (იხ. გამყრელიძე, 2003, გვ. 176). არიანეს გადმოცემით, ფასისის ციხის კედელი წინათ თიხისა იყო და მასზე ხის კოშკები იდგა, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამოძწვარი აგურისაგანაა გაკეთებული (ფლავიუს არიანე, "პერიპლუსი...", 9). როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ჩვეულებრივი "Pila muralia" ანუ ხის დროებითი სასიმაგრო ნაგებობა ყოფილა. ამ ტიპის ნაგებობები ფუნქციონირებდა იმპერიის საზღვრებზე

მუდმივი სამხედრო ბანაკის აგებამდე. მსგავსი ნაშთები აღმოჩენილია ბრიტანეთში, რეინ-ლუნაისპირეთში და ისინი, უპირატესად, ახ.წ. I საუკუნისთვისაა დამახასიათებელი (Webster, 1985, გვ. 168-169). ფასისში რომის გარნიზონი აფსაროსისა და სებასტოპოლისის თანადროულად უნდა ჩამდგარიყო.

ჩანს, რომაული გარნიზონები საქართველოს ზღვისპირეთში ახ.წ. I ს-ის დასასრულისათვის უკვე იდგნენ და ძირითადად აფსაროსში, ფასისში და სებასტოპოლისში იყვნენ დისლოცირებული. ეს კი ე.წ. პონტოს ლიმესის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს. შაყურადღებოა, რომ აქაური გარნიზონები ძირითადად დამხმარე შენაერთებისაგან შედგებოდა; თვით ლიმესი, რომელშიც კარგად გამართული საკომუნიკაციო ქსელის სისტემა და რაოდენობრივად მრავალრიცხოვანი ჯარი იგულისხმება, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული სირთულეებისა და გარნიზონების სიმცირის გამო აქ ვერ შეიქმნებოდა. ნიშანდობლივია, რომ რომაელი ავტორები საქართველოს ზღვისპირეთის თავდაცვით ხაზს ლიმესად არ იხსენიებენ. ისინი მას უმეტეს შემთხვევაში— "საზღვრად" (Theodor., V, 34) მოიხსენიებენ. იმპერიის სამხედრო ძალებით დაცულ ამ ზღვისპირა პუნქტებს პონტო-კავკასიის საზღვარი უნდა ეწოდოს. მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა რომაელთა პოზიციების განმტკიცება სამხრეთ კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიის გაკონტროლება. ხსენებული სასაზღვრო-გამაგრებული პუნქტების მოვალეობასვე შეადგენდა ჩრდილო კავკასიელთა თავდასხმების აღკვეთა; კაბოტაუური ნავიგაციისა და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ზღვისპირეთში.

როგორც აღვნიშნეთ, პონტო-კავკასიის სასაზღვრო გამაგრებები ნერონის ეპოქაში იწყებენ ჩამოყალიბებას. იმპერატორ ნერონის დაწყებული ძალისხმევა განაგრძო ვესპასიანემ (ახ.წ. 69-79 წწ.). ვესპასიანეს სახელს უკავშირებენ იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრის მოღერნიზაციას და დაცივის სისტემის რეორგანიზაციას (The Cambridge encyclopedia of archaeology, 1980, გვ. 236-237).

ახ.წ. 70-იან წლებში ვესპასიანემ გარნიზონები სირია-პალესტინის ხაზზე განალაგა, ლეგიონერთა შენაერთები ეგვიპტესა და არაბეთში ჩააყენა. მის დროსვე ციხესიმაგრეები

აიგო ქალაქებში – პალმირა, ბოსტრა და ჰერასი (The Cambridge ..., 1980, გვ. 238). ანსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კაპადოკიასა და მცირე არმენიაში სასაზღვრო ხაზის მოდერნიზებასაც. სატალასა და მელიტენეს შორის არსებული ტერიტორია რომაელებმა ციხესიმაგრეებითა და ფორტებით მტკიცედ გაამაგრეს, რითაც დაიწყო ზემოეფრატის ლიმესის ფორმირება. ზემოეფრატის ლიმესის დიდი ქალაქები და ციხესიმაგრეები, ისევე როგორც აღმოსავლეთის დანარჩენ საზღვრებზე განლაგებული კასტელუმების ქსელი, ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა მცირე ფორტებით, საგუშაგოებითა და ქვაფენილიანი გზებით. მჟამად, სატალა-ტრაპეზუნტის მონაკვეთზე, არქეოლოგიურად ხუთი ასეთი ფორტია გამოვლენილი. მათგან, ერთი შუალედური კასტელუმი სატალის ციხესიმაგრის დასავლეთით. მისი ფართობი 37 x 55 მ-ია (Mitford, 1974, გვ. 211). ამგვარი ფორტის ნანგრევები, აგრეთვე სატალის ციხესიმაგრის აღმოსავლეთით, დღევანდელი ბაიბურთის გზაზე აღმოჩნდა (Акопян, 1985, გვ. 14).

სატალა-ტრაპეზუნტის ციხესიმაგრეთა სისტემაში უნდა ყოფილიყო ჩართული სატალიდან 20 კმ-ზე მდებარე საგუშაგოს ნანგრევებიც. ამ საგუშაგოს ჩრდილოეთით არის კიდევ ორი სიმაგრე, სადაც მხოლოდ კოშკების ნანგრევებილა შემორჩენილი (Кюмон, 1919, გვ. 370-379). აღნიშნული სიმაგრეები სწორკუთხა კონფიგურაციისაა და კუთხეები ნახევარწრიული კოშკებითაა დაბოლოებული. ზემოეფრატის ლიმესის ეს ფორტები და სადარაჯო საგუშაგოები, დაგეგმარებისა და ზომის მიხედვით, მცირე კონტინგენტის საჯარისო ნაწილების დროებითი სადგომებია. ზემოეფრატის ლიმესიდან ინტერესს იწვევს გაჩ-დარვაზეპის სიმაგრე, რომელიც ჩვეულებრივ სათვალთვალ კუნქტს წარმოადგენდა და სწორკუთხა ფორმისა იყო. ის 20-მდე მეტრძოლს თუ დაიტევდა. ზემოეფრატის ლიმესს განეკუთვნება სიმაგრე პაგნიკ-ორენი, რომლის მშენებლობაც ახ.წ. III ს. დამთავრდა. პაგნიკ-ორენის სიმაგრე სწორკუთხაა. რელიეფის გამო ჩრდილოეთის კედელს რკალისებური ფორმა აქვს. ციხე აღჭურვილი ყოფილა თერთმეტი ნახევარწრიული კოშკითა და ოთხი კარიბჭით. ციხესიმაგრის ცენტრში იდგა პრეტორიუმის შენობა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის კედელთან არსებული ნაგებობა, საჯინიბო

უნდა ყოფილიყო (Harper, 1971, გვ. 11). პაგნიკ-ორენს ციხესიმაგრე ერთ კოპორტას იტევედა. არ არის გამორიცხულ რომ აქ, ახ.წ. I ს-ში, სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობ მიეღო IV რეტიულ მხედართა კოპორტას, რომლის მუდმივად აღილსამყოფელი პაგნიკ-ორენიდან 80 კმ-ზე ანალიზამ მდებარეობდა. პაგნიკ-ორენის ციხესიმაგრის ანალოგიურ რუმინეთში, დობრუჯის რეგიონში გამოვლენილი დინოგეტა გარვანის კასტელუმში, რომელიც ახ.წ. IV ს. თარიღდება (Radulescu ..., 1979, გვ. 101, სურ. II).

ზემოვეფურათის სასიმაგრო სისტემათა, კავკასიასთან ახლ მყოფი, ბოლო რგოლი სატალა და მელიტენე იყო. სატალა და მელიტენე XV და XII ლეგიონების შტაბ-ბინას წარმოადგენდა აქ მდებარეობდა კავკასიაში რომაელთა ვექსილაციების ძირითად გამანაწილებელი ბაზა. სატალის ციხესიმაგრე მდებარეობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე. ის კავკასიისაკენ და კასპიისაკენ მიმავალ გზებს და შავი ზღვისპირეთი სანაპიროებსაც უწევდა კონტროლს. —

სატალის ციხესიმაგრე კვადრატული ფორმისაა და აღჭურვილი იყო სწორკუთხა კოშკებით, რომლებიც ერთ მხარისაგან თანაბარი მანძილით იყვნენ დაშორებულ ციხესიმაგრეს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ჰქონდა კარიბჭე სატალის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია რომაულ კასტელუმებისათვის დამახასიათებელი აბანოს, საკანალიზაციო კოლექტორისა და აკვედუკის ნაშთები (Mitford, 1975, გვ. 21, სურ. 7, 9).

მელიტენეს კასტელუმშიც კვადრატული კონფიგურაციის კარგადაა შემორჩენილი აღმოსავლეთი კედელი კოშკებითურ კოშკები ნახევარწრიულია, ნაგებია რიყის ქვებით და კირხსნარი (Mitford, 1975, გვ. 1187, ტაბ. IV, 7). ციხესიმაგრის გარშემო სამოქალაქო დასახლება იყო, რომელსაც ტრაიანემ ქალაქ სტატუსი მიანიჭა. პროკოპი კესარიელის ცნობით, მელიტენე მრავალრიცხოვანი ქალაქი ყოფილა. აქ ტაძრები, ამფითეატრ აბანო და სხვა ნაგებობანი მდგარა (BP., III, 4, 15-18). მელიტენე სამხრეთით იწყებოდა სირიის ლიმესი, ხოლო სატალ სასიმაგრო ნაგებობათა ქსელით უკავშირდებოდა ტრაპეზუნტ ტრაპეზუნტი რომაულ ხანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრი იყო. ანიკეტის აჯანყებ

შემდეგ, აქ XII და XV ლეგიონების ვექსილაციები იყვნენ დაბანაკებული, ხოლო III ს-ში I პონტური ლეგიონი (იხ. Mitford, 1974, გვ. 164). ტრაპეზუნტიდან სათავეს იღებდა პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემა, რომლის როლიც ვესპასიანეს დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ვესპასიანეს დროს იბერიის დედაქალაქში რომაული გარნიზონი არ იდგა. მცხეთაში ჯერჯერობით რომაული ლეგიონის დამლები არ დადასტურებულა. თუმცა რომაელთა მონაწილეობა მცხეთის საფორტიფიკაციო სამუშაოებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რასაც ადასტურებს მცხეთაში აღმოჩენილი, ახ.წ. 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა. მასში ნათქვამია: "თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა... იბერთა მეფეს, მითრიდატეს მეფე ფარსმანისა და ამაზასპის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულ ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს" (წერეთელი, 1958, გვ. 5-20). მცხეთის გამაგრება უნდა დაწყებულიყო ალანთა მეორე შემოსევის შემდეგ, რათა წინ აღდგომოდა მათ ხელმეორე შემოსევას. ვესპასიანეს ეს ღონისძიება ქართლის ძველ დედაქალაქში მეგობრული ფესტი იყო იბერიელებისადმი, ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული წვლილისათვის ალანთა წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. Mitford, 1975, გვ. 1192). გამორიცხული არ არის, რომ რომაული სამხედრო შენაერთები დარიალის ხეობაში იდგნენ. სწორედ ამ ხეობაში პლინიუსი იხსენიებს "Castellum Cumania"-ს, რომელიც აგებული ყოფილა აგრესიულ მომთაბარეთა შეკაების მიზნით (Plin., NH., VI, 30). პლინიუსის მიერ მოხსენიებული ციხესიმაგრე კუმანია დარიალის ციხეს უნდა წარმოადგენდეს. კუმანია-დარიალის ციხე ბუნებრივ ბორცვზეა აშენებული და მდინარე თერგი ჩამოუღის (მინდორაშვილი, 2005, გვ. 123-125).

შიდაციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა დიდი ზომის ქვებით ნაგები შენობები. ციხის სამხრეთით დაფიქსირდა სამარხები, რომლებიც რომაულ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს. დარიალის ხეობაში რომაელთა ცალკეული შენაერთები აღრიანეს დროსაც (ახ.წ. 117-138 წწ.) უნდა მდგარიყო. იოანე ლიდეს (De Magistr., III, 53). ცნობით, არიანეს მოუნახულებია დარიალი. ცნობილია, რომ კაპადოკიის

ლევატი - ფლავიუს არიანე მხოლოდ იმ პუნქტებში ჩადიოდა სადაც რომაელთა გარნიზონები იყო დისლოცირებული.

დომიციანეს დროიდან (ახ.წ. 81-96 წწ.) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოწესრიგებულმა თავდაცვითმა სისტემამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო რომაელთა პოზიციების განმტკიცებას ალბანეთშიც. ბიუჯ-დაში აღმოჩენილი ლათინურ წარწერიდან (Ямполский, 1950, გვ. 177) ირკვევა, რომ დომიციანემ გაგზავნა XII ლეგიონის ნაწილები ალბანეთში, რათა მას თვალყური ედევნებინა ე.წ. კასპიის კარების სამხრეთ გადასასვლელებისათვის. გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული ლეგიონის ნაწილები ცენტრალურ ალბანეთში დაბანაკებულიყო. XII ლეგიონის სახელი მოხსენიებულია მდ არაქსის მარცხენა სანაპიროზეც, სოფ. კარდამნაში აღმოჩენილ ქვაზეც (Ямполский, 1950, გვ. 182). სვეტონიუსის (Domic., 6 ცნობით, აღნიშნული ლეგიონი სარმატებთან ბრძოლაში დამარცხდა.

მოესეს ხორენაციც გვიამბობს, დომიციანეს მმართველობის დროს, არმენიაში რომაელთა წარუმატებელი ლაშქრობის შესახებ (მოესეს ხორენაცი, 1984, გვ. 145). ალბათ, XII ლეგიონის ზოგიერთი შენაერთი ალან-სარმატებთან ბრძოლას შეეწირა ვესპასიანეს დროიდან პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებს. ამ სისტემის ციხესიმაგრეები, იმპერატორ ადრიანეს დავალებით, 131 წელს საგანგებო მონიახულა და თავდაცვითუნარიანობა შეამოწმა კაპადოკიის ლევატმა ფლავიუს არიანემ. არიანეს, როგორც ეს მის "პერიპლუსიდან" ჩანს, პირველად აფსაროსის ციხესიმაგრე და ამდგომი გარნიზონის საბრძოლო მზადყოფნა შეუმოწმებია არიანეს ცნობით, "აფსაროსში... დგას ხუთი სპეირა" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი..., 6), რომელსაც ტრადიციულად ხუთ კოპორტად, ანუ ნახევარლეგიონად თარგმნიდნენ. შესაბამისად მკვლევართა უმრავლესობას აფსაროსის რომაული სამხედრო შენაერთები ლეგიონურ გარნიზონად მიაჩნდათ (Mitford, 1975, გვ. 1169-1170; Rowell, 1937, გვ. 1327-1330). ფაიუმში (ეგვიპტე აღმოჩენილმა პაპირუსმა და გონიოში დადასტურებულ რომაული სამხედრო შენაერთის ტვიფრმა ნათელი მოკვთინეს ამ ბუნდოვან საკითხს. ახ.წ. II ს-ის პაპირუსზე მოხსენიებული აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოპორტი

ვეტერანი მარციალი: *Martialis vet(eranus)... [omnium [...]. I Apsaro de [gen]re eius M Va[l]er [...] Coh. II Claudiana [...]* etc (Спейдел, 1985, გვ. 178). ფაიუმის ამ ფრაგმენტის ცნობის სისწორეს დოკუმენტურად ადასტურებს გონიოს კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში არქეოლოგიური გათხრებისას, ახ.წ. II ს-ის ფენაში აღმოჩენილი რომაული სამხედრო შენაერთის დამლები. პირველი დამლა - COH II; მეორე დამლა - OH II. ახსნა - COH [hort] II [Claudiana] (Мамуладзе, ..., 2002, გვ. 35, სურ. 2).

ეს კოპორტა ახ.წ. II ს-ში კაადოკიაში განლაგებულ დამხმარე კოპორტას წარმოადგენდა. არიანეს მიერ აფსაროსში დასახელებულ დანარჩენ ოთხ კოპორტასაც დამხმარე ნაწილად მიიჩნევენ (Спейдел, 1985, გვ. 176-179), რაც არქეოლოგიური მასალებით დასტურდება. კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში სავარაუდოდ პრეტორიუმის ტერიტორიაზე აღმოჩნდა დამლიანი აგური. დამლა ასე იკითხება: SAGI, რომელიც მშვილდოსანთა კოპორტას ნიშნავს (Мамуладзе, ..., 2002, გვ. 35). ამგვარი კოპორტა დამხმარე სამხედრო შენაერთი იყო (Johnson, 1987, გვ. 23). ასეთი ტიპის სამხედრო ნაწილები დისლოცირებული იყვნენ სირიაში და ღუნაისპირეთში.

აფსაროსის კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში წარწე-რიანი ბრინჯაოს კანდელაბრი აღმოჩნდა: C. OH AUR C.R. გაშიფრვა - C. COH (ors) AUR(elia) c (ivium) R (omanorum) (Мамуладзе, ..., 2002, გვ. 36). აღსანიშნავია, რომ რომის იმპერატორ მარკუს აურელიუსის სახელობის დამხმარე კოპორტები ღუნაისპირეთის პროვინციებშიც იღვნენ (Штаерман, 1946, გვ. 202). როგორც ცნობილია, აბრევიატურიანი დამლები - Civium Romanorum რომის არმიის დამხმარე შენაერთებში გამოიყენებოდა (Johnson, 1987, გვ. 29).

აფსაროსში განლაგებული რომაული სამხედრო შენაერთების ხასიათისა და მათი ფუნქციის თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს კიდევ ერთი დამლა, რომელიც დატანილია წყალსადენის მილზე. ისიც კასტელუმის ცენტრალურ ნაწილშია აღმოჩენილი. წყალსადენის მილი ახ.წ. II საუკუნისაა. მასზე გამოსახულია ნიშანი - X, რომელიც მკვლევართა აზრით, X Fretensis-ის ლეგიონის აღმნიშვნელია (Мамуладзе, ..., 2002, გვ. 38). ეს ლეგიონი ახ.წ. I ს-ის დასასრულს სირიაში იყო დაბანაკებული,

მოგვიანებით კი პალესტინაში (Кигурадзе, ..., 1977, გვ. 89, სურ. 1). აღსანიშნავია, რომ აღრიანეს ეპოქაში ამ ლეგიონის ჯარისკაცების მიერაა გამართული წყალსადენის სისტემა კესარიაში (Штаерман, 1946, გვ. 207). არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ლეგიონის სამშენებლო-საინჟინრო შენაერთები, ამავე მიზნით აფსაროსში სპეციალურად გადმოესროლათ.

ზემოთგანხილული დამლები, როგორც ადრე ითქვა, დოკუმენტურად ადასტურებენ არიანეს ცნობას აფსაროსში დისლოცირებული ზუთი კოპორტის შესახებ, რომლებიც დამხმარე კოპორტები იყვნენ და არა ლეგიონური სამხედრო შენაერთები. საყურადღებოა, რომ არიანესეული "სპეირა" დაახლოებით უათინური "მანიპულ"-ის პირდაპირი თარგმანია და კოპორტის 3, 150-200 კაციან რაზმს უდრის. რამდენადაც თეორიულად ითი სპეირა კოპორტანახევარია, ის დაახლოებით 1000 არისკაცს უნდა ითვლიდეს, რაც შეესაბამება აფსაროსის კასელუმის ტევადობას.

აფსაროსის სიმაგრის ზომიდან (195 x 245 მ). გამოძინარე, ის დაახლოებით ათას ჯარისკაცს იტევდა, რაც აქ საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა. უნდა ითქვას, რომ აფსაროსის გარნიზონი საგრძნობლად ჭარბობდა ფასისის, სებასტოპოლისისა და პიტიუნტის გარნიზონთა რაოდენობას. აფსაროსის ციხესიმაგრის ასეთი მნიშვნელობა მისი გეოსტრატეგიული მდებარეობით იყო განპირობებული. აფსაროსი უშუალოდ ემეზობლებოდა იბერიის იმ დროისათვის ძლიერ სამეფოს, საიდანაც იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს, ჩრდილო კავკასიის მთიელთა სახით, დიდი საფრთხე ემუქრებოდა. ამგვარი საფრთხე, რომ რეალურად არსებობდა, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ფარსმან II დროს იბერიელებმა დარიალის კარი გაუღეს ალანებს და ისინი რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს შეუსიეს (იხ. ღიონ-კასიუსი, LXIX, 15, 1-2).

რაც შეეხება აფსაროსის სასიმაგრო ნაგებობას, როგორც ეს არიანეს აღწერიდან ჩანს, ის მის დროს უკვე იყო "Castella Murata"-ს ტიპის მუდმივმოქმედი კასტელუმი. ამ ბოლო ხანებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ციხესიმაგრის სამხრეთი კედლის მონაკვეთში გამოვლინდა უძველეს ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა არიანეს ინსპექტირების პერიოდს და ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით

თარიღდება. გონიო-აფსაროსის დღემდე კარგად შემონახული კასტელუმი კი გვიანდელია. აფსაროსის კასტელუმი, რომელიც ციხესიმაგრეების საერთო სტანდარტებიდან გამომდინარე, საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს.

გონიოდან ჩრდილოეთით, 60 კმ-ზე მდებარეობდა ფასისის ციხესიმაგრე (დაწვ. იხ. გამყრელიძე, 2001, გვ. 78-79). აქ არიანეს ცნობით, მდგარა "400 რჩეული" მეომარი, რომელიც რაოდენობრივად ერთ კოჰორტას შეესაბამებოდა. არიანესავე თქმით, ფასისის გარნიზონი ხომ, ლოდსატყორცნი მანქანებით იყო აღჭურვილი. დამხმარე სამხედრო შენაერთებს ახ.წ. II ს-ში, როგორც წესი, სატყორცნი იარაღ-მოწყობილობები არ ჰქონდათ (Baatz, 1966, გვ. 197). ბალისტები, ონაგრები და კატაპულტები მხოლოდ ლეგიონების ტექნიკურ აღჭურვილობაში შედიოდა (Webster, 1985, გვ. 98).

შესაძლებელია, რომ ფასისში ლეგიონური კოჰორტა იდგა. არიანეს თქმით, ციხესიმაგრე "იმდგვარად ყოფილა მოწყობილი, რომ ვერაინ მიუახლოვდებოდა" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი.... 9). არიანეს მიერ ნახსენებ ფასისზე შესაძლო თავდასხმაში საფიქრებელია იბერიელები იგულისხმებოდნენ. ალბათ სწორედ ამით იყო განპირობებული ფასისის ციხესიმაგრის გამაგრების საჭიროება და სამხედრო მანქანებით აღჭურვა. ამავე მიზანს ემსახურებოდა, ასევე, არიანეს მიერ აქ ჩატარებული ღონისძიებანი, რომელიც ფასისის ნავსადგურისა და სამოქალაქო დასახლების გამაგრებაში გამოიხატა (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი.... 9).

სამწუხაროდ, ფასისის არიანესეული კასტელუმი არქეოლოგიურად ჯერჯერობით არ არის შესწავლილი. მის შესახებ ზოგადი წარმოდგენა გვექმნება დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი სქემატური გეგმით. ამ გეგმის თანახმად, ციხესიმაგრე ოთხკუთხა ფორმისაა, კუთხეებში მრგვალი კოშკებით (Dubois de Montpereux, 1839, გვ. 67-76, ტაბ. XVIII); მოგვიანებით, ეს ადგილი მოინახულა პროფ. ნ. ლომოურმა. მისი აღწერით, არიანეს დროინდელი და დიუბუას მიერ აღწერილი ციხესიმაგრე ფოთის ნავსადგურიდან 5 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა, ხოლო მდ. რიონიდან 500 მ-ის მანძილზე. ციხის კედლებს შორის მანძილი უდრიდა 160 x 180 მ. (Ломоурн, 1957, გვ. 90). აქედან გამომდინარე, ალბათ, ფასისის არიანესეული

ციხე, ერთი კოპორტისათვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უდავოა: არიანეს დროისათვის, როგორც ეს შემოთაღნიშნულიდან ჩანს, ფასისი და მისი მიდამოები საიმედოდ ყოფილა დაცული. ფასისის შემოგარენის გამაგრება-განმტკიცების თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს სოფ. მოედანში (ლანჩხუთის რ-ნი) დაფიქსირებული ძველი სასიმაგრო ნაგებობის კვალი. აქ ანაკრეფ მასალაში აღმოჩნდა რომაული დამლიანი აგურის ფრაგმენტი. შემორჩენილია სამი ასო - LEG. დამლა შესაძლოა XV ლეგიონისა იყოს. რაც შეეხება მის თარიღს, ეს ძალზე რთული დასადგენია, თუმცა ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებელია. როგორც ცნობილია, IV ს-ის მეორე ნახევრიდან, სოფ. მოედნის სიახლოვეს მდებარე რომაელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენ პუნქტში - ფასისში რომაული გარნიზონი აღარ იდგა. შესაბამისად, ფასისისა და მის მიდამოებში რომაულ სასიმაგრო ნაგებობებსაც ფუნქციონირება უნდა შეეწყვიტა. აქედან გამომდინარე, აღწერილი აგური, ზოგადად III ს. - IV ს-ის პირველი ნახევრით შეიძლება განისაზღვროს.

სოფ. მოედანში აღმოჩენილი სასიმაგრო ნაგებობა, რომელიც ზღვის დღევანდელი სანაპიროდან ფოთამდე პირდაპირი ხაზით 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა და რაც მთავარია, რომაული დამლიანი აგური, გვაფიქრებინებს აქ რაღაც გამაგრებულ პუნქტს, რომელიც ფასისის ციხეს უეცარი თავდასხმებისაგან იცავდა.

სოფ. მოედანში აღმოჩენილი რომაული დამლიანი აგური დოკუმენტურად ადასტურებს, რომ რომაელები ზღვის სანაპირო ზოლთან ერთად კოლხეთ-ლაზიკის შიდა რეგიონებსაც რამდენადმე აკონტროლებდნენ. ერთი ასეთი პუნქტი, როგორც ჩანს, მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირას, დღევანდელ სოფ. მოედანთან არსებულა. ასეთივე პუნქტი უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, არქეოპოლისი-ნოქალაქევი, რასაც გარკვეულწილად მოწმობს იქ აღმოჩენილი კონსტანტინე დიდის სპილენძის მონეტა (დუნდუა, 2001, გვ. 96). ამგვარი მონეტები კი, როგორც წესი, ჩნდება იქ სადაც რომაელთა სამხედრო კონტინგენტი იდგა. ფასისის მიდამოების გამაგრების სისტემაში უნდა ყოფილიყო ჩართული ჩვენი აზრით, ვაშნარიც (სადრაძე, 2003). მართალია,

ის რომაულ-ბიზანტიურ წერილობით წყაროებში არ იხსენიება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსები უმთავრესად იმ პუნქტებს ასახავდნენ ლაზიკიასს, სადაც სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობდა. "ვაშნარის" თავდაპირველი ციხესიმაგრე, რომელიც კვადრატული ფორმისაა და რომაული კასტელუმის პრინციპითაა ნაგები, ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს.

რომაელთა სამხედრო აქტიურობა იბერიის სამეფოს საზღვრებთან ხელს არ აძლევდა იბერიის ხელისუფალთ. დროთა განმავლობაში ცხადია, ამას გარკვეული რეაქცია უნდა მოჰყოლოდა. იბერიის მეფემ ფარსმან II პროტესტის ნიშნად დარიალის კარი გაუხსნა ალანებს და ისინი შეუსია კაპადოკიასა და არმენიას. ალანები, დიონ კასიუსის გადმოცემით - "კაპადოკიის მმართველის ფლავეუს არიანეს მიერ შეშინებულები, საომარ მოქმედებას წყვეტენ" (LXIX, 15, 1). არიანეს მიერ ჩატარებულ სამხედრო ღონისძიებებსა და შავიზღვისპირა ციხესიმაგრეების განაზღვება-განმტკიცებას, მეფე ფარსმანზე ზეგავლენა უნდა მოეხდინა. ამის შემდეგ, ადრიანემ მას "შეგობრობისა და მოკავშირეობის" მოტივით, ელიუს სპარტიანეს ცნობით, "საჩუქრად მისცა სპილო და 50 კაციანი კოპორტა" (El. Spart., Hadr., 13). ამ კოპორტის რაოდენობის, სტატუსისა თუ ფუნქციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ეს კოპორტა 500 ჯარისკაცისაგან შედგებოდა და საგარნიზონო იყო (იხ. Bosworth, 1977, გვ. 225-226), ხოლო მეორენი მას 50 ჯარისკაციან საინჟინრო ნაწილად მიიჩნევს (Брайнд, 1991, გვ. 51).

მართალია, ელიუს სპარტიანესთან 50 კაციანი კოპორტა ნახსენები, მაგრამ ეს გადამწერთა შეცდომა უნდა იყოს. ტექსტში წერია "კოპორტა". ცნობილია, რომ რომაული კოპორტა 500-600 ჯარისკაცისაგან შედგებოდა. ეს კი უკვე სერიოზული ძალა იყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ხსენებული კოპორტა საგარნიზონო სამსახურისათვის იყო გათვალისწინებული. XV ლეგიონის მებრძოლებით დაკომპლექტებული, რომელთა ერთი ნაწილი პიტიუნტში იდგა. ტექსტში ხსენებულ კოპორტას რამდენიმე ფუნქციის შესრულება უნდა დაკისრებოდა. ამ ფუნქციათაგან უმთავრესი იყო დარიალის გადმოსასვლელების

გაკონტროლება, საიდანაც იმპერიის საზღვრებს აღაწიო სახით საშიშროება ემუქრებოდა. ამიტომაც ძნელი მისახვედრ არ უნდა იყოს რომ აღნიშნული კოპორტა სწორედ დარიალი ზეობაში უნდა დაბანაკებულიყო და არა იბერიის სხე რომელიმე პუნქტში. ამ კოპორტასვე უნდა დაკისრებოდა იბერიის ხელისუფალთა მოქმედების გაკონტროლებაც, რასაც დიპლომატიური გზით ადრიანე ვერ ახერხებდა. მასვე ევალებოდა ალბათ სავაჭრო მაგისტრალების კონტროლი.

ადრიანეს მიერ იბერიაში გამოგზავნილმა კოპორტამ როგორც ამას შემდგომი მოვლენების ანალიზი ცხადყოფი გარკვეული მისია შეასრულა. სწორედ მისი ჩადგომის შემდეგ წერილობითი წყაროების თანახმად, შემოსევები იმპერიაში აღა განახლებულა.

იბერიაში დისლოცირებული კოპორტის მხარდაჭერით ადრიანეს ლეგატმა ფლავიუს არიანემ რამდენადმე შეძლო იბერია-რომის ურთიერთობათა მოწესრიგება. ალბათ არიანე იბერიაში ელჩობისას გადაწყდა ფარსმან მეფის რომში სტუმრობის საკითხიც. თუმცა ეს ადრიანეს მმართველობის დრო ვერ მოხერხდა, რადგან ადრიანეს იმპერატორობის მიწურულ პოლიტიკური ვითარება რომში გართულდა, იმპერატორი დ სენატორები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ცხადია, ასე სიტუაციაში საგარეო საკითხები გვერდზე გადაიდებოდა ფარსმანის ვიზიტი ქ. რომში არიანეს ელჩობიდან იბერიაში მცირე ხნის შემდეგ, ანტონინუს პიუსის იმპერატორობი დასაწყისში შედგა (გამყრელიძე, 1959, გვ. 135-139).

ერთ-ერთი ციხესიმაგრე, რომელიც არიანემ დაათვალიერა - სებასტოპოლისი (ახლანდელ ქ. სოხუმთან) იყო. აქ, არიანე სიტყვებით - "მოხერხდა ჯარისკაცებისათვის ხელფასის მიცემა ცხენებისა და იარაღის დათვალიერება, მხედრების ვარჯიში - ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება კედლებისა და თხრილების შემოვლა" (ფლავიუს არიანე პერიპლუსი ..., 10). როგორც ამ აღწერიდან ირკვევა სებასტოპოლისის გარნიზონი, ძირითადად, კავალერიის ნაწილე ბისაგან შედგებოდა, მაგრამ კონკრეტულად არ არი დასახელებული მათი რაოდენობა. თუ სებასტოპოლისი ადრეული, ახ.წ. I-II სს. დათარიღებული კასტელუმის ფართობი (0,7 ჰა) ვიმსჯელებთ, მისი გარნიზონი 200 ჯარისკაცს ა

აღმატებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ სებასტოპოლისის თავდაპირველი კასტელუმი ნუმერული, ანუ მცირე ციხესიმაგრის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო მისი გარნიზონი დამხმარე ჯარის შერეული ქვედანაყოფები უნდა ყოფილიყო. დამხმარე ჯარის ნაწილები – სასაზღვრო ნუმერები, რომის რეგულარული არმიის ნაწილები არ იყვნენ. ისინი, როგორც წესი არარომაელებისაგან კომპლექტდებოდა.

არიანე არაფერს ამბობს მის მიერ სებასტოპოლისში ჩატარებულ სამშენებლო საქმიანობის შესახებ, მაგრამ არსებობს ამ ფაქტის დამადასტურებელი ლათინური ლაბიდარული წარწერა. ის აღმოჩნდა ქ. სოხუმის ნავსადგურის დამცავი ქვის ჯებირის წყობაში დაფიქსირებულ კირქვის ფილაზე: HADR. PER. FL.A. LEG (Ельницкий, 1954, გვ. 138-140).

სებასტოპოლისის კასტელუმი კვადრატული ფორმისაა მოზრდილი ლოდებით, კირხსნარითა და აგურის ფენებითაა ნაგები. ნაწილობრივ შემორჩენილია შვიდი კოშკი, ხოლო მთლიანად – ჩრდილოეთი მხარის კედელი (სიგრძე – 80 მ), რომელსაც მომრგვალებული კუთხეები აქვს, კედლის სისქე – 2,30 მ; გეგმაში ამგვარი ფორმის ციხესიმაგრეები მომრგვალებული კუთხეებით, დამახასიათებელია ახ.წ. I ს-ის დასასრულისა და II ს-ის დასაწყისის რომაული კასტელუმები-სათვის. სებასტოპოლისის ციხესიმაგრის ანალოგიურია ნოვუმის, კარნინტუმის, აკვინკუმისა (Bieracka-Lubanska, 1982, გვ. 54) და შეიცენდორფის (Ubl, 1982, გვ. 75) კასტელუმები.

სებასტოპოლისის II ს-ის რომაული გარნიზონი დამხმარე ჯარის შერეული ქვედანაყოფები უნდა ყოფილიყო. სებასტოპოლისში, არიანეს დროს, ალბათ, აფსაროსთან შედარებით მცირერიცხოვანი რაზმი იდგა, რაც პარადოქსულია, ვინაიდან სებასტოპოლისი ხომ ამ დროს რომაელთა ერთ-ერთი უკიდურესი სასაზღვრო ფორპოსტია დასავლეთ კავკასიაში. სებასტოპოლისს ევალებოდა იმპერიის უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვრის დაცვა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან. სებასტოპოლისს სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა – აქ გადადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომლის გამართული ფუნქციონირებითაც რომაელები დაინტერესებული იყვნენ .

სებასტოპოლისი წარმოადგენდა საკონტაქტო ადგილს და შესაძლოა სტრატეგიულ პლაცდარმსაც ჩრდილოეთ შავიზღვის-

პირეთის ქალაქების მიმართ. ძნელია გადაჭრით ითქვას, თ რატომ იდგა ახ.წ. II ს. სებასტოპოლისში რომაელთა ასეთ მცირერიცხოვანი გარნიზონი. სავარაუდოა, ეს იმით ყოფილყო გამოწვეული, რომ ამ დროს რომაელთა უმთავრესი ფორპოსტ აფსაროსი იყო. ალბათ, აქედან ელოდა გაძლიერებული იბერიის სამეფოსაგან იმპერიის აღმოსავლეთის საზღვარს ყველაზე მეტ საშიშროება, ვიდრე სებასტოპოლისის მონაკვეთიდან.

ამრიგად, ახ.წ. II ს-ის პირველ ნახევარში, როგორც ე. არიანეს ცნობებიდან ირკვევა, რომაელთა ძირითადი სამხედრო საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში სებასტოპოლისი ყოფილა. სწორედ აქ დაუსრულებო თავისი საინსპექციო მოგზაურობა ფლავიუს არიანეს და აქვე შეუტყვია კიმერიული ბოსფორის მეფის კოტისის გარდაცვალების ამბავი. ამიტომაც არიანეს აღუწერია გზ: დიოსკურია-სებასტოპოლისიდან ბოსფორამდე, რათა თუკი რამე მოისურვებდა იმპერატორი ბოსფორის მიმართ, სცოდნოდა ა გზის შესახებ. პირველ ასეთ საყურადღებო პუნქტად ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე არიანე ასახელებს პიტიუნტს (ბიჭვინტას), რომელსაც იგი პატარა ნავსადგომად მოიხსენიებს არიანეს ცნობიდან ჩანს, რომ მის დროს აქ რომაული სამხედრო შენაერთი არ იდგა. არიანემდე პიტიუნტში გარნიზონი რა მდგარიყო, ის მას გაკვრით მაინც მოიხსენიებდა. გარდა ამისა არიანე კონკრეტულად უთითებს, რომ დიოსკურიასთან "მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი ..., 17).

რომაული სამხედრო შენაერთების პიტიუნტში ჩადგობი: დროის საკითხს ნათელს პფენს კასტელუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთი ლათინურენოვანი წარწერა. ამ წარწერის მიხედვით პიტიუნტში რომაული გარნიზონი 135-152 წწ. შორის ჩამდგარა (Speidel, Todua, 1988, გვ. 56-57). ახ.წ. II ს-ის შუახანებისთვის, ბიჭვინტაში რომაელთა სამხედრო შენაერთების ყოფნას დამატებით მოწმობს ის ფაქტიც, რომ უცხოური ნაწარმ და მონეტები მეტი რაოდენობით სწორედ ამ დროიდან ვრცელდება. აღნიშნულ ხანაშივე უნდა დაწყებულიყო ა კასტელუმის მშენებლობა, რომელშიც, როგორც ამას ბიჭვინტის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ლეგიონის ტვიფრიანი კერამიკულ

ფილის ფრაგმენტები ადასტურებენ, მონაწილეობას ლებულობენ ლეგიონური საინჟინრო-სამშენებლო ნაწილები.

ბიჭვინტაში ჯერჯერობით სამი ასეთი ფრაგმენტია დადასტურებული. ერთი ფრაგმენტი დაფიქსირდა ინკიტის ტბასთან არსებული მრგვალი კოშკის ახ.წ. II-III სს-ის ფენაში. აღნიშნული დამლის ნაირი, XV ლეგიონის დამლიანი კერამიკული ფილები და კრამიტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სატალაში, სადაც მდებარეობდა ამ ლეგიონის მუდმივი შტაბ-ბინა. სწორედ ისინი წარმოადგენენ XV ლეგიონის ბიჭვინტის დამლების ზუსტ ანალოგებს (Anderson, Cumont, Cregoire, 1906, გვ. 343). ასე რომ, ახ.წ. II ს-ის შუა წლებში, პიტიუნტში ჩაყენებულია XV ლეგიონის ვექსილაცია, რომლის რაოდენობა, ბიჭვინტის კასტელუმის ზომების მიხედვით (140 x 170 მ), ერთ კოპორტას არ აღემატებოდა. აქედან გამომდინარე, პიტიუნტის კასტელუმშიც საკოპორტო, საშუალო სიდიდის ციხესიმაგრედ უნდა ჩაითვალოს. პიტიუნტის XV აპოლონიისეული ლეგიონის გარნიზონის მთავარ ფუნქციას იმპერიის შორეული მისაღლომების ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან დაცვა წარმოადგენდა. გარნიზონი, როგორც ბიჭვინტის № 18 კოშკის IV ს-ის ფენაში აღმოჩენილი ბალისტიის ღერძის ნაწილი ადასტურებს, ქვის სატყორცნი მანქანით ყოფილა აღჭურვილი (იხ. Baatz, 1988, გვ. 59-64).

ცნობილია, რომ XV ლეგიონი, რომლის ფორმირებაც ცეზარის დროს დასრულდა, თავდაპირველად პანონიაში იღვავ, შემდეგ ემონაში. აქედან ის გადაყვანილ იქნა კარნიტუმში. მისი ცალკეული ვექსილაციები იღვნენ გერულატაში, სტუპავაში (Webster, 1985, გვ. 64-65). ახ.წ. 57 წელს ალანთა აქტივიზაციისა და პართიასთან მოსალოდნელი ომის გამო, XV ლეგიონი რომაელებმა აღმოსავლეთში გადმოისროლეს. იმპერატორ ვესპასიანეს დროს, XV ლეგიონი სირიიდან კაპადოკიაში გააგზავნეს. სალეგიონო ბანაკი მოეწყო სატალაში. აღნიშნულ ხანებში აფრიკიდან კაპადოკიაში გადმოიყვანეს ასევე XII ელვისებური ლეგიონი, რომელიც იმპერატორ ტიტუსის დროს, მელიტენეში დაბანაკდა (Mitford, 1975, გვ. 1187).

პიტიუნტის გარდა, ახ.წ. II-III სს.-ში ამ ლეგიონის ვექსილაციები უნდა მდგარიყვნენ, აგრეთვე აფსაროსსა (სოფ. გონიო) და სებასტოპოლისში (ქ. სოხუმი). კოლხეთის სანაპირო

ამ დროს კაპადოკიის კომპლექსში შედიოდა, ამიტომ ხსენებულ რომაული გარნიზონები კაპადოკიის ლეგატს ემორჩილებოდა. კოლხეთის ზღვისპირა სიმაგრეების გარნიზონები აღმოსავლეთ კაპადოკიაში დაბანაკებულ XII და XV ლეგიონების შენაერთებთან კომპლექტდებოდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ახ.წ. II-III სს.-ში რიზე-ათენა-ხოფას ხაზზე (Mitford, 1974, გვ. 161), ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აღნიშნული ლეგიონების ვექსილაციები იდგნენ. გამორიცხული არ არის, რომ ახ.წ. III-IV სს.-ში აქ ტრაპეზუნტში მუდმივად მყოფი I პონტიური ლეგიონის ვექსილაციებიც მდგარიყვნენ.

რაც შეეხება რომაული გარნიზონების შემადგენლობას, ის ძირითადად, ქვეითებისა და კავალერიისაგან შედგებოდა. ამ ქვედანაყოფების გარდა, აღნიშნულ პუნქტებში რომაელთა ფლოტის ცალკეული შენაერთებიც უნდა მდგარიყო. ამგვარ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა. კერძოდ, ყურადღებას იპყრობს იოსებ ფლავიუსის ცნობა შავ ზღვაზე "მშვიდობის დამცველი" ორმოცი ზომალდის შესახებ (Ant. Jud., II, 367).

სავარაუდოდ, ახ.წ. I ს-ის მიწურულს კოლხეთის სანაპიროზე განლაგებული საზღვაო ფლოტი რავენის ესკადრისა ან მეზიურ-ფლავიუსისეული ფლოტის ნაწილებისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროებს, როგორც აქ აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები მოწმობენ, სწორედ ამ ფლოტის ზომალდები იცავდნენ (Блаватский, 1985, გვ. 232). ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან შავ ზღვაზე სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, სპეციალური "პონტოს ფლოტი" იქმნება. ამ ფლოტის ზომალდები უნდა ყოფილიყო, ზოსიმეს ცნობით, რომლებიც ხელთ ჩაუგდიათ გუთებს პიტიუნტში (ზოსიმე, Hist., Nova. I, 33). ამასვე ადასტურებს ცნობა პიტიუნტის "კარგად მოწყობილ ნავსადგურის" შესახებ (ზოსიმე, Hist., Nova. I, 33).

ამრიგად, ახ.წ. II ს-ში პონტო-კავკასიის სასაზღვრო გამაგრებებში პიტიუნტის ჩართვით, მთავრდება ამ სისტემის ორგანიზაციული გაფორმება. აქ სისტემის ავანპოსტის როლს აღნიშნული დროიდან, პიტიუნტი ასრულებს. სწორედ პიტიუნტისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დანარჩენ ციხესიმაგრეების ქსელის მეშვეობით, რომის იმპერია ახ.წ. III ს-

ის შუა ხანებამდე გარკვეულწილად აკონტროლებდა ტრანსკავკასიას, უზრუნველყოფდა საზღვაო ვაჭრობის უსაფრთხოებას.

ახ.წ. III ს-ის შუა ხანებიდან პონტო-კავკასიის სასაზღვრო სიმაგრეთა ჯგუფში გარკვეული ტენილი შეინიშნება, რაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გუთების ლაშქრობებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, ახ.წ. 238 წლიდან იწყება რომის იმპერიის დუნაისპირეთისა და ბალკანეთის პროვინციებზე გუთების შემოსევები (Laser, 1983, გვ. 32-57). მათი ლაშქრობები მხოლოდ ბალკანეთ-დუნაისპირეთით არ შემოფარგლულა. ახ.წ. III ს-ის 40-იან წლებში გუთების თავდასხმების შედეგად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქები განადგურდა (Ременников, 1954, გვ. 85-88). ახ.წ. 252-267 წწ. გუთებმა მცირე აზიასა და შავი ზღვის სანაპიროებზე ლაშქრობები მოაწყვეს (Wolfram, 1979, გვ. 11-14). ლაშქრობათა ტალღამ საქართველოს ზღვისპირეთსაც გადაუარა.

შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროს დასახლებებზე ნომადური გუთების ლაშქრობათა შესახებ მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე: "როდესაც გუთებმა დაიწყეს მოოხრება ყველაფრისა, რაც გზაში ხვდებოდათ, პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები გაიქცნენ გამაგრებულ ადგილებში. ბარბაროსები პირველ ყოვლისა თავს დაესხნენ ბიჭვინტას, რომელიც შემოზღუდული იყო უზარმაზარი კედლით და რომელსაც კქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური. დგილობრივი ჯარის სათავეში იდგა სუკესიანუსი. მან მთელი თავისი ჯარებით შეუტია ბარბაროსებს და გარეკა ისინი. გუთებმა იმის შიშით, რომ სხვა სიმაგრეების მცველებმაც არ გაიგონ და არ შეუერთდნენ ბიჭვინტის ჯარებს და საბოლოოდ არ გაგვანადგურონო; აი ამის შიშით ხელთ იგდეს ზომალდები; რაც კი შეეძლოთ და ძალიან შეშინებულებმა მოკურცხლეს, ისე, რომ ბიჭვინტასთან ბრძოლებში ბევრი თავისი მეომარი დაჰკარგეს. ექვსინის პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები, რომლებიც გადარჩნენ სუკესიანუსის სტრატეგობის წყალობით, იმედოვნებდნენ, რომ გუთები, რომლებიც ამნაირად უკუქცეულ იქნენ, ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ გადმოსვლას. მაგრამ, როდესაც იმპერატორმა ვალერიანემ სუკესიანუსი გაიწვია და სამეფო კარზე მისცა თანამდებობა, და მიჰყო ხელი ანტიოქიის საქმეების მოგვარებას და მის დასახლებას, მაშინ გუთები კვლავ

გამოჩნდნენ; ბოსფორელებს გამოართვეს ხომალდები და გადავიდნენ აზიაში. მათ ბოსფორელებს აღარ დაუბრუნეს ხომალდები, როგორც წინათ, და არც შინ გაუშვეს, არამედ ამ ხომალდებით მიადგნენ ფასისს, სადაც როგორც ამბობენ, აშენებული იყო ფასისის არტიმიდეს ტაძარი და აიეტის სასახლე. მას ცაადეს ამ ტაძრის ალება, მაგრამ უნაყოფოდ; ამის შემდეგ პირდაპირ წავიდნენ ბიჭვინტისაკენ. ეს ციხე აიღეს მათ დაუბრკოლებრივ, მთელი მისი მცველი ჯარი გაწყვიტეს და განაგრძეს გზა. იშოვეს დიდი რაოდენობა ხომალდებისა და ცურვისათვის გამოიყენეს ტყვეები, რომლებმაც იცოდნენ ნიჩბების ხმარება" (Zos. Hist., Nova. I, 32-33).

პიტიუნტის II-III სს. კასტელუმის გეგმა ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი, მაგრამ გვიანდელი ციხესიმაგრის ზომები ძირითად მონახაზში მას ემთხვევა. პიტიუნტის კასტელუმს სწორკუთხა და მსგავსებას პოულობს სატალის (Mitford, 1974. გვ. 223), აბრიტუსის (ИВАНОВ, 1955, სურ. 6), აფსაროსის III-IV სს. კასტელუმებთან. ზოგადად მათ შორის სხვაობა კომპლექსის მოყვანილობასა და რაოდენობაშიც ჩანს. თუ აბრიტუსისა და შვიცენდორფის (Ubl, 1982, გვ. 74) კასტელუმები შესაბამისად აღჭურვილი იყო 25 და 28 კომპიოთ, ან სატალასი 22 კომპიოთ, აფსაროსისა და პიტიუნტის ციხესიმაგრეების კედლები კი 22 და 27 კომპიოთ ყოფილა გამაგრებული. თუ სატალისა და სებასტოპოლისის კუთხეების კომპიები კვადრატული ფორმისაა, პიტიუნტის დასავლეთი კუთხის კომპიები კი ე.წ. მარაოსებურაა ამ მხრივ, პიტიუნტის კუთხის კომპიები ახლოს დგას ბოიოტროს (Chrislein, 1976, გვ. 28) და შვიცენდორფის კასტელუმების კუთხის კომპიებთან, რომლებიც III და IV სს. ჩანს აგებული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პიტიუნტის გალავნის კომპიების წამყვან ფორმას, ისევე როგორც აფსაროსისა და სებასტოპოლისისა კვადრატული ტიპის კომპიები წარმოადგენენ ამგვარი ტიპის კომპიები კი, როგორც ცნობილია, ნაკლებად ეფექტური იყო და მალევე ინგრეოდა არტილერიით, ვიდრე წრიული ან მრავალწახნაგა კომპიები, რომელთა აგება შედარებით ძვირადღირებული და შრომატევადი იყო (ვიტრუვიუსი, Arch. I V.5).

მართალია, მრავალწახნაგა კომპიები პიტიუნტის სასიმაგრე ნაგებობასაც ჰქონდა, მაგრამ სადღეისოდ აქ გამოვლენილი ?

კომპიდან მხოლოდ ხუთიოდეა ასეთი. ორი მათგანი – გარედან ხუთწახნაგაა, ხოლო დანარჩენი რვაწახნაგა, რომლებიც "კანაბეს" გალაუნის სამხრეთ მხარეზე მდებარეობს. ასეთი ტიპის კომპების არსებობა, ამ მონაკვეთის სტრატეგიული მნიშვნელობით უნდა აიხსნას. ამასვე მოწმობს სამხრეთითვე ჩარიგებული კომპების სიმრავლე (13 კომპი) და, რაც მთავარია, № 18 ხუთწახნაგა კომპი აღმოჩენილი "ბალისტის" დეტალი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომპი სპეციალური საარტილერიო სატყორცნი მექანიზმებისათვის იყო გათვალისწინებული. ვფიქრობთ, ამავე მიზნებს ემსახურებოდა, ასევე მე-5 და მე-6 ე.წ. მაროსებური ფორმის კომპები, რომელთა პირდაპირ ანალოგიებს კაიდავასა და დინოგეტიკის ციხესიმაგრეებში ვხედავთ (Todd, 1984, გვ. 81).

საერთოდ, პიტიუნტის გამაგრების სისტემა სიმტკიცითა და ეფექტურობით გამოირჩეოდა, რისი დამატებითი დასტურიცაა ციხე-ქალაქის გარშემო დღეისათვის არქეოლოგიურად გამოვლენილი სამი ცალკე მდგომი სადარაჯო კომპი, რომლებიც პიტიუნტის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. ერთი მათგანი მდებარეობს ინკიტის ტბასთან და ნაქალაქარის დასავლეთ მისადგომებს კეტავდა, მეორე გამოვლინდა ფიჭვნარის ახალშენის ნაკრძალში, ხოლო მესამე – სოფ. ლიძავაში, რომელიც ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილს იცავდა. ჩრდილოეთ მხარეს შესაძლოა მეოთხე კომპიც იყო. ასე რომ, პიტიუნტის ციხე-ქალაქის მისადგომები, ოთხივე მხრიდან საგულდაგულოდ ყოფილა გამაგრებული.

სადარაჯო ადგილები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, ორი ან სამი სასიგნალო კომპისაგან შედგებოდა, რომაული ლიქსის აუცილებელი ელემენტი იყო. ამგვარი სადარაჯო კომპები დადასტურებულია დაკიაში (Cantacuzino, 1944, გვ. 441-472), დობრუჯში (Tudor, 1978, გვ. 258), გერმანიაში (Fabricius, 1927, გვ. 575). ოთხი ასეთი ახ.წ. I ს-ის საგზაო-სადარაჯო კომპი აღმოჩნდა ბოსფორის აზიურ ნაწილში, რომელიც კვადრატული ფორმის იყო და მდებარეობდა გორგიპიასა და ბატას შორის, სტრატეგიული კომუნიკაციების საკვანძო პოზიციებზე (Буѣских, 1991, გვ. 90).

შედარებით უფრო მონუმენტურობითა და თავდაცვისუნარიანობის მაღალი სიმტკიცით გამოირჩეოდა ინკიტის ტბის კომპი, რადგანაც ის მრგვალი მოყვანილობისაა. კონფიგურაციის

მიხედვით, ის ძალზე ახლოს დგას აცავანისა და ტელ-ბენდერის მრგვალი მოყვანილობის კოშკებთან, რომლებიც, ზოგადად, რომაული ხანით თარიღდება (Harper, 1971, გვ. 27-29). ანალოგიებითა და კოშკების კედლის სისქის მიხედვით, ინკიტის კოშკი სამსართულიანი უნდა ყოფილიყო.

პიტიუნტის გამაგრების სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დანარჩენ ციხესიმაგრეებისაგან შედარებით გალავნის სიგანის ზომითაც განსხვავდებოდა. სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის გალავნის სიგანე 2-მდე აღწევს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ძველი დროის გამოჩენილი პოლიოკრეტიკოსის ფილონ ბიზანტიელის რეკომენდირებულ გალავნის მაქსიმალურ ზომაზე – დაახლოებით 4,40 მ (Phil., Mech., 3, 1-2). სებასტოპოლისის გალავნის სიგანეს 30-40 სმ-ით აღემატება აფსაროსის პირველი სამშენებლო ჰორიზონტის კედლის სიგანე (2,30-2,40 მ), ხოლო პიტიუნტის კასტელუმის ზღუდის სიგანე 1,20 მ-ით მეტია სებასტოპოლისის გალავნის სიგანეზე.

ციხესიმაგრეთა გალავნის სიგანის ზომებში ამგვარი სხვადასხვაობა უნდა აიხსნას ამა თუ იმ ციხესიმაგრის სტრატეგიული მნიშვნელობით თავდაცვით სისტემაში, საფორტიფიკაციო ელემენტებით და ტოპოგრაფიული თავისებურებებით. ანტიკური ფორტიფიკაციის წესების თანახმად, გალავნის სიგანეს უნდა შეედგინა არანაკლებ $1/2$ ან $1/3$ სიმაღლე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სებასტოპოლისისა და აფსაროსის გალავნის სიმაღლე, შესაბამისად, 8-9 და 9-10 მეტრი უნდა ყოფილიყო, ხოლო პიტიუნტისა 13-14 მეტრი, რაც ფილონის რეკომენდაციით საკვებით ოპტიმალური იყო იმისათვის, რათა მოწინააღმდეგე მისადგმელი კიბეებით გალავანზე ვერ გადასულიყო (Phil., Mech., 3, 1-2). პიტიუნტის ციხესიმაგრის გალავნის დაბოლოების ხასიათი ჩვენთვის უცნობია. ანტიკური საფორტიფიკაციო პრაქტიკის თანახმად გალავანზე უნდა მოწყობილიყო "პარაპეტები."

თავისებური სამშენებლო ტექნიკით უნდა იყოს განპირობებული, ასევე ბიჭვინტის კასტელუმისა და სამოქალაქო დასახლების გადაბმის მონაკვეთზე გალავნის კედლის სამხრეთ ნაწილში გამოჭრილი 1,30 მ სიგანის სათადარიგო კარი. აქ კედელში გამოკვეთილია ვერტიკალური საგანგებო ნიშა

ჩამოსაშვები კარისათვის, ხოლო შიდა კუთხეში ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო, რომელიც განკუთვნილი იყო კარის ღერძისათვის.

პიტიუნტის თავდაცვით სისტემაში, აგრეთვე შედიოდა კასტელუმის შიდა ფართობზე არქეოლოგიურად გათხრილი რომაული სამხედრო შენაერთებისა თუ მათი ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ნაგებობები. ამ მხრივ, ინტერესს პიტიუნტის კასტელუმის მთავარი ქუჩის ბოლოში აღმოჩენილი დიდი ზომის სწორკუთხა ნაგებობა იწვევს. ამ კომპლექსის საერთო ფართობი 1000 კვ. მეტრს აღწევს. ის ნაგებია კონგლომერატის ბლოკებითა და გათლილი კვადრებით. ნაგებობა პრეტორიუმადაა მიჩნეული. მსგავსი ფორმის პრეტორიუმები ცნობილია ბრიტანეთისა და გერმანიის ლიმესის ბანაკებში – ელგინპაგში (Johnson, 1987, გვ. 313); ჰესელბახში (Baatz, 1973, გვ. 15), შლოგენსა (Eckhart, 1969, გვ. 69) და ფენდოხში (Webster, 1985, სურ. 48). დაგეგმარებითა და კონსტრუქციით ბიჭვინტური პრეტორიუმის ახლო ანალოგს ფენდოხისა და შლოგენის პრეტორიუმები წარმოადგენს.

აღნიშნული პრეტორიუმების ანალოგიიდან გამომდინარე, ბიჭვინტის დასავლეთ ნაწილში განლაგებული სათავსოები სამხედრო შენაერთის შტაბის კანცელარია უნდა ყოფილიყო. ამ ოთახების მოპირდაპირე მხარეს არსებულ 210 კვ. მეტრის დარბაზს სადღესასწაულო მიღებების ფუნქცია შეიძლება ჰქონოდა. აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული სწორკუთხა დაგეგმარების სათავსოები - საცხოვრებელი, სამზარეულო და სასადილო ოთახებია. აქვე სარდაფებში კი, უნდა ყოფილიყო იარაღისა და პროდუქტების საწყობი განთავსებული. პრეტორიუმს სამი შესასვლელი კარი ჰქონდა: ცენტრალური კარი, რომლის სიგანე 1,85 მ ოფიცრებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი; მარცხენა კარი - ჯარისკაცებისა, ხოლო მარჯვენა – ალბათ დაბალი რანგის თანამდებობის პირთათვის იყო გათვალისწინებული. პიტიუნტის პრეტორიუმი, ზომებიდან და სათავსების კონსტრუქციიდან გამომდინარე "აუქსილიას" ნაირს უნდა განეკუთვნოს.

პრეტორიუმის გვერდით ცენტრალური ქუჩის ჩრდილო და სამხრეთ გაყოლებაზე განლაგებული იყო პრინციპია, სამხედრო ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ნაგებობები. მათ შორის

გამოირჩევა მთავარი ქუჩის სამხრეთით მდებარე მონუმენტური, გეგმაში ოთხკუთხა ფორმის შენობა. მისი ფართობი 240 კვ. მ-ია. ნაგებია კონგლომერატის ბლოკებითა და კვადრებით. იატაკი კირხსნართაა მოლესილი. ქუჩის მხრიდან მას 20x3 მ მინაშენი აქვს, რომლის იატაკი მოზაიკითაა დაფარული. გადარჩენილია თევზის, დელფინისა და ტრიტონის გამოსახულებები (ჭყონია, 1978, გვ. 196-216).

მთავარი გზის სამხრეთ მონაკვეთზე მონუმენტური ნაგებობებია გამოვლენილი. ეს ნაგებობები საერთო გეგმითაა აშენებული. მოგვიანებით ეს კომპლექსი რამდენიმე სათავსოდ გადაუტიხრავთ. ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კედლის წინაგ მოზაიკური იატაკია დადასტურებული, საბრძოლო სპილოსა და ლომის გამოსახულებებით. რეინისა და დუნაისპირეთის ანალოგიიდან გამომდინარე, ამ მონუმენტურ ნაგებობებში განთავსებული უნდა ყოფილიყო სასამართლო ტრიბუნალი.

აღნიშნულ ნაგებობებს ჩრდილოეთიდან ეკერის სათავსების მთელი წყება. აქ ქვევრები და ამფორები აღმოჩნდა. ეს სათავსები ღვინის და სანოვაგის საწყობები უნდა ყოფილიყო. ამ სათავსობის საწინააღმდეგო მხარეს მდებარეობდა ნაგებობების კომპლექსი, რომლებიც მრავალჯერ არის გადაკეთებული. მისი პირველი სათავსო 7,5 x 12,5 მ ორადაა გადატიხრული. იატაკი კირხსნართაა მოლესილი. აქვე არქეოლოგიურად დაფიქსირებულია კანალიზაციის კოლექტორი. მეორე სათავსის შიდა ფართობი 4 x 4,5 მ; მესამე სათავსი 5,5 x 12 მ ზომისაა. ამ სათავსების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს სათავსები, რომლებსაც მოზაიკური იატაკი, კანალიზაცია და გათბობის სისტემები ჰქონდა. აქ ალბათ ლაზარეთ-საავადმყოფო უნდა ყოფილიყო. ანალოგიებიდან გამომდინარე, ბიჭვინტის საავადმყოფოს უნდა ჰქონოდა იზოლირებული პალატების სისტემა, სააბაზანო ოთახები, გათბობა, საკანალიზაციო და წვიმის საწრეტი არხები, საპირფარეშოები, სამზარეულო და სხვ.

კასტელუმის გარე კედელზე აღმოსავლეთ მხრიდან მიშენებულია 26,5 x 10 მ ზომის აბანო. აბანოს ჩრდილო-დასავლეთიდან ეკერის კასტელუმში შესასვლელი 2,8 მ-ის სიგანის კარიბჭე, ალბათ - "Porta Pretoria", რომელსაც ორი ნახევარწრიული კოშკი იცავდა. აღნიშნულ კარიბჭესთან

გამოვლენილია ოთხკუთხა შენობა, რომელიც ჯარისკაცების სამორიგეო უნდა ყოფილიყო.

კასტელუმის ჩრდილო და სამხრეთ გალავნის კედლებთან არქეოლოგიურად გამოვლინდა მართკუთხა, წაგრძელებული ნაგებობები, რომლებიც ყაზარმებს წარმოადგენდნენ. ნალო-გიებიდან გამოვლინარე, პიტიუნტში დაახლოებით ექვსამდე ყაზარმა უნდა ყოფილიყო, სადაც ერთი კოპორტა დაბანაკდებოდა. ამ ყაზარმების გვერდით უნდა მდგარიყო ცხენებისათვის განკუთვნილი თავლები.

პიტიუნტის საფორტიფიკაციო ნაგებობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომის სასაზღვრო სისტემაში, რეგიონის დანარჩენ ციხესიმაგრეებთან შედარებით, მეტი სიმტკიცითა და ეფექტურობით გამოირჩეოდა. ეს კი იმით იყო განპირობებული, რომ პიტიუნტი ახ.წ. II-IV სს. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რომაელთა უკიდურესი მეწინავე ფორპოსტი იყო.

საინტერესოა პიტიუნტის (ბიჭვინტის) რომაული გამაგრების სისტემის ე.წ. ნახევარწრიული გალავანი, რომელიც მიბმულია კასტელუმის სამხრეთ კედელს და ის სამოქალაქო დასახლებაა (Лордкипанидзе, 1989, გვ. 340-341). ალბათ ანალოგიური ტიპის დასახლება არსებობდა ფასისშიც, რომლის შესახებაც მინიშნება ფლავიუს არიანეს მოეპოვება. არიანეს მიხედვით, ფასისის ციხის გარშემო მდებარე ადგილები დასახლებული ყოფილა "გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი ... 9). რომაული სამოქალაქო დასახლება უნდა არსებულიყო, აგრეთვე აფსაროსში, რისი არაპირდაპირი მოწმობაცაა აფსაროსიდან გაგზავნილ წერილში მოხსენიებული ვეტერანი ჯარისკაცი, რომელიც გონიოში დისლოცირებული კლავდიუსის II კოპორტაში მსახურობდა (Спайдел, 1985, გვ. 135).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული დასახლებები კანაბებადაა კვალიფიცირებული (Леквинадзе, 1969, გვ. 90-91; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 74). ამგვარი განსაზღვრის საფუძველი რომაული კანაბების მშენებლობის პრაქტიკაა. ამ პრაქტიკის თანახმად, არაურბანიზებულ ტერიტორიაზე კანაბები მხოლოდ ლეგიონების სამხედრო ბანაკებთან შენდებოდა. ასეთი კანაბე საკმაოდ მსხვილ დასახლებას წარმოადგენდა და კასტელუმიდან ჩვეულებრივ 2-3 კმ-ით იყო დაშორებული. ამგვარი ტიპის

კანაბები, უპირატესად, იმპერიის ევროპულ პროვინციებში არსებობდა (Webster, 1979, გვ. 212-213). ხშირ შემთხვევაში, ასეთ კანაბეს, ამა თუ იმ პუნქტიდან ლეგიონის გაყვანის შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით ქალაქის სტატუსი ენიჭებოდა (Bohn, 1926, გვ. 25). მაგალითად, ახ.წ. 15 წელს ტიბერიუსმა, ემონადან XV ლეგიონის გასვლის შემდეგ, ამ ლეგიონის კანაბეს ქალაქ-კოლონიის სტატუსი მიანიჭა (Saria, 1941, გვ. 245). მუნიციპიუმის სტატუსი მიიღო XIII ლეგიონის კანაბემ აპულეაში და პოტაისის V მაკედონური ლეგიონის კანაბემ (Колосовская, 1985, გვ. 179). რომის პროვინცია – დაკიის დელაქალაქის სარმიზეგეტუსის, უსისტემოდ ნაშენი კანაბე ქალაქად აკურთხეს ლეგიონის იქიდან გაყვანის შემდეგ (Кругликова, 1984, გვ. 89). თავდაპირველად დუროსტორიუმში დუნაიზე რიგითი სამოსახლო იყო, რომელიც აღმოცენდა კლავდიუსის XI სამხედრო ბანაკის გარშემო, ხოლო ახ.წ. II ს-ში ქალაქი გახდა (Кругликова, 1984, გვ. 23).

კანაბეს ქალაქად გადაქცევის ამგვარი მექანიზმების გარდა, რომაულ ხანაში კიდევ სხვა გზებიც არსებობდა. კერძოდ, რომაულ პროვინციებში, იმპერატორის განკარგულების გარეშე, დროთა განმავლობაში, განვითარების შედეგად, ქალაქები წარმოიქმნებოდა იმ ბანაკებიდან თუ კანაბებიდან, რომლებიც ეკონომიკურად დაწინაურებულ რეგიონებში მდებარეობდა და სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილზე იყო აშენებული. ასეთი ციხეებისა და სამოსახლოებისაგან აღმოცენებულ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება აბრიტუსი, ულპია-ესკუსი, ვინდობონა, აკვინკუმი, კარნინტუმი და სხვ. (Иванов, 1981, გვ. 224; Античная цивилизация, 1973, გვ. 207).

აღნიშნული კანაბების ფონზე, საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის რომაული დასახლებები, რომლებიც ზომითა და მასშტაბებით იმპერიის დანარჩენი პროვინციების კანაბებს ვერ გაუტოლდებიან. მაგალითად, პიტიუნტის სამოქალაქო დასახლების ფართობი 5 კ-ს არ აღემატება და საშუალო სიდიდის დასახლების კატეგორიას განეკუთვნება.

ფასისის სამოსახლო კი, ციხესიმაგრის ფართობის და იქ განლაგებული ჯარისკაცთა რაოდენობიდან (400 ჯარისკაცი) გამომდინარე, ალბათ კიდევ უფრო მცირე ზომისა უნდა

ყოფილიყო. ამასვე მიუთითებს, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ არიანე მსულ მოკლე დროში შეძლო ფასისის ქალაქური დასახლების გარშემო თხრილის შემოვლება. გარდა ამისა, განსხვავებით რომაული კლასიკური ტიპის კანაბებისაგან, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივი ლეგიონების კასტელებთან არსებობდა, საქართველოს ზღვისპირა ცენტრებში არათუ ლეგიონები, არამედ ლეგიონური გარნიზონებიც კი არ იდგნენ. აქ მხოლოდ დამხმარე სამხედრო შენაერთები იყო დისლოცირებული. გამონაკლისი იყო პიტიუნტი, რომლის გარნიზონიც როგორც აქ აღმოჩენილი XV ლეგიონის ტვიფრიანი კერამიკული ფილა მიუთითებს (Кигурадзе, ..., 1987, გვ. 88-92) შესაძლოა ლეგიონური ყოფილიყო. საკოპორტო ციხესთან კი კანაბეს ტიპის დასახლებები რომაულ პროვინციებში არ წარმოქმნილა.

საყურადღებოა, რომ ძველი ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობების თანახმად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არა მარტო შიდა, არამედ სანაპირო ზოლიც, ძირითადად, ლაზებით, აბაზგ-აფსილებითა და სანიგებით ყოფილა დასახლებული (სტრაბონი, XI, II, 14; პლინიუსი, NH, VI, 15; ფლავიუს არიანე, პერიპლუსი... 8-11). ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული კლასიკური ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. ისმის კითხვა, თუ ეს ასეა, მაშინ რა კატეგორიას უნდა განეკუთვნოს ფასისისა და პიტიუნტის რომაული დასახლებები.

როგორც ცნობილია, რომაულ პრაქტიკაში კანაბმშენებლობის ზემოაღნიშნული გზის გარდა, ურბანიზებულ ტერიტორიებზე რომაული გარნიზონების ქალაქური დასახლებების ფუნქციას ჩვეულებრივ ადგილობრივი სამოსახლოები ასრულებდნენ. ასე იყო მაგალითად, ეგვიპტის ალექსანდრიაში, იერუსალიმში, პალმირაში, ხერსონესში და მახლობელი აღმოსავლეთის მთელ რიგ პუნქტებში (Sarnowski, 1988, გვ. 81). წერილობითი წყაროების სიმციროს გამო, ჩვენ არ გავაჩნია კონკრეტული მონაცემები ახ.წ. I ს-ის დასაწყისის სანაპირო ზოლის ურბანიზებული ტერიტორიის შესახებ. სამწუხაროდ, არქეოლოგიურადაც ზღვისპირა ცენტრები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს ისეთი ცნობილი საქალაქო ცენტრები, როგორც იყო ეშერა,

გიენოსი (ოჩამჩირე) და ფიჭვნარი ახ.წ. პირველი საუკუნისათვის უკვე აღარ არსებობენ. კოლხეთის ზღვისპირა რამდენიმე პუნქტი კვლავ განაგრძობს არსებობას. მაგალითად, კოლხეთის ერთ-ერთი მდიდარი ქალაქი დიოსკურია ახ.წ. I ს-ის 70-იანი წლებისათვის, პლინიუსის ცნობით, "დაცარიელებულია," მაგრამ ამის შემდგომაც, მისივე სიტყვით, "ჩვენები (ანუ რომაელები.) თავის საქმეებს აქ 130 მთარგმნელის მეშვეობით აგვარებდნენ" (Plin., NH., VI, 15). ნაშრომის სხვა ადგილას პლინიუს უფროსი აღნიშნავს, "დიოსკურიის შემდეგ ქალაქი ჰერაკლეუშია, სებასტოპოლისის კასტელუმიდან 70 ათას ნაბიჯზეა დაშორებული" (Plin., NH., VI, 15). აქ ერთი და იგივე პუნქტი ორი სხვადასხვა სახელწოდებითაა აღნიშნული — დიოსკურია, სებასტოპოლისი. შესაბამისად, თუ პლინიუსის ზემოთ მოყვანილ ცნობასა და მისსავე შენიშვნას დიოსკურიის "დაცარიელების" შესახებ ერთმანეთთან დავაკავშირებთ, მაშინ გამოდის, რომ დიოსკურია რიგით საქალაქო დასახლების რანგამდე ჩამოქვეითებული პუნქტია, ხოლო სებასტოპოლისი მის მეზობლად მოქმედი ახალი რომაული ციხესიმაგრე.

ნიშანდობლივია, რომ გვიანდელი ხანის ზოგიერთი ავტორი (ფლავიუს არიანე - ანონიმი) ხშირად ორივე სახელწოდებას ერთად ასახელებს. ზოგან კი სებასტოპოლისის სახელწოდებით მხოლოდ რომაული მეციხოვნე გარნიზონი აღინიშნება (იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 20; გეორგიკა, 2, 1965, გვ. 101, 107, 135, 221). ავტორთა ერთი ნაწილი ამ ცენტრს მხოლოდ ტრადიციული დიოსკურიის სახელით იხსენიებს (ამიანე მარცელინე, იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ. 112). ციხისა და ქალაქის ამგვარი დეფინიცია კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს XVIII ს-ის მოგზაურთა (გიულდენშტედტი, 1964, გვ. 98), თუ ისტორიკოსთა (ნ. დადიანი, ს. ბურნაშევი) შრომებში (დადიანი, 1962, გვ. 53), სადაც თანამედროვე სოხუმის ტერიტორიაზე ციხე და ქალაქი სხვადასხვა ადგილზეა მითითებული და სხვადასხვა სახელწოდებით აღინიშნება (სოხუმ კალა ციხედ იწოდება, ხოლო ცხუმი — ქალაქად). ასე რომ, ახ.წ. I ს-ის დასასრულს და შესაძლოა II ს-შიც დიოსკურია-სებასტოპოლისი შესაბამისად ადგილობრივი საქალაქო ცენტრი და რომაული ციხეა ტიპოლოგიურად, ხოლო ფუნქციური თვალსაზრისით სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ახ.წ. I-II სს. აფსაროსზე. მართალია, პლინიუს უფროსი მას მხოლოდ "Castellum"-ად მოიხსენიებს (Plin., NH., VI, 11). მაგრამ ჩვენ განკარგულებაში მოგვეპოვება სხვა ავტორთა ცნობები, რომლებიც საპირისპიროს მეტყველებენ. ასე მაგალითად, არტემიდორე ეფესელი, რომელთანაც პირველად მოიხსენიება აფსაროსი, თავის "მოკლე მიმოხილვაში" უთითებს ქალაქსა და კუნძულ აფსირტს (გეორგია, 3, 1936, გვ. 277), რაც რომაელთა გაბატონებამდე აფსაროსის მიდამოებში ქალაქის არსებობის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს. ამასვე უნდა ადასტურებდეს არიანესთან დაცული ტრადიცია: "ამბობენ, რომ აფსაროსი ოდესღაც ძველად აფსირტედ იწოდებოდა იმის გამო, რომ თითქოს აქ მედეას ზელით დაიღუპა აფსირტე, ხოლო შემდეგ კი ეს სახელი მეზობელმა ბარბაროსებმა დაამახინჯეს" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი... 7). ამავე თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებოა, აგრეთვე, "ქართლის ცხოვრებაში" დაცული ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ "ანდრია პირველწოდებული ტრაპიზონიდან მეგალოპოლისში მოვიდა, საიდანაც შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 17).

"ქართლის ცხოვრების" ამ ცნობაში, რომელიც ძველი გადმოცემის თუ რომელიღაც ძველი წყაროს ანარეკლია, მოხსენიებული მეგალოპოლისი გონიო-აფსაროსი უნდა იყოს, რადგანაც წერილობითი წყაროებით, ტრაპეზუნტიდან ვიდე აფსაროსამდე, რომაულ ხანაში სხვა მნიშვნელოვანი საქალაქო დასახლება არ დასტურდება. მეგალოპოლისისა და აფსაროსის იდენტურობაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე ისიც, რომ აფსაროსი, როგორც ეს პლინიუსის ცნობიდან ირკვევა, სწორედ იბერიას ესაზღვრებოდა. "აფსაროსის გარშემო მთებს იქით იბერია ძევს" აღნიშნავს პლინიუსი (Plin., NH., VI, 4). როგორც ჩანს, აფსაროსში რომაელთა მიერ აქ ციხესიმაგრის აგებამდე, ადგილობრივი საქალაქო დასახლება არსებულა.

რაც შეეხება სებასტოპოლისისა და აფსაროსის რომაული გარნიზონების სამოქალაქო დასახლებების არსებობა-არარსებობას, არც არიანეს და არც მომდევნო ხანის ავტორებს მათ შესახებ არავითარი მინიშნება არა აქვთ. გარკვეული სიცხადე ამ საკითხში შეიძლება შეიტანოს ფაიუმში აღმოჩენილმა

(აფსაროსიდან გაგზავნილმა) წერილმა, საიდანაც ირკვევა, რომ აფსაროსში რომელი ვეტერანები ქალაქში დასახლებულან (შპაიდელი, 1985, გვ. 135).

აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ელინისტური აღმოსავლეთის ურბანიზებული ტერიტორიების მსგავსად, აფსაროსისა და შესაძლოა დიოსკურია-სებასტოპოლისის რომაული სამხედრო შენაერთების სამოქალაქო დასახლების ფუნქციას ამ პუნქტებში ადგილობრივი საქალაქო ცენტრები ასრულებდნენ.

აფსაროსთან შედარებით, განსხვავებული სურათი დასტურდება ახ.წ. I-II ს-ის პიტიუნტში. სტრაბონი მას "დიდი პიტიუნტს" უწოდებს (XI, 2,14). პლინიუსიც აღნიშნავს, რომ ის უმდიდრესი ქალაქი იყო, რომელიც მისი დროისათვის პენიონების მიერაა გაძარცვული (Plin., NH., VI, 16). არიანე კი აქ მხოლოდ ნავსაყუდელს აფიქსირებს - "დიოსკურიიდან, რომ მიდინარ, პირველი ნავსადგომია პიტიუნტში, სამას ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი.... 9).

ბიჭვინტის ნაქალაქარის XXII ნაკვეთის ქვედა პორიზონტში, არქეოლოგიურად დაფიქსირდა ახ.წ. I ს-ის დასასრულისა და II ს-ის პირველი ნახევრის ფენა, სადაც აღმოჩნდა იმპორტული (კოსის, როდოსის) და ადგილობრივი ამფორების ფრაგმენტები (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 42-43). ეს კი რომაული გარნიზონის ჩადგომამდე პიტიუნტში ცხოვრების საკმაოდ ინტენსიურ რიტმზე მიუთითებს, აგრეთვე III ნაკვეთის ქვედა ფენიდან მომდინარე ახ.წ. I ს-ის პერგამონული წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტი; მცირე ზომის ვიწროყელიანი ღია ფერის სინოპური ამფორები, რომლებიც ახ.წ. I ს-ით თარიღდება (იხ. Шелов, 1976, გვ. 18). მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ხანებში პიტიუნტი საქალაქო ცენტრად ვიგულისხმობთ. ახ.წ. I-II სს-ის ფენის სისქის სიმცირე და ნივთიერი მასალის სიღარიბე მოწმობს, რომ ამ დროისათვის მას უკვე დაკარგული აქვს საქალაქო ცენტრის მნიშვნელობა და მხოლოდ პატარა ნავსადგომი და რიგითი დასახლება იყო. ახ.წ. 152 წლისათვის, კონსულების - გლაბრიონესა და კომპულის დროს პიტიუნტში ნამდვილად იდგა რომაული გარნიზონი (Speidel, Todua, 1988, გვ. 56).

ამგვარად ცხადია, რომ არიანეს საინსპექციო მოგზაურობის შემდეგ, ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევარში პიტიუნტი რიგითი და-

სახლებიდან რომაელ სამფლობელოთა ფორპოსტად, სამხედრო პუნქტად ქცეულა. ყოველ შემთხვევაში, II ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში, როგორც ეს არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, ბიჭვინტაში არის რომაული კასტელუმი (აფაქიძე, 1975, გვ. 26). მასთან ერთად უნდა წარმოქმნილიყო სამოქალაქო დასახლებაც, რომელიც ნახევარწრიული გალავნითაა გამაგრებული.

სამოქალაქო დასახლება უშუალოდ კასტელუმის სამხრეთ კედელზეა მიბმული, რაც ძალზე უჩვეულოა რომაული სამოსახლოებისათვის. რომაული კანაბეები კასტელუმებისაგან ჩვეულებრივ 2-ოდე კმ-ით იყო დაშორებული და გეგმაში სწორკუთხედს წარმოადგენდა. ბიჭვინტის სამოსახლოს მსგავსი კანაბე გვხვდება გერმანიის ლიშესის ციხე-ქალაქ ოსტერბრიუკენში (Johnson, 1987, გვ. 315), მაგრამ ბიჭვინტისაგან განსხვავებით, მისი სამოქალაქო დასახლების გალავანი ტრაპეციული ფორმისაა და კასტელუმის ჩრდილოეთის კედელთანაა მიდგმული. სამოქალაქო დასახლების უშუალოდ ციხესთან არსებობა უფრო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის არის დამახასიათებელი.

პიტიუნტის ციხე-ქალაქის მოსახლეობა, რომელი სამხედრო შენაერთის აქ დისლოცირებული რაოდენობიდან (დაახლოებით 500-მდე ჯარისკაცი) გამომდინარე, არცთუ ისე მრავალრიცხოვანი იყო. ფასისის სამოსახლოს ტერიტორიაზე მცხოვრები "გადამდგარი ჯარისკაცებიც" არ უნდა ყოფილიყვნენ მრავალრიცხოვანი. არიანემ სულ მოკლე დროში შეძლო სამოქალაქო დასახლების გარშემო თხრილის შემოვლება (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი... 9). საფიქრებელია, შეიძლება ესეც ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რომ აღნიშნული პუნქტების ვეტერანთა სამოსახლოები იმპერიის პროვინციების მნიშვნელოვან მეტროპოლიის ტიპის ქალაქებად კერ ჩამოყალიბდნენ.

აღსანიშნავია, რომ რომაელ-ბიზანტიელ ისტორიკოსებს არა აქვთ პიტიუნტში რაიმე მსხვილი რომაული სამოსახლოს შესახებ ცნობები. პროკოპი კესარიელის ცნობით კი აბაზგიაში, რომლის ტერიტორიის ფარგლებში პიტიუნტიც შედიოდა, რომაელი ჯარისკაცები "ბევრ ადგილას განსახლებულან ადგილობრივ მკვიდრთა შორის" (პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 4). როგორც ჩანს, რომაელ ვეტერანთა გარკვეულ ნაწილს ადგილობრივ

საქალაქო ცენტრებში თუ სამოსახლოებშიც უცხოვრიათ. მაშინ როცა რომის იმპერიის დასავლეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ პროვინციებში რომაელი ვეტერანები განცალკევებით ცხოვრობდნენ. მათი კანაბებიც სამხედრო ბანაკისაგან (კასტელუმისაგან) თუ ადგილობრივი დასახლებისაგან დაცილებული იყო (Magie, 1950, გვ. 267). ისინი განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ და მუნიციპალიტეტების უფლებებსაც იღებდნენ (Сапрыкин, 1999, გვ. 77). ასე მაგალითად, მონტანის (დუნაის პროვინციის რომაული ქალაქი) წარწერებში გამოჩენილი ჩანს საკუთრივ ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა (cives Montanensium) სამხედრო ბანაკისა და მასზე დამოკიდებული კანაბეს მოსახლეობისაგან (castrenses) (Иванов, 1981, გვ. 52). პიტიუნტის, სებასტოპოლისის და აფსაროსის შემთხვევაში ამგვარ დეფინიციას ვერ ვხედავთ. პირიქით, აღნიშნულ პუნქტებში რომაელი ვეტერანები და მკვიდრი მოსახლეობა თანაცხოვრობენ.

მამასადამე, სრული საფუძველი გვაქვს იმის მტკიცებისა, რომ ფასისში, პიტიუნტში, სებასტოპოლისში და, საერთოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვეტერანთა ორგანიზებული დასახლებები არ იყო. ეჭვს იწვევს ასევე ფასისისა და პიტიუნტის რომაული სამოსახლოების სამეურნეო ხასიათიც, რამდენადაც აგრარიზაცია, თავისუფალ, ვრცელ დაუსახლებელ ტერიტორიას მოითხოვდა. საამისო პირობები კი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ იყო. აქ რომაული გარნიზონების ჩადგომისას უკვე არსებობდა ადგილობრივი საქალაქო ცენტრები თუ რიგითი დასახლებები. აღსანიშნავია, რომ აგრარიზაციის პროცესმა ვერც რომის იმპერიის პროვინციებში მოიკიდა ფეხი. აღრიანეს დროიდან ის საერთოდ შეწყდა (Kornemann, RE, IV, გვ. 546). ამიერიდან ვეტერანთა ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა-ხელოსნობა იყო.

ვფიქრობთ, სავაჭრო-სახელოსნო ტიპის - "vicus"-ის რანგის სამოსახლოები უნდა ყოფილიყო პიტიუნტისა და ფასისის რომაული ქალაქური დასახლებები, როგორც ხშირად იქმნებოდა მსგავსი პუნქტების საკოპორტო კასტელებთან (Савелоя, 1999, გვ. 44). ასეთი ტიპის სამოსახლოთა მოქმედების არეალი ციხე-ქალაქის ფარგლებს არ სცილდებოდა. რომაული პრაქტიკიდან გამომდინარე, ამგვარი სამოსახლოების მცხოვრებთა ძირითადი

კონტინგენტი, როგორც ეს ფასისის მაგალითიდანაც ჩანს (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი... 9), ვაჭრები იყვნენ (Gones, 1954, გვ. 866). მათ ხელში ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო ურთიერთობის მთელი მექანიზმი თავმოყრილი იყო. ეფიქრობთ, ამ სოციალური კატეგორიის საშუაშაველო გზით უნდა იყოს მოხვედრილი კოლხეთის ზღვისპირა, შიდა და მთიან რეგიონებში იმპორტული პროდუქციის გარკვეული ნაწილი.

აღნიშნული პუნქტების რომაული სამოსახლოების სტატუსისა და ფუნქციაზე მსჯელობა გარკვეულწილად, ჰიპოთეზურია. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და ფასისის რომაული დასახლებები შეზღუდული, არასტანდარტული ხასიათისა იყო. ისინი რიგით, მილიტარისტული ბუნების ციხე-ქალაქებად რჩებოდნენ. რომაული გარნიზონებისა და შესაბამისად, ვეტერანების სიმცირითვე იყო განპირობებული იბერია-კოლხეთში რომაული კულტურის გავლენის საკმაოდ დაბალი დონეც.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ქალაქური ტიპის დასახლებების წარმოქმნისა და მათი განვითარების პროცესი თავისებური, განსხვავებული გზით წარიმართა. აქ, რომაული, კლასიკური ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. სებასტოპოლისისა და აფსაროსში რომაული სამხედრო შენაერთების სამოსახლოების ფუნქციას ადგილობრივი საქალაქო ცენტრები თუ რიგითი დასახლებები ასრულებდნენ. პიტიუნტისა და ფასისის კასტელებთან კი არსებობდა ვიკუსის კატეგორიის არასტანდარტული, მცირე სავაჭრო-სახელოსნოს ტიპის რომაული დასახლებები, რომელთა "მოქმედების არე" ძირითადად სანაპირო ზოლით შემოიფარგლებოდა.

გუთების თავდასხმების შედეგად, ახ.წ. III ს-ის შუა ხანებში პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ნაწილმა (აფსაროსი-გონიო, ფასისი-ფოთი, სებასტოპოლისი-სოხუმი, პიტიუნტი-ბიჭვინტა და სხვ.) დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება. ახ.წ. III ს-ის 70-იანი წლებიდან რომის იმპერიაში სტაბილური მდგომარეობის დამყარების შემდგომ, პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემა გამოცოცხლდა.

ზოსიმეს ცნობებიდან ირკვევა, რომ გუთებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ორჯერ დაულაშქრავთ. პირველი თავდასხმა, რომელიც ახ.წ. 256 წ. მომხდარა, გუთების დამარცხებით

დამთავრებულა. მეორე ლაშქრობა კი ახ.წ. 257 წელს მოეწყო და პირველთან შედარებით უფრო მასშტაბური ხასიათისა ყოფილა. გუთების თავდასხმები ამ დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არაერთ დასახლებულ პუნქტს შეეხო. ზოსიმეს თანახმად, გუთებს თავდაპირველად ალყა ფასისისათვის შემოურტყამთ, მაგრამ უშედეგოდ. ფასისის დამცველებმა მომხდურნი უკუაქციეს, რაც, ერთი შეხედვით, გაოცებას იწვევს, ვინაიდან გუთებმა თითქმის დაუბრკოლებლად აიღეს ისეთი ძლიერი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მეომრებით დაცული ქალაქები როგორც იყო ტრაპეზუნტი, გორგოპია, ფილიპოპოლისი, აბრიტუსი, ნოვეში, პიტიუნტი. ეს მაშინ, როცა ფასისს მხოლოდ მცირერიცხოვანი გარნიზონი იცავდა.

ფასისიდან უკუქცევის შემდეგ, როგორც ზოსიმე გადმოგვცემს, გუთებს პიტიუნტისაკენ გაულაშქრიათ და ის იოლად აუღიათ. აქ დატრიალებული ეს კატასტროფა არქეოლოგიურადაც კარგად დასტურდება. ნაქალაქარის თითქმის ყველა უბანზე ძლიერი ნგრევისა და ხანძრის კვალი ჩანს (ფუთურიძე, 1975, გვ. 142-143). ციხე-ქალაქის დასავლეთ კარიბჭის მისადგომებთან გამოვლინდა ბრძოლაში დაღუპული ადამიანთა უწესრიგოდ ჩაყრილი ჩონჩხების გროვა. პიტიუნტზე გუთების თავდასხმის სურათი კარგად აისახა, აგრეთვე, ნუმიზმატიკურ მასალაშიც (დუნდუა, 1975, გვ. 352). ბიჭვინტის ბედი, როგორც ჩანს სებასტოპოლისსაც გაუზიარებია, რასაც მოწმობს სებასტოპოლისის ციხის კედლის გარეთ დადასტურებული ძლიერი ხანძრის კვალი (Воронов, 1980, გვ. 83).

ახ.წ. 270 წლიდან რომის იმპერიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რომაელებმა ნაისასთან ბრძოლაში დაამარცხეს გუთები და დუნაისპირეთიდან გარეკეს, ბალკანეთ-დუნაისპირეთის პროვინციებში მშვიდობა დამყარდა. ბოსფორის მეფე სავრომატ IV კვლავ "კეისრისა და რომაელთა მეგობრის" ტიტულს ატარებდა. ირანში ახ.წ. 272 წელს შაბურის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ნერსემ, რომელიც იძულებული გახდა რომაელებთან ზავი დაედო. ამ დროისათვის რომაელებმა თითქმის მთლიანად აღადგინეს აღმოსავლეთის საზღვარი. სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო პონტო-კავკასიის საზღვრის აღდგენა - განმტკიცება. მაგალითად, ახ.წ. III ს-ის შუა

ხანებიდან, რომაელებმა ტრაპეზუნტში I პონტური ლეგიონი ჩააყენეს. ამავე პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო სებასტოპოლისის კასტელუმის გადაკეთება-გაფართოება. გვიანდელი ციხესიმაგრის ფართობი 2 ჰექტარი იყო და უკვე ერთ კოპორტას იტევდა.

რომის ხელისუფალნი გუთების შემოსევების შემდეგაც დანტერესებას იჩინდნენ პიტიუნტის გამაგრება-გაძლიერების მიმართულებით. ახ.წ. IV ს-ის დასაწყისში, რომაელებს ბიჭვინტა-პიტიუნტის საქალაქო დასახლებისათვის სასიმაგრო ნაგებობანი შემოუვლიათ. რაც შეეხება თავად კასტელუმს, როგორც ეს XXII თხრილში აღმოჩენილი თავდაცვის მეორე რიგის კედელი მოწმობს, ტერიტორია სამოქალაქო დასახლების ხარჯზე ჩანს გაფართოებული, რაც, ალბათ გარნიზონის მებრძოლთა რაოდენობის გაზრდაზე მიუთითებს. ამ დროისათვის ციხესიმაგრეს შეეძლო დაახლოებით 700-800 ჯარისკაცი დაეტია. ახ.წ. III ს-ის ბოლოს ან IV ს-ის დასაწყისში უნდა აღდგენილიყო აფსაროსის (გონიო) კასტელუმიც, რომელიც დღემდეა შემორჩენილი. ამ პერიოდის აფსაროსის კასტელუმი სწორკუთხაა და 22 კოშკითაა გამაგრებული. კედლები (სისქე 2,30-2,40 მ) მცირე ზომის ქვათლილებსაგან არის ნაგები.

აფსაროსის კასტელუმი პიტიუნტის II-III სს.-ის ციხესიმაგრესთან, ასევე სატალისა (Mitford, 1974, გვ. 223) და აბრიტუსის (ИВАНОВ, 1965, სურ. 6) III და IV სს.-ის კასტელუმებთან გარკვეულ მსგავსებას პოულობს. მაგრამ მათ შორის კოშკების მოყვანილობასა და რაოდენობაშიც ჩანს სხვაობა. აფსაროსის სამხრეთ-დასავლეთი კუთხისა და სამხრეთი კედლის კოშკების მოყვანილობა გეგმაში ნალისებური კონფიგურაციისა. ანალოგიური ფორმის კოშკებით ყოფილა აღჭურვილი ზაიცელმაუერის (Pascher, 1949, გვ. 184), ტულნის (Ubl, 1982, გვ. 75-76, სურ. 3), ჰაგნიკორენის (Harper, 1971, გვ. 10-12) გვიანრომაული ხანის კასტელუმები. აფსაროსის კასტელუმი კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული ყოფილა. არქეოლოგიური გათხრებისას, ციხესიმაგრის ტერიტორიაზე გამოვლენილია ყაზარმები, აბანო, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, კოლექტორისა და წყალსადენის რთული სისტემა და სხვ. პეტრა-ციხისძირიც, როგორც ეს უახლესი არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, ამავე პერიოდში უნდა აღდგენილიყო

(ინაიშვილი, 1993, გვ. 114). ამ დროს ციხისძირი რომაელებს ეჭირათ.

რომაული ხანის საფორტიფიკაციო სისტემა ციხისძირში ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. დღემდე შემორჩენილი ციხესიმაგრის ნაშთები კი ადრებიზანტიური პერიოდისაა. ადრებიზანტიურ ეპოქას მიაკუთვნებენ მკვლევარები ჩრდილოეთ ბორცვზე განლაგებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს, რომლებიც ორმაგი კედლებით იყო სამხრეთ-დასავლეთ ბორცვზე არსებულ წრიულ კოშკთან დაკავშირებული. ორმაგი კედლიდან დასავლეთით მდებარე გალავანი შედარებით მაღალია და ძირითად კედელს წარმოადგენს. ძირითადი კედლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა კარიბჭე, რომელსაც დასავლეთის მხრიდან სწორკუთხა კოშკი იცავდა (ინაიშვილი, 1993, გვ. 9). ალბათ, გვიანდელი თავდაცვითი ნაგებობის ზომები უნდა ემთხვეოდეს რომაული ხანის საფორტიფიკაციო სისტემას. ციხისძირის აბანოები IV ს-ით თარიღდება და ზოგადად კასტელუმის ტიპის აბანოებს განეკუთვნება.

სოხუმის გვიანდელი II ციხესიმაგრე, პირველთან შედარებით უფრო დიდი ზომისაა, მისი ფართობი 2,5 ჰა-ია, რითაც ის პიტიუნტის კასტელუმის სიდიდეს უახლოვდება. ასეთი ფართობის ციხე თავისუფლად დაიტევდა ერთ კოჰორტას (დაახლოებით 500 ჯარისკაცს) და ის საკოჰორტო ანუ საშუალო ციხესიმაგრის კატეგორიას განეკუთვნება. მეორე ციხის კედლები სრულად არაა შემორჩენილი. ნაწილობრივ შემორჩენილია ციხის დასავლეთი, ხოლო მთლიანად აღმოსავლეთის კედელი. ამ უკანასკნელის სიგრძე – 140 მ-ია. მეორე ციხესიმაგრე, პირველის მსგავსად გეგმაში კვადრატული ფორმისაა. გალავნის სისქე 2 მ-მდე აღწევს, რაც სიგანით ჩამოუყარდება ძველი დროის გამოჩენილი პოლიოკრეტიკოსის – ფილონ ბიზანტიელის მიერ რეკომენდირებულ გალავნის მაქსიმალურ ზომას – დაახლოებით 4,20 მ (Phil, 3, 1-2).

ანტიკური ფორტიფიკაციის ტრადიციული წესების თანახმად, გალავნის სიგანეს უნდა შეედგინა არანაკლებ 1/2 სიმაღლისა (Phil, 3, 1-2). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის გალავნის სიმაღლე 9 მეტრი უნდა ყოფილიყო, რაც ფილონის რეკომენდაციით ოპტიმალური იყო იმისათვის, რათა მოწინააღმდეგე მისადგმელი

ციხეებით, გალაკანზე ვერ გადასულიყო (Phil, 3, 1-2). სამწუხაროდ, სებასტოპოლისის გალაკანის დაბოლოების ხასიათი უცნობია. ანტიკური საფორტიფიკაციო პრაქტიკის თანახმად, გალაკანზე უნდა მოწყობილიყო ქონგურები. თუმცა გალაკანი ქონგურებით ყოველთვის როდი ბოლოვდებოდა (Phil, 3, 1).

სოხუმ-სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის კედლების წყობა ნაგებია "opus mixtum"-ის წესით – გრანიტის ქვებითა და აგურის სარტყლებით კირხსნარზე. აფსაროსის, პიტიუნტისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის თანადროული ციხესიმაგრეებისაგან განსხვავებით, სებასტოპოლისის კედლის წყობაში გამოყენებულია ხის ძელები. ძელები ერთმანეთისაგან 2,4-2,5 მ-თაა დაშორებული. ამგვარი წესი დადასტურებულია სოხუმის შუა საუკუნეების ციხის წყობაშიც. გალაკანისა და № 2 კოშკის კედლებში, აგურის ფენებია დატანილი. ფენებს შორის მანძილი 1,5-1,7 მ, აგურის ფენების სისქე 0,20-0,23 სმ. მეორე ციხესიმაგრის აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილია ორი კოშკი, რომლებიც ერთმანეთისაგან 100 მ-თაა დაშორებული. ორივე კოშკი, ისევე როგორც პირველი კასტელუმის კოშკები, კვადრატული ფორმისაა.

მეორე ციხის კოშკების ფორმის ანალოგიურია, სოხუმის ყურედან 2 კმ-ზე ჩრდილოეთით, ცალკე მდგომი სადარაჯო კოშკი, რომელიც ალბათ, სებასტოპოლისის ერთიან თავდაცვით სისტემაში შედიოდა და ციხე-ქალაქის მისაღვომებს იცავდა. კოშკის საერთო ფართობი – 6,30 x 6,45 მ; კედლის სიგანე – 1 მ. კოშკი რიყის ქვებითა და კირხსნარითაა ნაგები. სადარაჯო კოშკი, როგორც იქ აღმოჩენილი მასალები მოწმობენ, III-V სს. ფუნქციონირებდა.

ანალოგებითა და კოშკის კედლის სისქის მიხედვით, სებასტოპოლისის ცალკე მდგომი კოშკი, ორი ან სამსართულიანი უნდა ყოფილიყო და მისი სიმაღლე, ალბათ, დაახლოებით 12 მ-ს აღწევდა. წყობის ტექნიკითა და ზომებით, ის ჩამოგავს მგვარასთან (Tillyard, 1905, გვ. 103) და სუნიონის (ატიკა) კონცხზე (Young, 1956, გვ. 130) მიკვლეულ კოშკებს. სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის დაგეგმარება, რომელიც ახ.წ. III-IV სს. საფორტიფიკაციო ნაგებობებისათვისაა დამახასიათებელი, ანალოგებს პიტიუნტის, ხარაკისა (Орлов, 1980,

გვ. 24) და სატალის (Mitford, 1974, გვ. 223) კასტელუმებთან პოულობს.

გუთების შემოსევების შემდეგ, ახ.წ. III ს-ის ბოლოს თუ IV ს-ის დასაწყისში აღდგა აფსაროს-სებასტოპოლის-პიტიუნტის ციხესიმაგრეთა ხაზი. მათი ფუნქციონირება ახ.წ. IV ს-ის მანძილზე გრძელდებოდა, რასაც არაერთი მონაცემი მოწმობს. არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალების თანახმად, პიტიუნტი ახ.წ. III ს-ის ბოლოდან, ვიდრე IV ს-ის 80-იან წლებამდე აღმავლობის გზაზე დგას. ის საერთაშორისო ურთიერთობებშია ჩართული. სწორედ ახ.წ. IV ს-ზე მოდის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მონეტათა უმრავლესობა. ეს პიტიუნტის ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. ამ პერიოდშია ნაგები ციტადელის ტერიტორიაზე განლაგებული მონუმენტური შენობები (პრინციპია, ლაზარეთი, ყაზარმები და სხვ.), რაც გვაფიქრებინებს, რომ პიტიუნტ-ბიჭვინტაში ამჟერად თავმოყრილი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში განლაგებული რომაელთა სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ახ.წ. IV ს-ში აღმავლობის გზაზე იდგა აფსაროს-გონიო, რომელიც კვლავინდებურად მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ როლს თამაშობდა პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემაში. ის ამგვარ ფუნქციას ახ.წ. IV ს-ის ბოლომდე ასრულებდა, რასაც მოწმობს კასტორიუსის ახ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში შედგენილი რუკა, სადაც აფსაროსი შეწყვეილებული კოშკებით არის დატანილი, მაშინ როცა, ფასისი ამ რუკაზე საერთოდ არ არის აღნიშნული (Itenenaria Romana, 1915, გვ. 26-29). ჩანს, ახ.წ. IV ს-ის ბოლოსათვის ფასისში რომაული გარნიზონი უკვე აღარ დგას. ასევე შეწყვეილებული კოშკებით არის დატანილი კასტორიუსის რუკაზე სებასტოპოლისიც, რომელიც არქეოლოგიური მონაცემებით, ახ.წ. IV-V სს-შიც ფუნქციონირებდა, როგორც რომაული სამხედრო პუნქტი. მართალია, სებასტოპოლისში რომაული სამხედრო ნაწილების ტვიფრიანი დამლები ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. ამ უკანასკნელ ხანებში სამაგიეროდ სოხუმის ციხის ტერიტორიაზე საინტერესო სამარხის ბერძნულწარწერიანი სტელა აღმოჩნდა. ის აქ დისლოცირებული IV-V სს-ის რომაული სამხედრო ნაწილების სტატუსზე მიგვანიშნებს. სტელის ზედაპირზე ამოჭრილია

ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერის თარგმანია - " ქრისტე მრავლის შემძლე. აქ განისვენებს ორესტე, მამაცი ჯარისკაცი, ლეგიონერი, გთხოვთ მოხვიდეთ." ეპიტაფია პალეოგრაფიული მონაცემებით IV-V სს-საა (ყაუხჩიშვილი, 2004, გვ. 374).

წარწერაში მოხსენიებული ლეგიონერი ორესტე, ონომასტიკის მიხედვით, ბერძენი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე შესაძლებელია, რომ სებასტოპოლისის რომაული გარნიზონის გარკვეული ნაწილი ბერძნულენოვანი მეომრებით ყოფილიყო დაკომპლექტებული. სებასტოპოლისისა და საერთოდ, საქართველოს შავიზღვისპირეთის რომაული სამხედრო შენაერთების კონტინგენტი უმთავრესად ბერძნული წარმომავლობის მეომრებისაგან, რომ შედგებოდა, ამას მოწმობს, ასევე სებასტოპოლისისა და პიტიუნტის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერები თუ გრაფიტოები. ეს გასაგებიცაა, რადგან რომაელები, ჯერ კიდევ ახ.წ. II ს-დან, არმიაში ბერძნულენოვან მეომრებს იწვევდნენ. შესაბამისად, სწორედ მათ აგზავნიდნენ იმ ქვეყნებში, სადაც ელინურ კულტურას კარგად იცნობდნენ.

ორესტეს სტელაზე ლეგიონერის სამხედრო ქვედანაყოფის სახელწოდებაზე არ არის რაიმე მინიშნება, რაც დამახასიათებელი იყო ლეგიონერთა ეპიტაფიისათვის. შესაძლოა, ორესტე XV ლეგიონის ჯარისკაცი ყოფილიყო, რომლის შტაბბინა II-V სს. სატალაში მდებარეობდა და რომელთა სამხედრო შენაერთი პიტიუნტში იყო დისლოცირებული (Кигурадзе, Лордкипанидзе, Тодуа, 1977, გვ. 89-90). იქნებ იგი "Notitia Dignitatum"-ში მოხსენიებული სებასტოპოლისში განლაგებული კლავდიუსის სახელობის II კოპორტის ლეგიონერია (გეორგიკა, 1961, გვ. 175). ხსენებული კოპორტა, როგორც აღინიშნა ახ.წ. I-III სს. აფსაროსში იდგა. არ არის გამორიცხული, რომ ეს კოპორტა მოგვიანებით, IV ს. აფსაროსიდან სებასტოპოლისში გადმოესროლათ. ორესტეს სტელის წარწერა დოკუმენტურად ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ IV-V სს-ში სებასტოპოლისი, ისევე როგორც პიტიუნტი მოქმედი ციხესიმაგრეებია, სადაც კვლავ რომაული გარნიზონი დგას (თოდუა, 2003, გვ. 36-37). მეტიც, როგორც წარწერიდან ირკვევა, სებასტოპოლისის გარნიზონი ლეგიონური ყოფილა. ლეგიონური გარნიზონები კი

მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ ცენტრებში იყვნენ დისლოცირებული.

რაც შეეხება პიტიუნტს, აქაც ახ.წ. IV ს-ის ბოლოს და V ს-ში რომაული გარნიზონი იდგა. აღნიშნულ დროს პიტიუნტში რომაული გარნიზონის არსებობის სასარგებლოდ, აგრეთვე მეტყველებს ბიზანტიელი ავტორის – თეოდორიტე კვირელის (394-457 წწ.) ცნობა იოანე ოქროპირის პიტიუნტში გადასახლებასთან დაკავშირებით: "პიტიუნტი არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი ..." (Theod., V, 34).

რომაული ნაწარმი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში
(მცირე ინფორმაცია)

ზღვისპირა კოლხეთში რომის გარნიზონების დისლოკაციის შედეგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ჩაერთო რომაული სამყაროს სისტემაში. უწინარეს ყოვლისა, ეს პროცესი იბერია-კოლხეთში იმპორტული ნაწარმის გავრცელებაში აისახა.

რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან საქართველოს შავიზღვისპირეთში შემოტანილი უცხოური პროდუქცია სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი ახ.წ. I-II სს. თარიღდება. აქ ერთიანდება:

მშვილდსაკინძები, ე.წ. "ავციხები"; ბრინჯაოსი; იტალიკური წარმომავლობის. აღმოჩენილია სოფ. ლიას № 4 სამარხში (წითლანაძე, 1973, გვ. 67); აბგიძრაყუს № 35 სამარხში (Трапав, 1971, გვ. 188). ახ.წ. I ს-ით თარიღდება (Feugere, 1985, გვ. 319-321).

ჯამები წითელლაკიანი; სწორპირიანი; თხელკედლიანი; ე.წ. პერგამონული. აღმოჩენილია ბიჭვინტის ნაქალაქარზე; ვანში (მათიაშვილი, 1977, გვ. 50). ახ.წ. I ს-ის დასაწყისით თარიღდება.

ჯამის ფრაგმენტი წითელლაკიანი სანდლიანი ფეხის გამოსახულებით. მცირე აზიური. აღმოჩენილია გონიო-აფსაროსში. ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (გბელიშვილი, ... 1964, გვ. 67).

თასები წითელლაკიანი; ვიწრო ყელიანი; ე.წ. პერგამონული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, 1963, გვ. 109); სოხუმში (ფუთურიძე, 1965, გვ. 33).

ამფორები ქიმიკურშვერილიანი ყურებითა და მალალი ცილინდრული ქუსლით; ღია მოყავისფრო-მოვარდისფრო კეცი. იტალიკური წარმომავლობის. აღმოჩენილია აფსაროსში (ხალვაში, 2002, გვ. 24); სოხუმში (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 120-121), ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ..., 1975, გვ. 254).

ამფორები ორმაგყურიანი; სტაფილოსებური კორპუსით; კოსური. დადასტურებულია გონიოში (ხალვაში, 2002, გვ. 21-23); სოხუმში (Трапав, 1971, გვ. 323-324); ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 82).

ამფორები ძაბრისებურპირიანი; ღია ვარდისფერი კეცი; ზედაპირი თეთრი ფერის საღებავითაა დაფარული; როდოსული. აღმოჩენილია აფსაროსში (ხალვაში, 2002, გვ. 26-27); ბიჭვინტაში, სოხუმში (ბერძენიშვილი, ..., 1975, გვ. 259-261).

ჭრაქი თიხისა, საპატრუქე ფარაკზე გამოსახულია მაღალფეხიანი ცალყურა ჭურჭელი და - პილუმი; იტალიკური. აღმოჩენილია გონიოში (ლორთქიფანიძე, ..., 2002, გვ. 170); ეროტიკული სიუჟეტით შემკული, ანალოგიური ფორმის ჭრაქი; იტალიკური. აღმოჩენილია გონიოში (Braund, 1994, გვ. 184).

ჭრაქი თიხისა, მეომრის რელიეფური გამოსახულებით; იტალიკური. აღმოჩენილია აფსაროსში (გძელიშვილი, ..., 1964, გვ. 67).

სასმისი მინისა; მომწვანო ფერის, ბერძნულწარწერიანი - "KHN"; სირიული. აღმოჩენილია გონიოში (შალიკაძე, 2003, გვ. 80-81, სურ. 1).

სანელსაცხებლე მინისა; ტანი კონუსური; ყელი ცილინდრული; მოცისფრო-მომწვანო მინა. ჩრდილო იტალიკური. აღმოჩენილია კლდეტში (ლომთათიძე, 1957, გვ. 23, სურ. 51).

სურები ბრინჯაოსი, მუცელგამობერილი, ვიწრო და მაღალი ყელი, პირმრგვალი, ფართო და გადაშლილი, პირის კიდე შესქელებულია. შემკულია გვირგვინით, რომელიც წარმოადგენს სამი წყებისაგან შემდგარ სალტეს; სურების ყური ბოლოვდება გორგონა მედუზას თავის გამოსახულებით. სამხრეთ იტალიკური წარმომავლობის. აღმოჩენილია ნიჩბისში. ახ.წ. II-ის პირველი ნახევრით თარიღდება (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 78-80).

სურები ბრინჯაოსი (სამი ეგზ.), კვერცხისებური კორპუსით, მაღალი, ვიწრო ყელითა და ნისკარტისებური ტუჩით. ტანზე მირჩილულია მრგვალი ქუსლი, რომელიც გარედან დაფარულია კონცენტრირებული რელიეფური წრეებით. ერთი მათგანის ყურის ზედა ნაწილი შემკულია გედის თავის, ხოლო მეორე ხარის თავის გამოსახულებებით (ბორის სურა), მესამე კი ლომის პროტომით (მცხეთის სურა). სამხრეთ-იტალიკური წარმოების. აღმოჩენილია ბორში (Придик, 1914, გვ. 102-103); მცხეთაში (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 86).

ჯამი ბრინჯაოსი, ოდნავ პირგადაშლილი, მუცელგამობერილი. ძირი გარედან დაფარულია რელიეფური კონცენტრული წრეებით. ჯამს მირჩილული აქვს ბრტყელი ყური, რომელიც

გედის თავებითაა შემკული (Придик, 1914, გვ. 103, № 10);
სამხრეთ-იტალიკური ნაწარმი დაფიქსირებულია ბორში. ახ.წ. I
ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (ლორთქიფანიძე, 1968, გვ.
99).

სამელნე ბრინჯაოსი, ცილინდრული ფორმის, სახურავიანი.
ახლავს დამლა - "Exo(fficini) Calpurnia". კალპურნიას
სახელოსნოს ნაწარმი. აღმოჩენილია მცხეთაში. ახ.წ. I ს-ის
პირველი ნახევრით თარიღდება (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 99).

ბატილუმები (აქანდაზი) ბრინჯაოსი, მასიური, ოთხკუთხა,
გვერდები ვერტიკალურად აკეცილი, მრგვალგანიკვეთიანი
ტარით, რომელიც ბრტყელი ქუდით ბოლოვდება. სირიული
ნაწარმი. აღმოჩენილია არადეთში (გაგოშიძე, 1973, გვ. 77-79,
სურ. 1-2); დედოფლისგორაზე (რკინისა) დგ. 27-977,6594.

თასი მინისა, მომწვანო ფერის, თეთრი ძაფებით შემკული
ე.წ. "Zarfen Rippenschalen"-ის ტიპის. სირიული ნაწარმი.
აღმოჩენილია ურბნისში. ახ.წ. I ს-ით თარიღდება (საგინაშვილი,
1970, გვ. 16-17).

სანელსაცხებლები მინისა, მოლურჯო ფერის, კოლბისებუ-
რი, მაღალყელიანი, კონუსისებურმუცლიანი. სირიის პროდუქცია.
დადასტურებულია მცხეთაში, ურბნისში (მცხეთა, I, ტაბ. XXII).
დათარიღებულია ახ.წ. I-II სს-ით (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 75).

გემიანი ბეჭდები ოქროსი და ვერცხლისა ტიხე-ფორტუნას,
ათენა-მინერვას, ნიკე-ვიქტორიას, მარსი-არესის, პელიოსის,
ფორტუნა-ისიდას, პლუტონის, ასკლეპიოსის გამოსახულებით.
რომაულ-იტალიკური ნაწარმი. აღმოჩენილია მცხეთაში, ბორში,
ბოლნისში, წილკანში, საძეგურში, თბილისში. ახ.წ. I-II სს-ისა
(ლორთქიფანიძე მ., 1954-56, გვ. 8-28; 23-24).

მეორე ჯგუფი ახ.წ. II-III სს. თარიღდება. ამ ჯგუფში
ერთიანდება შემდეგი ნაწარმი:

ჯაშები წითელლაკიანი; ღრმა; პატარა მრგვალი ქუსლით
და მომრგვალებული კალთებით; ე.წ. პერგამონული. აღმოჩენილია
ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 238-239), სოხუმში
(ფუთურიძე, 1965, გვ. 101, სურ. 9).

ჯაშები წითელლაკიანი; ფართო, მაღალი გოფირებული
კალთებითა და ჰორიზონტალურად მიძერწილი დაღარული ყუ-
რით; მცირე აზიური. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე,

1962, გვ. 240-241, სურ. 8-9), სოხუმში (ფუთურიძე, 1965, გვ. 104, სურ. 13, 14).

ჯამები წითელლაკიანი; მრგვალი ფორმის ვერტიკალურ-კიდეებიანი და პირისაკენ მკვეთრად დაქანებულკალთიანი; მცირე აზიური. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 241, სურ. 7).

ჭრაქები თიხისა, ჩიბუხის მსგავსი საპატრუქე მილით; ზემოთკენ აზიდული ყური და ბრტყელი, ვარდულით შემკული ძირით; ე.წ. პერგამონული. აღმოჩენილია სოხუმში (Трапая, 1962, გვ. 348), ბიჭვინტაში (კილურაძე, 1977, გვ. 216).

ჭრაქები თიხისა, ბრტყელი, დაბალი კორპუსი, სწორი ძირი, საპატრუქე მილი ოდნავ გამოყოფილი. სამოსური. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (კილურაძე, 1977, გვ. 217, სურ. 477), სოხუმში (Трапая, 1962, გვ. 348).

ამფორები, მცირე ზომის, ვიწროყელიანი, მოკლე კორპუსით, შედრეკილი და ამობურცული პატარა ქუსლით; თიხა იასამნისფერი. სინოპური წარმოების. აღმოჩენილია სოხუმში (აფაქიძე, ..., 1965, გვ. 119), ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ..., 1975, გვ. 257-258), აფსაროსში (ხალვაში, 2002, გვ. 37).

ამფორები, დიდი ზომის; ლილვაკიანი პირითა და ცილინდრული ყელით, კვერცხისებური კორპუსით და კონუსური ძირით; სინოპური. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ..., 1975, გვ. 261, 263), სოხუმში (აფაქიძე, ..., 1965, გვ. 119), გონიოში (ხალვაში, 2002, გვ. 38-39), ფოთში (გამყრელიძე, 1987, გვ. 98-117).

ამფორები ძაბრისებრიპირიანი; ყელი ცილინდრული მოყვანილობის, დაბალი პირი; როდოსული წარმოების; აღმოჩენილია გონიოში (ხალვაში, 2002, გვ. 27-28, ტაბ. VIII, 2), ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ..., 1975, გვ. 268, სურ. 58).

ამფორები, ვიწროყელიანი, პროფილირებული ყურებით; სამხრეთ პონტოს ნაწარმი. აღმოჩენილია აფსაროსში (ხალვაში, 2002, გვ. 29-30), ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ..., 1975, გვ. 256-257).

ამფორები, პირს ზემოაზიდულყურიანი; პატარა ზომის ტანით და კანელურებით შემკული ყურებით; აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი; აღმოჩენილია გონიოში (ხალვაში, 2002, გვ.

35-36, სურ. 29), სოხუმში (Трапш, 1969, გვ. 325, ტაბ. LXIV), ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ..., 1975, სურ. 48, 49).

ლუთერიები, მომრგვალებულ ზედაპირიანი, პორიზონტალ-ლურად გადაშლილი პირით; კეცი იასამნისფერი; სინოპური; აღმოჩენილია გონიოში (ებრალიძე, 2002, გვ. 91, სურ. 2), სოხუმში (Трапш, 1969, გვ. 308, ტაბ. XLVIII), ბიჭვინტაში (რამიშვილი, 1963, გვ. 81), ფოთში (გამყრელიძე, 1987, გვ. 98-117).

ლუთერიები სამკუთხაგანიკვეთიანი, გარეთკენ გადაშლილი პირით; კეცი მოწითალო-მოყავისფრო; პერაკლეა; აღმოჩენილია გონიოში (ებრალიძე, 2002, გვ. 91, სურ. 3_{1,2}).

მშვილდსაკინძები ბრინჯაოსი; ერთწილადი, ბუდეაბმული; ჩრდილო შავიზღვისპირული; აღმოჩენილია ბიჭვინტაში (თოდუა, 2003, გვ. 65), წებელდაში (Воронов, 1979, გვ. 44), ურბნისში (აფხაზავა, 1979, გვ. 9).

მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი; მინაქრიანი, ბრტყელი; დისკოსებური; დასავლურ ევროპული. აღმოჩენილია კლდეეთში (ლომთათიძე, 1957, გვ. 107-108, ტაბ. III₁).

მშვილდსაკინძი ვერცხლისა, დელფინის რელიეფური გამოსახულებით; დასავლური ტიპისა. აღმოჩენილია ბიჭვინტის № 414 სამარხში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 138).

მშვილდსაკინძი - "სვასტიკა"; ბრინჯაოსი; დასავლური ტიპისა. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 136).

საკიდი-მედალიონი ოქროსი; მრგვალ ბუდეში ჩასმული მონეტა - კესარიული დიდრაქმა; ახ.წ. II ს-ის დასასრულის, მონეტას გარს შემოუყვება სადა ჩარჩო, რომელზედაც დარჩილულია წრიული ბრტყელი საკიდი ყუნწი; მცირე აზიური. აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სამარხი № 03-5 (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 139).

საყურე ოქროსი, ვარდულიანი, მისი ღერო ლათინური ასო S მსგავსად არის მოხრილი; რომაულ პროვინციული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სამარხი № 03-5 (თოდუა, 2003, გვ. 85-86).

საყურე ოქროსი, მრგვალგანიკვეთიანი, ოვალურად მორკალული, გახსნილი; ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია, ბუდეში ჩასმული კონუსური ფორმის გრანატის ქვა; წინა

ფირფიტა შემკულია "პალმეტის" გამოსახულებით. რომის აღმოსავლეთ პროვინციიდან. აღმოჩენილია ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ. 21-22).

ლანგარი ოქროსი, რელიეფური მედალიონით შემკული. ლანგარს ფართო, გამობერილი კალთა აქვს, ლილვაკისებური პირი და დაბალი ქუსლი; ცენტრალურ ნაწილში ტიხუ ფორტუნას გამოსახულებაა; გალიის ნაწარმი. აღმოჩენილია ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ. 33-34).

პატერები ბრინჯაოსი; იტალიკური. აღმოჩენილია კლდეებში (ლომთათიძე, 1957, გვ. 125-126), ბორში, მცხეთაში (Лордкипаниძე, 1964, გვ. 213-217), ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ. 37-38).

ენოხოა ბრინჯაოსი; ტანი მომრგვალებული, ყელი ფართო; იტალიკური. აღმოჩენილია კლდეებში (ლომთათიძე, 1957, გვ. 119-137), ბორში (Придик, 1914, ტაბ. V), მცხეთაში (აფაქიძე, ..., 1996, გვ. 9-10, ტაბ. XI, XLII₁).

თეფში ბრინჯაოსი; დაბალქუსლიანი; კალთები სწორხაზოვანი, კანელურებით შემკული; იტალიკური. აღმოჩენილია ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ. 38-39).

სარკე ვერცხლისა; ჩამოსხმული; დისკოს ზედაპირი დეკორირებულია ხუთი რკალისაგან შედგენილი ოთხი სარტყლით; რომაულ პროვინციული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სამარხი № 03-5 (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 139, ტაბ. LVIII₈). ახ.წ. II ს-ით თარიღდება.

სარკე ვერცხლისა; შედგება ორი ნაწილისაგან: ზედა ნაწილზე გამოსახულია დიონისე, ამური და არიადნე; მარცხნივ კი ახალგაზრდა მამაკაცია გამოსახული; რომაულ პროვინციული; ახ.წ. III ს-ით თარიღდება. აღმოჩენილია მცხეთაში № 905 აკლდამა-სამარხში (აფაქიძე, ..., 1996, გვ. 11-12, ტაბ. XV-XVII).

პინაკი ვერცხლისა; ომფალოსიანი; რომაულ პროვინციული. აღმოჩენილია ბორში, მცხეთაში (აფაქიძე, ..., 1996, გვ. 16-17).

გემიანი ბეჭდები ვერცხლის; ხელის ჩამორთმევის გამოსახულებით; რომაულ პროვინციული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (მშვილდაძე, 2005, გვ. 74); ურბნისში (ჭილაშვილი, 1964, გვ. 50).

გემიანი ბეჭედი ოქროსი; სამი გრაციის გამოსახულებით; რომელ პროვინციული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 73). III ს-ით თარიღდება.

გემიანი ბეჭდები კიბორჩხალას გამოსახულებით; რომელ პროვინციული ნაწარმი. აღმოჩენილია ბიჭვინტაში; ურბნისში (ჭილაშვილი, 1964, გვ. 84, სურ. 3612). III ს-ით თარიღდება.

გემიანი ბეჭედი ვერცხლისა ლომის გამოსახულებით; დასავლური ტიპისა; აღმოჩენილია ბიჭვინტაში; წებელდაში (Воронов..., 1982, გვ. 25). ახ.წ. III ს-ით თარიღდება.

გემიანი ბალთა ვერცხლისა; გამოსახულია სამსხვერპლოზე მდგარი არწივი და ღვთაება-ნიკე; არწივის მარცხნივ კი აღმართულია დროშა; რომის აღმოსავლური პროვინცია. აღმოჩენილია კლდეეთში (ლომთათიძე, 1957, გვ. 26-27). II ს-ით თარიღდება.

სანელსაცხებლე მინისა; კოლბისებური ფორმის, ხორკლიანი; მცირე აზიური. აღმოჩენილია ბიჭვინტაში, № 03-8 სამარხში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 140, ტაბ. LXXI₃).

ღანგარი ვერცხლისა, ფართო თანაბრად გამობერილკალიანი, ლილეკისებური პირითა და დაბალი ქუსლით. ჩენტრალურ ნაწილში მოთავსებულია მედალიონი ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით. ახ.წ. II-III სს-ით დათარიღებული (Мачабели, 1976, გვ. 39).

თასები ვერცხლისა ანტინოეს გამოსახულებიანი მედალიონით შემკული (მცხეთა I, გვ. 33, ტაბ. XLI), ტიხე-ფორტუნას პორელიეფით (მცხეთა I, გვ. 74, ტაბ. LVIII), წვეროსანი მამაკაცის სკულპტურული ბიუსტით შემკული (მცხეთა I, გვ. 33, ტაბ. VII), რომელი ნაწარმი. აღმოჩენილია მცხეთაში, არმაზისხევის ერისთავთა სამაროვანზე. ახ.წ. II ს-ის დასაწყისი (Мачабели, 1976, გვ. 39) ან II ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით (ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 101).

ფიალები ვერცხლისა, საკურთხეველის წინ მდგომი ცხენის (ახ.წ. II-III სს. არმაზისხევი); ცხენისა და საკურთხეველის (ახ.წ. III ს) (იხ. Немсадзе, 1977, გვ. 108-114); ძაღლისა და ტახის (ახ.წ. III ს., ზღუდერი) (იხ. Немсадзе, 1977, გვ. 110); არწივის (ახ.წ. III ს. არაგვისპირი) (იხ. Рамишвили, 1982, გვ. 28-30) გამოსახულებებით.

ფლაკონები მინის, მომწვანო ფერის, ოთხკუთხა და ბრტყელძირა; კიოლნის ნაწარმი. აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სამარხი № 01/2 (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 194).

სასარკმლე მინა, მომწვანო ფერის, ბრტყელი; რომის აღმოსავლური პროვინცია. აღმოჩენილია ფოთში (გამყრელიძე, 2001, გვ. 98), ბიჭვინტაში, სოხუმში (ჩხატარაშვილი, 1978, გვ. 72-73).

მესამე ჯგუფი ახ.წ. III ბოლო -IV სს-ს მოიცავს. ამ ჯგუფში ერთიანდებიან:

ჯამები წითელლაკიანი; შვეულ კიდიანი და ძირისკენ დაქანებულ კალთებიანი; მცირე აზიური. აღმოჩენილია სოხუმში (ფუთურიძე, 1965, გვ. 105, სურ. 16), ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 245-246). IV ს-ით თარიღდება.

ჯამები წითელლაკიანი, მცირე ზომის კალთამომრგვალებული, დაბალი და მრგვალი ქუსლით; მცირე აზიური. აღმოჩენილია ფოთში (გამყრელიძე, 2001, გვ. 97), ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 247, სურ. 15), სოხუმში (ფუთურიძე, 1965, გვ. 105). IV ს-ით თარიღდება.

ჯამები წითელლაკიანი, პირგადაშლილი, დაბალი და მრგვალი ქუსლით; დასავლურ შავიზღვისპირული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 247-248, სურ. 16), სოხუმში (Трапиз, 1969, ტაბ. XLVI₁₄), ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ. 60). თარიღდება IV ს-ით.

ჯამები წითელლაკიანი, პირფართო, ღრმა, ძირისკენ ოდნავ დაქანებული კალთებით; ხმელთაშუაზღვისპირული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 242-244, სურ. 10), ციხისძირში (ინაიშვილი, 1993, გვ. 60).

ჯამები წითელლაკიანი, კერტიკალურპირიანი, შემკული ცხოველების (დელფინი, თევზი, ტახი, შველი) რელიეფური სახეებით და ჯვრის გამოსახულებებით; ხმელთაშუაზღვისპირული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ლორთქიფანიძე, 1962, გვ. 250-253), სოხუმში (თოდუა, 2003, გვ. 37).

ამფორები ვიწროყელიანი, ღია ფერის, სინოპური. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ფუთურიძე, 1975, გვ. 256-259), სოხუმში, ფოთში (Гамკრелидзе, 1992, გვ. 38), გონიოში (ხალვაში, 2002, გვ. 38-39). IV-V სს-ით თარიღდება.

ამფორები ტანდალარული, ვიწრო ყელიანი, ბრტყელგანი-
კეტიანი ყურები და კონუსური ძირი; კეცი მოწითალო-მოყა-
ვისფრო; სამოსური. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ...,
1975, გვ. 273-275), სოხუმში, გუდავამი (ზამთარაძე, 1979, გვ.
72), ფოთში (Гамкрелиძე, 1992, გვ. 38). თარიღდება IV ს-ით.

ამფორები, ლილვისებური მოყვანილობის პირით, ვიწრო
ცილინდრული ფორმის ყელით; კორპუსი გოფირირებული; კეცი
ნარინჯისფერი. დასაკვლეთ მცირე აზიური. აღმოჩენილია გონიოში
(ხალვაში, 2002, გვ. 46-47, სურ. 38), ციხისძირში (ინაიშვილი,
1993, გვ. 55), ბიჭვინტაში (ბერძენიშვილი, ..., 1975, გვ. 273).
IV ს-ით თარიღდება.

ამფორები, ყელწიბოიანი; კეცი მოწითალო; ხმელთაშუა-
ზღვისპირული. აღმოჩენილია ფოთში, სოხუმში, ბიჭვინტაში
(გამყრელიძე, 1987, გვ. 98-117).

სანელსაცხებლე მინისა; სფერულმუცლიანი, ბრტყელი
ძირითა და ძაბრისებური პირით. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის-
პირული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (თოდუა, 2003, გვ. 70).

სანელსაცხებლები მინისა, წაგრძელებული ფორმის,
მომრგვალებული ძირითა და ცილინდრული ყელით; იტალიკური.
აღმოჩენილია სოხუმში (Трапиз, 1969, გვ. 342, ტაბ. LVI₆),
ბიჭვინტაში (თოდუა, 2003, გვ. 71). IV ს.

სანელსაცხებლები მინისა, მომწვანო ფერის, ოთხკუთხა
ფორმის, ცალყურა. კიოლნი (?). აღმოჩენილია ბიჭვინტაში
(თოდუა, 2003, გვ. 71, ტაბ. VI₅). ახ.წ. III ს-ის 60-იანი - IV ს-
ის 30-იანი წლებით თარიღდება.

ჭურჭელი მინისა; ხალიანი; სირიული. აღმოჩენილია
სოხუმში, ბიჭვინტაში (თოდუა, 2003, გვ. 74), წებელდამი
(Сорокина, 1979, გვ. 60-61).

სასმისი მინისა მეომრის რელიეფური გამოსახულებით;
ხმელთაშუაზღვისპირული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (უგრელიძე,
1987, ტაბ. XIII). IV ს-ით თარიღდება.

სასმისი მინისა, ბადისებრორნამენტისანი. ხმელთაშუაზღვის-
პირული. აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სოხუმში (თოდუა, 2003, გვ.
37). თარიღდება V ს-ით.

მშვილდსაკინძები ვერცხლისა და ბრინჯაოსი; T-ებრი;
დუნაისპირა პროვინციები. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (თოდუა,

2003, გვ. 74), წებელდაში (Воронов..., 1982, გვ. 22). თარიღდება IV ს-ით.

მშვილდსაკინძები ბრინჯაოსი, მთლიანბუდიანები, ნაზარდებით; რომის დასავლეთი პროვინცია. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (თოდუა, 2003, გვ. 74). თარიღდება IV ს-ით.

საყურე ოქროსი, ნახევარწრიული ფორმის, ზედ მირჩილულია ოქროსავე დისკო; რომის დასავლური პროვინცია. აღმოჩენილია ბიჭვინტაში (თოდუა, 2003, გვ. 73). თარიღდება III-IV სს-ით.

საყურე ოქროსი, მრგვალგანივკვეთიანი; ღერო ჩამოკავს ლათინურ ასო "S"-ს; ღეროს ერთი ბოლო დავიწროებულია, მეორე კი გაბრტყელებული, ზედ ვარდულია გამოსახული; რომის დასავლური პროვინცია. აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სამარხი № 03-05. თარიღდება IV ს-ით.

რომაელი ლეგიონერებისა და დამხმარე სამხედრო შენაერთების მეომართა წახალისებისათვის შექმნილი იყო სპეციალური ნიშნებით დაჯილდოების მთელი სისტემა. ორიოდე ასეთი ნიშანი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიცაა დადასტურებული. ერთი ესაა კლდეეთის № 3 სამარხში აღმოჩენილი რკინის მახვილი ვერცხლის გემიანი ბალთით, ზოლო მეორე ბიჭვინტის № 345 სამარხში წარმოდგენილი ვერცხლის სამკლავური ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით.

რკინის მახვილი ორლესულია; სიგრძე 87 სმ, სიგანე 2,6 სმ. ამ ტიპის მახვილის ნაირი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. ანალოგიური ტიპის მახვილები აღმოჩენილია რეინისპირეთის, დუნაისპირეთისა და ბრიტანეთის ლიმესების ბანაკებში (Robinson, 1975, გვ. 161-167). ასე მაგალითად, კლდეეთური მახვილის ანალოგიურია რკინის მახვილები მაინცის და კენტის (Connolly, 1981, სურ. 11, 67) მუზეუმებიდან. ისინი ახ.წ. II და III სს-ით თარიღდება. კლდეეთში აღმოჩენილი მახვილი რომაული ტიპისაა.

რაც შეეხება მახვილთან აღმოჩენილ გემიან ბალთას, მასზე გამოსახულია სამსხვერპლოზე მდგარი არწივი, რომელსაც ნისკარტით წრიული გვირგვინი უჭირავს. არწივის მარჯვნივ გრძელსამოსიანი ღვთაება ნიკე-ვიქტორია დგას. იგი მარცხენა ხელით ეყრდნობა შუბს, ზოლო მარჯვენა ხელში გვირგვინი უჭირავს. არწივის გამოსახულების მარცხნივ აღმართულია

დროშა, რომელიც ანალოგიიდან გამომდინარე "vexillum"-ის ტიპის რომაულ სამხედრო დროშას წარმოადგენს. ანალოგიური ფორმის სამხედრო დროშაა გამოსახული ლუციუს ფაუსტუსის სამარხის სტელაზე მიინციდან (Schoppa, 1963, გვ. 26, სურ. 3) და წმინდა მარსელოს ბარელიეფზე (Webster, 1985, გვ. 137-138, სურ. 10). ამგვარი სიუჟეტიანი გემა რომაული სამხედრო შენაერთის კერძო ხასიათის გემად ითვლება და ფალერადაა მიჩნეული (Megow, 1986, გვ. 458).

ფალერა, ლათინური სიტყვაა და ჯილდოს ნიშნავს. ფალერებს ძირითადად შეადგენდნენ სამკაულები-გემიანი ბეჭდები, ბალთები, სამაჯურები, მახვილები, თასები, სასმისები და სხვა. იმპერიის ეპოქაში ფალერებით აჯილდოებდნენ არა მარტო ცალკეულ ლეგიონერებსა და სამხედრო ქვედანაყოფებს, არამედ დაქირავებულ მეომრებს და პრორომაული ორიენტაციის "ბარბაროსული" სამყაროს მმართველებსაც.

ისმის კითხვა: რა გზით უნდა მოხვედრილიყო აღწერილი ნივთი კლდეებში? რომაული სამხედრო შენაერთები ამ მიდამოებში და საერთოდ, კოლხეთის შიდა რეგიონებში არ ყოფილა დისლოცირებული. ისინი ქვეყნის ზღვისპირა პუნქტებში იყვნენ დისლოცირებული. ზღვისპირა ცენტრებიდან ამ ნივთების შემოტანაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგანაც კლდეები სანაპირო პუნქტებიდან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული. ამასთან, იქ კლდეეთური მასალის ანალოგიური ეგზემპლარები არ არის დადასტურებული. აღნიშნული ნივთი, ალბათ კლდეეთელ წარჩინებულებსა და ზღვისპირა ცენტრებში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების ადმინისტრაციას შორის გარკვეული სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობის მიმანიშნებელი უნდა იყოს. ამგვარი ხასიათის ნივთებით რომაული ადმინისტრაცია, თავის სამსახურში მყოფ ადგილობრივ წარჩინებულ პირებსა თუ მათ მეთაურებს აჯილდოებდნენ. მაგალითად, ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა მრისხანე "ბარბაროსული" ტომების ბელადებს საჩუქრად ვერცხლის ძვირფასი ლარნაკები მიართვეს (Ann., V, 31). ანალოგიური სურათი ჩანს ახ.წ. I ს. ბოსფორის მმართველებსა და ტავრიდის რომაულ საოკუპაციო სამხედრო შენაერთებს შორის (Шнигов, 1974, გვ. 64).

ნიშანდობლივია, რომ იმავე ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა სედოხეზების მეფეს ანიკეტის გადმოცემისათვის ჯილდო შესთავაზეს (Ann., III, 48). სწორედ კლდეეთელი დიდებულისათვის განკუთვნილ ჯილდოს შეადგენდა ზემოთ აღწერილი ნივთი. ამავე მექანიზმს შეიძლება დაუკავშირდეს კლდეეთის სამარხებში დადასტურებული რომაული ვერცხლის მონეტები (აუგუსტუსის დინარები, ანტონინუს პიუსის, მარკუს აურელიუსის, ნერვას კესარიული დიდრაქმები). ცნობილია, რომ ფულადი კომპენსირების გზით რომაელები არცთუ იშვიათად მიმართავდნენ პერიფერიული ქვეყნების მეთაურების თუ წარჩინებულთა მოსყიდვის პოლიტიკას, რომელიც რომის დიპლომატიის არსებით ინსტრუმენტს შეადგენდა.

რომაელები იმპერიის საზღვრებს არამარტო სამხედრო ძალით, არამედ მოქნილი დიპლომატიური ხერხებითაც აფართოებდნენ. იმპერიის მთელ პერიმეტრზე განსახლებულ ზოგიერთ ხალხს ტრადიციულად ადგილობრივი მეფეები განაგებდნენ და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. რომი დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ამ მმართველებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა, რამდენადაც იმპერიის წარმატებები, ზოგჯერ მათზე იყო დამოკიდებული.

სასურველი მიზნების მიღწევისათვის, რომაელები დიპლომატიის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ: დაშინების, იძულების, შანტაჟის, მოსყიდვის, ზოგჯერ კი პროდუქციის ურთიერთგაცვლასაც. ამგვარი პრაქტიკა ჯერ კიდევ ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებში დამკვიდრდა, ხოლო იმპერიის ხანაში გახშირდა.

ზემოთ აღნიშნულ მეთოდებს რომაელები მოგვიანებითაც იყენებდნენ. პროკოპი კესარიელის ცნობით, როდესაც რომაელები გარე სამყაროსთან ლაზების სავაჭრო ურთიერთობებში უხეში ფორმებით ჩაერივნენ, კოლხები რომისადმი მტრულად განეწყვენენ და სპარსელებს დაუკავშირდნენ (BP., II, 15, 9-12).

რომაული სამხედრო შენაერთები მოქნილი დიპლომატიის გზით კოლხეთის შიდა რეგიონებსაც აკონტროლებდნენ. ისინი თანამშრომლობდნენ ადგილობრივ წარჩინებულებთან. ეს კონტაქტები კი ორივე მხარისთვის სასარგებლო და მომგებიანი იყო.

სამწუხაროდ, არაერთარი მონაცემები არ გაგვაჩნია იმის შესახებ თუ რა დამსახურებისათვის ერგო კლდეეთელ წარ-

ჩინებულს ზემოაღნიშნული რომაული ფალერა. მკვლევართა მიერ კლდეეთის სამარხები შეძლებული და წარჩინებული მხედრების სამარხებადაა მიჩნეული (ლომთათიძე, 1957, გვ. 217). არ არის გამორიცხული, რომ ის "ეპილექტოსის," თანამედროვე "კომანდოსთა" ტიპის, რომანიზირებული კოლხი მეომარი ყოფილიყო. ასეთ მეომრებს კონკრეტული სამხედრო დავალების შესრულება ევალებოდათ. შესაძლოა, მკვიდრი მოსახლეობა არამარტო რომაული პოლიტიკის მხარდამჭერი, არამედ გარნიზონების შევსების წყაროც იყო.

ამრიგად, კლდეეთის № 3 სამარხში აღმოჩენილი რომაული მახვილი და ვერცხლის გემიანი ბალთა რომაელთა ჯილდოს წარმოადგენდა, რომელიც კლდეეთელ დიდებულს ებოძა იმპერიის მესვეურთაგან, მისი პრორომაული ორიენტაციისათვის.

მეორე ფალერა აღმოჩენილია ბიჭვინტის ციხე-ქალაქის არქეოლოგიური გათხრებისას (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 142). ის ვერცხლისაა, ცხრამეტწახნაგოვანი. მომრგვალებულ ცენტრალურ ნაწილში მირჩილულია მრგვალი ფორმის ვერცხლის მედალიონი ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით. მედალიონს შემოუყვება ჩარჩო. ლეთაება გამოსახულია მთელი ტანიით; მარჯვენა ხელში საჭე, ხოლო მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს. თავი სქემატურადაა გამოსახული. ტალღოვანი თმა ეშვება მუხლებამდე. სამკლაურის დმ. 9,2 სმ, მცირე დმ. 8,6 სმ, მედალიონის დმ. 3 სმ.

მსგავსი ფორმის ოქროს მედალიონები ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით ცნობილია ხერსონესის სამარხებიდან, ჩატალკის № 4 ნეკროპოლზე (ბულგარეთი) და II-III სს. ათარიღებენ (Пяташова, 1956, გვ. 58-59).

ცნობილია, რომის იმპერიაში ტიხე-ფორტუნას კულტი ფართოდ ვრცელდება ანტონინუსების ეპოქიდან. ის განსაკუთრებით პოპულარული გახდა იმპერატორთა ოჯახში. სექტიმიუს სევერუსს სურდა, ტიხე-ფორტუნას ქანდაკების, რომელიც თავის დროზე ანტონინუს პიუსის ოთახში იდგა, ასლები გადაეღო (Vermeule, 1974, გვ. 21). ტიხე-ფორტუნას გამოსახულებები გლიპტიკაში, რომელიც ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში ჩნდება, ფართოდ ახ.წ. II ს. ვრცელდება (Roscam, 1973, გვ. 44-47). ოქროსა და ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ტიხე-ფორტუნას მცირე ფიგურები საკიდების სახითაც გამოიყენებოდა.

საქართველოში ღვთაება ტიხე-ფორტუნას გამოსახულების ერთ-ერთ უძველეს გამოსახულებას არისტარქეს მონეტებზე ვხვდებით. მაგრამ ის მაინც საკმაოდ შორსაა ტიხე-ფორტუნას კლასიკურ სახესთან. ტიხე-ფორტუნას კლასიკურ სახეს საქართველოში მხოლოდ ახ.წ. I ს-დან ვხვდავთ. ბიჭვინტის მედალიონის გარდა, ამის ილუსტრაციას წარმოადგენს II-III სს. დათარიღებული, ციხისძირის, მცხეთასა და ურბნისში მოპოვებულ გემებზე ამოკვეთილი ამ ღვთაების გამოსახულება (Мачабели, 1976, გვ. 38).

ბიჭვინტის ჯილღო-ფალერა, სამკლავური თანმხლები მასალებით; მასთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ფიბულა და ვერცხლისავე საქამრე აბზინდა, რომლებიც III ს-ით თარიღდება.

აღბათ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან უნდა იყოს მოხვედრილი პიტიუნტში ფალერა (თოდუა, 1992, გვ. 12).

ზემოთ ჩამოთვლილი ეს მცირე, არასრული, არქეოლოგიური მონაცემებიც საკმარისია, რომ გამოჩნდეს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და რომაული სამყაროს ურთიერთობების და აქ ფეხისმოკიდების ქრონოლოგიური ეტაპები.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღბათ იმპორტირებული პროდუქციის ერთი ნაწილი რომაული საინტენდანტო სამსახურების მიერ არის შემოზიდული. ასეთ საგანთა რიცხვს უნდა განეკუთვნოს ბიჭვინტის ნაქალაქარსა და მის სამაროვანზე აღმოჩენილი მასობრივი ხასიათის ტარა და ე.წ. წითელლაკიანი ჭურჭელი, მათ შორის ცხოველთა რელიეფური გამოსახულებითა და დეკორატიული ორნამენტით შემკული სუფრის ჭურჭელი. სამხედროებს ეკუთვნოდან II-IV სს. დათარიღებული ე.წ. გუმბათისებურთავიანი ფიბულები; ვერცხლის სამკლავური ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით; ოქრო-ვერცხლის გემიანი ბეჭდების ნაწილი, რომლებზეც რომაული მილიტარისტული ხასიათის ფიგურა-სიმბოლოებია (არწივი, ლომი, კიბორჩხალა, მორიელი, კუ) გამოსახული. რომაულ სამხედრო შენაერთებს უნდა შემოპყლოდა, აფსაროსში, კასტელუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წითელლაკიანი ჯამი სანდლიანი ფეხის გამოსახულებით და მეომრის რელიეფურგამოსახულებიანი წითელლაკიანი ჭრაქი.

რომაული წარმოების საგნების მცირერიცხოვანი ნაწილი, ადგილობრივი დიდებულებისათვის განკუთვნილ ძღვენსა თუ

ჯილდოს შეადგენდა. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება თავილონის სამარხეულ კომპლექსში შემავალი ვერცხლის კათხისებური სასმისი, კანელურებიანი თასები, ლანგრები (Амиранашвили, 1935, გვ. 9-10, 45, 52); გონიოს განძში შემავალი ოქროს გარსაკრავი ცხოველთა ბრძოლის გამოსახულებით (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ხახუტაიშვილი, 1980, გვ. 25, ტაბ. XVII-XVIII). ეს საგნები ადგილობრივ დიდებულებს ებოძათ იმპერიის მესვეურთაგან მათი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობისათვის.

სავაჭრო ოპერაციების გზით შემოსულ პროდუქციათა რიცხვს უნდა განეკუთვნოს პიტიუნტის, სებასტოპოლისის საქალაქო ტერიტორიებზე და ფოთში დადასტურებული მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი. პიტიუნტის სამარხებში დაფიქსირებული მინის ბალზამარიები, სამკაული; სინოპური და სამოსური ამფორები, მცირე აზიური მინის ნაწარმი და სხვ.

რომაული იმპორტის ძირითადი ნაწილი რომაული გარნიზონების მომარაგებისათვის იყო გათვალისწინებული. ზემოთ ჩამოთვლილ იმპორტულ ნაწარმში გარნიზონების მომარაგების სფეროში სამი პერიოდი გამოიყოფა: პირველი პერიოდი პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფს შეესატყვისება. ამ დროს რომაული გარნიზონები, ძირითადად, მარცვლეულით, ღვინით და ზეთით მარაგდებოდა, ხოლო სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი შედარებით ნაკლები რაოდენობით შემოდიოდა. საერთოდ, აღნიშნულ პერიოდში, იმპორტული პროდუქცია, შეზღუდული რაოდენობითაა წარმოდგენილი, რაც შესაძლოა გარნიზონების მომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის მაჩვენებელი იყოს. თუმცა, ეს ფაქტი რომაული გარნიზონების სიმცირითაც შეიძლება აიხსნას.

მეორე პერიოდი ახ.წ. II-III სს. მოიცავს და იმპორტული მასალის გარკვეული მოზღვავეებით აღინიშნება. ასეთი სიმრავლე ალბათ, პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ჩამოყალიბებისა და გარნიზონთა რიცხობრივ ზრდას უკავშირდება. შავიზღვის-პირეთის ციხესიმაგრეთა ქსელი, რომლის ორგანიზაციული გაფორმება ახ.წ. II-III სს-ში სრულდება, უზრუნველყოფდა არა მარტო იმპერიის საზღვრების დაცვას, არამედ გარნიზონების მომარაგების ტრანსპორტირების უსაფრთხოებას.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ალბათ ერთიანი სისტემით ხდებოდა. კონკრეტულად, ტრაპეზუნტიდან, სადაც შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბაზა იყო. ტრაპეზუნტის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც აქ ადრიანეს დროს საიმედო და კარგად მოწყობილი ნავსადგური ააშენეს. ამის გამო შესამჩნევად, წარმატებულად ამოქმედდა ჯერ კიდევ დომიციანეს დროს გაყვანილი სამოსატა-სატალა-ტრაპეზუნტის გზა, რომელიც ზღვითაც უკავშირდებოდა საქართველოს შავიზღვისპირა ცენტრებს.

ტრაპეზუნტი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შავიზღვისპირა ცენტრებში დისლოცირებული რომაული მხედრობის მომარაგების საქმეში, რომელთაც აქედან მიეწოდებოდათ სხვადასხვა ნაწარმი. ამ პერიოდში რომაული გარნიზონებისათვის მიწოდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციათა შორის (ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დადასტურებული ამფორათა რაოდენობის მიხედვით) ღვინო, ზეთი და მარცვლეული დომინირებს. წინა პერიოდთან შედარებით გაზრდილი ჩანს მოთხოვნილება სუფრის ჭურჭელზე, განსაკუთრებით წითელ-ლაკიან ჯამბუზე თუ თასებზე. შედარებით მცირე რაოდენობით შემოდინოდა სამზარეულო კერამიკა (მონტარიუმები, კოჭბები, ქვაბები). სიახლეა ის, რომ გარნიზონს მრავლად მიეწოდებოდა რომაული მინის ნაწარმი, რომელიც II-III სს-ში ფუფუნების საგანს აღარ წარმოადგენდა.

მესამე პერიოდი ახ.წ. III ბოლო - IV სს. მოიცავს და იმპორტული ნაწარმის ახალი მოზღვავებით ხასიათდება. არნიზონები ძირითადად კვლავ მცირე აზიის ცენტრების ნაწარმით მარაგდება. ამჯერად, საჯარისო ფორმირებების მომარაგებას ტრაპეზუნტის ნაცვლად ძირითადად ქალაქი ანტიოქია ასრულებს. ახ.წ. IV ს. ის აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად იქცა. ის აწესრიგებდა საფინანსო საქმეებს და ფაქტობრივად მისსავე კონტროლქვეშ იმყოფებოდა ზღვისპირა ცენტრების გარნიზონების მომარაგება. ნიშანდობლივია, რომ პიტიუნტის გარნიზონის მეთაური - სუკესიანე დაწინაურების

შემდეგ ანტიოქიაში განაგრძობდა სამხედრო მოღვაწეობას (Zos., Hist., Nova, I, 32).

ამრიგად, ალბათ, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და აქ დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ერთიანი ცენტრალიზებული სისტემით ხორციელდებოდა მცირე აზიის ცენტრებიდან.

საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. I ს-ის 60-იან წლებში რომაელი მეომრები პომპეუსის მეთაურობით პირველად გამოჩნდნენ. აქ რომს ძირითადად ეკონომიკურ-სტრატეგიული გამორჩენა იზიდავდა – ახალი სავაჭრო გზების; ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; კავკასიაზე კონტროლის დაწესება.

კავკასიონის ქედი კარგი წინააღმდეგობა იყო ჩრდილოკავკასიური მომთაბარე-მეომარი ტომების ტრანსკავკასიასა და მცირე აზიაში შემოჭრის რეგულირებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მამისონის, დარიალისა და დერბენტის გადასასვლელები. ვის ხელშიაც ეს გზები იყო, მას შეეძლო გარკვეული კონტროლი გაეწია ჩრდილოკავკასიელი ტომებისათვის.

რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას.

ანტიკური ხანის კოლხეთს და იბერიას გეოპოლიტიკურად ერთ-ერთი საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხედრაც და შეჯახებაც.

იბერია-კოლხეთში სამხედრო-საბრძოლო მოქმედებისას ადგილობრივი მეზრძოლები ფლობდნენ და კარგად იყენებდნენ რელიეფს, მთებს, ხეობების ჩასაკეტად ვიწრო ადგილებს, მთავორებზე მოხერხებულად განლაგებულ თავდაცვით ნაგებობებს, ხშირ გაუვალ ტყეებს, მდინარეების ფონებს. იგივე ფაქტორები უარყოფითად აისახებოდა მომხდურთა (ამ შემთხვევაში

რომაელთა) სამხედრო ძალის მოქმედებებზე. ისინი არ იცნობდნენ და ტაქტიკურად სწორად ვერ იყენებდნენ ადგილობრივ ბიოგეოგრაფიას. ადგილობრივი პირობების შესახებ მათ სრული ინფორმაცია არ გააჩნდათ. კერძოდ, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მოწინააღმდეგის სამეურნეო-ეკონომიკურ ბაზარესურსებზე, რაოდენობრივ-დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ფსიქიკურ განწყობაზე, კომუნიკაციურ და სამხედრო ქმედებებზე.

მიუხედავად ძლევამოსილებისა, პირველ ეტაპზე, რომმა ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის დამორჩილება. ეს ვერ მოხერხდა ვერც არისტარქეს, ვერც მითრიდატე პერგამონელის და ვერც პოლემონის ხელით. რამდენადმე გამართლდა ლუკულუსის წინასწარმეტყველება, რომელიც აღნიშნავდა – ამ მხარის დამორჩილება ძალიან ძნელიაო (პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

იბერია-კოლხეთი თავისი ხეობებით, მთებით, სწრაფი, ძნელად გადასალახი მდინარეებით, უღრანი ტყეებით – ადვილად დასამორჩილებელი არ უნდა ყოფილიყო. ამას ემატებოდა, აგრეთვე, აგრესიულად განწყობილი, ძლიერი სამთავროები. ზღვისპირეთისათვის კი რომაელები გარკვეული კონტროლის გაწევას ახერხებდნენ. ამაში მათი ძირითადი საყრდენი უნდა ყოფილიყო სანაპირო ქალაქები, რომლებშიც, შიდა კოლხეთისაგან განსხვავებით, ანტიკური სამეურნეო-კულტურული გავლენა შედარებით ძლიერი იყო. კოლხეთის ზღვისპირეთი ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად კავკასიაში, მცირე აზიასა და ბოსფორში.

პირველ ეტაპზე კოლხეთი პონტოს სამეფოსა და რომს შორის საომარი მოქმედებების ასპარეზად გადაიქცა. რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის და შემდეგ იბერიის განვითარების პროცესზე. ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოდგა – ზღვისპირეთი რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში, რომაელთა მოქნილი, ცბიერი პოლიტიკის შედეგად, არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული "სამთავროების" განვითარებით დასრულდა (იხ. ფლავიუს არიანე, 11). რომმა – იმ დროისათვის მაღალგანვითარებულმა სახელმწიფომ, რამდენადმე დადებითი როლიც ითამაშა. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო იმ დროისათვის მოწინავე

რომაულ კულტურას; გაეცნენ ახალ საომარ ტაქტიკას და ტექნიკას.

ახ.წ. I ს-ის 60-იან წლებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდა ე.წ. პონტო-კავკასიის თავისებური სასაზღვრო სისტემა. მის უმთავრეს ამოცანას რომის გეოპოლიტიკური პოზიციების კავკასიაში განმტკიცება და კონტროლი წარმოადგენდა. ამ უმთავრესი ამოცანის გადაჭრა ხსენებული სისტემის მეშვეობით რამდენადმე გაძნელდა. პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის როლი და ხასიათი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო: ახ.წ. I-II სს-ში ე.წ. პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია; ახ.წ. II-III სს-ში რომის იმპერიის აღმოსავლეთი სასაზღვრო ხაზის მოდერნიზაცია მიმდინარეობს. ახ.წ. 135-152 წწ. პიტიუნტში რომაული სამხედრო შენაერთების ჩადგომით ამ სისტემის ჩამოყალიბება საბოლოოდ სრულდება.

ახ.წ. III ს-ის შუა ხანებში აღნიშნულმა სისტემამ შეწყვიტა არსებობა. მისი განახლება-განმტკიცება მხოლოდ III-IV სს-ში გახდა შესაძლებელი. IV ს-ის დასაწყისისათვის კი პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზი ისევ სუსტდება.

ახ.წ. I საუკუნიდან პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემაში შემავალი აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი და პიტიუნტი, მთელი რომაული ხანის მანძილზე, სასაზღვრო ტიპის მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებად რჩებოდნენ.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული დასახლებების წარმოქმნისა და მისი განვითარების პროცესი თავისებური, განსხვავებული გზით წარიმართა. აქ, რომაული, კლასიკური ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. დიოსკურია-სებასტოპოლისისა და აფსაროსში რომაული სამხედრო შენაერთების სამოქალაქო დასახლებების ფუნქციას ასრულებდა ადგილობრივი საქალაქო ცენტრები თუ რიგითი დასახლებები; პიტიუნტისა და ფასისის კასტელუმებთან კი არსებობდა "vicus"-ის კატეგორიის, მცირე სავაჭრო-სახელოსნო რომაული დასახლებები, რომელთა "მოქმედების არე" კონკრეტული სანაპირო ზოლით შემოიფარგლებოდა.

პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემის ორგანიზაციული ჩამოყალიბებისა და გარნიზონთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ნაწარმი (კერამიკის, მინის, ლითონის ნაკეთობები, სამკაულები) გავრცელდა,

რომელთა შორის ტრადიციულად მცირე აზიის ცენტრების ნაწარმი სჭარბობდა. უცხოური პროდუქციის ტრანსპორტირება უპირატესად საზღვაო გზით ხორციელდებოდა. ის ძირითადად ორიენტირებული იყო რომაული სამხედრო შენაერთების მომარაგებაზე. რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება კი ცენტრალიზებულად II-III სს-ში ტრაპეზუნტიდან, IV ს-ში კი – ანტიოქიიდან ხდებოდა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის რომის იმპერიის სასაზღვრო სისტემაში ჩართვით, გარკვეულწილად უზრუნველყოფილი იყო რომის აღმოსავლეთის პროვინციების მისაღვამების უსაფრთხოება და რომაელთა გეოპოლიტიკური ინტერესების განმტკიცება კავკასიაში და აღმოსავლეთ მცირე აზიაში.

რომაული სამხედრო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

აგმენი (ლათ. *Agmen* – ლაშქრობა) ლაშქრობაში მყოფი არმია. დღეში შვიდი საათი მოძრაობდა და დაახლოებით 20 კმ-ს გადიოდა.

ალა (ლათ. *Ala* - ფრთეული) თავდაპირველად რომის არმიაში მოკავშირეთა ჯარებისაგან შემდგარი ლეგიონის ფრთა. ცეზარის დროიდან დამოუკიდებელი საკავალერიო ნაწილი. იმპერიის ეპოქაში დამხმარე ჯარების 500 და 1000 მხედრიანი ქვედანაყოფები.

არკუსი (ლათ. *Arcus* – მშვილდ-ისარი) რომაელები გერმანელებთან და ახლოაღმოსავლეთის ხალხებთან ბრძოლებში მშვილდ-ისარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. შექმნილი იყო მოისართა სპეციალური დამხმარე რაზმები.

აუქსილია (ლათ. *Auxilia* – დამხმარე) დამხმარე სამხედრო შენაერთი, რომელიც პროვინციელებისა და მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებისაგან კომპლექტდებოდა. აუგუსტუსის ეპოქიდან აუქსილია ნაწილობრივ მძიმედ შეიარაღებული კავალერიისაგან შედგებოდა და რეგულარული არმიის შემადგენელი ნაწილი იყო. ახ.წ. IV ს-ში გალურ-გერმანული მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებისაგან შედგებოდა და ცალკეულ რაზმებად იყოფოდა. თითოეული რაზმი 500 ჯარისკაცს ითვლიდა.

აქუილა (ლათ. *Aquila* – არწივი) გაიუს მარიუსის დროიდან რომის ლეგიონის სამხედრო ნიშანი, რომელსაც აკვილიფერი ატარებდა.

ბალისტა (ბერძ. *Balista* – სატყორცნი) ლოდსატყორცნი მანქანა-მოწყობილობა. მათ სპეციალურად გაწვრთნილი ბალისტარიების, არტილერიისტების რაზმი ემსახურებოდა. ზოგჯერ მათი რიცხვი ათამდე ადიოდა. ბალისტის ენერგიის წყაროს ცხოველის, განსაკუთრებით ხარის კისრის დაგრეხილი ძარღვები შეადგენდა. ბალისტის ზომები 4-5 მ-ს აღწევდა. ისროდა დაახლოებით 400-500 მ-ზე.

ბარო (ლათ. *Baro*) – დაქირავებული ჯარისკაცი.

ბელა იუსტა (ლათ. *Bella iusta*) სამართლიანი ომი.

ბენეფიციუმი (ლათ. *Beneficium* – კეთილმყოფელი) რომის რესპუბლიკის არმიაში ჯარისკაცი, რომელიც მსახურობდა

ტრაპიკისის შტაბში, მთავარსარდლის მცველად. იმპერიის ეპოქაში სამხედრო კანცელარიის რიგითი მოსამსახურე.

ბერმა (ლათ. Bernae – ზოლი) მიწის ზოლი სასიმაგრო კლასსა და ვალუმს შორის. ის ვალუმს იცავდა.

ბრაკატა (ლათ. Bracata – შარვალი) რომის ლეგიონერები შარველებს იშვიათად ატარებდნენ. მათ ის ჯარისკაცები ატარებდნენ, რომლებიც იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციებში მსახურობდნენ.

ბუკელარია (ლათ. Bucella – ელიტა) რესპუბლიკის ხანაში სამხედრო ელიტა. იმპერიის ხანაში ნახევრადოფიციალური ხასიათის კერძო სამხედრო სამსახური.

ბუკინატორი (ლათ. Bukinator – მესაყვირე) რომაულ არმიაში მესაყვირების დანაყოფი.

ბურგუსი (ლათ. Burgus – დასახლება) პატარა ზომის გამაგრებული დასახლება.

ბუცინა (ლათ. Bucina – ნაღარა, ბუკი) ნაღარის სიგნალით ხდებოდა ღამის დაცვის წვერთა შეცვლა დღის მცველებით.

გალიგა (ლათ. Galigae – სანდალი) რომაელ ლეგიონერებს ფეხზე ეცვათ სანდლები, რომელთა სქელი ლანჩები რკინის ლურსმნებით იყო მოჭვდილი.

გვარდია (ლათ. Gvardia) სამი სახეობის იყო: პრეტორიანული - "Pretorianes" იმპერატორთა ლეიბ-გვარდია; ცხენოსანთა - "equites singulares"; პოლიციური - "numerus frumentarium".

გლადიუსი (ლათ. Gladius – მახვილი) ორღესული, რომბულწვერიანი, ფართოტანიანი მახვილები, რომელთა პირი 44-55 სმ. შორის მერყეობდა. გლადიუსისაგან მომდინარეობს სახელწოდება – გლადიატორი.

დეკურსიო (ლათ. Decursio) – შეტევა, მანევრი.

დეციმატია (ლათ. Decimatio – მეთე) რომის არმიაში ლაჩრობისა და კანონის დარღვევისათვის ყოველი მეთე მეომარი სიკვდილით ისჯებოდა.

დილექტუსი (ლათ. Dilektus) – არმიაში გაწვევა; რჩეული რაზმი.

დიქტატორი (ლათ. Dictator) რესპუბლიკის ეპოქაში განსაკუთრებული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი რომის მოქალაქე; ირჩევენ საგანგებო ვითარების დროს 6 თვით. ის

ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას და წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხებს. მისი განკარგულება კანონის ძალის იყო. იმპერიის ეპოქაში დიქტატორის უფლებები იმპერატორმა უკიდურესად შეითვისა.

დონატიუმი (ლათ. Donativum – საჩუქარი) ძვ.წ. III ს-დან პონორარი ჯარისკაცებისათვის; თითოეული ლეგიონერის პონორარი 24000 სესტერციუმს შეადგენდა. იმპერიის ეპოქაში გაცილებით მეტი იყო.

დუქსი (ლათ. Duxs - ბელადი) რომის იმპერიაში ოპერატიული შენაერთის მეთაური; დიოკლეტიანეს დროს არმიის მთავარსარდლის ტიტულატურა.

ეკვიტე (ლათ. Equite, მხედარი) რესპუბლიკის ეპოქაში მოქალაქეზე მეტი იყო უფლებბრძედი. ძვ.წ. II ს-დან ეკვიტები ერთ-ერთ ძირითად სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ. ხშირად, მათგან ინიშნებოდნენ ახლად დაპყრობილი ტერიტორიების მმართველები.

ემირიტუსი (ლათ. Emiritus – ასაკოვანი) სამხედრო სამსახურის ვადის (20 წელი) დამთავრების შემდეგ ლეგიონერები ემირიტუსად იწოდებოდნენ.

ვალუმი (ლათ. Vallum – მესერი) თავდაპირველად ხის, თიხისა და მესერისაგან ნაგებ სიმაგრეს ეწოდებოდა. ისინი გარს ერტყა მუდმივმოქმედ სამხედრო ბანაკებს. მოგვიანებით ვალუმებად იწოდებოდა სასიმაგრო ნაგებობათა ყველა სისტემა-მიწური ვალუმები, ქალაქების, ბანაკების ქვის კედლები და ა.შ.

ველიტები (ლათ. Velites – ტილო) რომაული არმიის ყველაზე ახალგაზრდა, უღარიბესი და მსუბუქად შეიარაღებული მეომრები, რომლებსაც ტილოს პერანგები ეცვათ; გაიუს მარიუსის რეფორმამდე (ძვ.წ. 107 წ.) თითოეულ ლეგიონში 1200 ველიტი ირიცხებოდა. ყოველი მეექვსე შეიარაღებული იყო ორმეტრიანი შუბებით, მშვილდ-ისრებითა და შურდულებით. ველიტები უპირატესად საბრძოლო სპილთების წინააღმდეგ გამოიყენებოდნენ.

ვეტერანი (ლათ. Veterani – ხანდაზმული) სამხედრო სამსახურის ვადის დამთავრების შემდეგ რომაელი ჯარისკაცები ვეტერანებად იწოდებოდნენ. პრეტორიანელების ჯარში სამსახურის ვადა 16 წელი იყო, ლეგიონერების 20 წელი, ხოლო დამხმარე ნაწილების ჯარისკაცებისათვის 25 წელი. ვეტერანები

სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგაც, გარკვეული ხნით არმიაში რჩებოდნენ და მრავალი შეღავათით სარგებლობდნენ. დამხმარე შენაერთების გადამდგარი ჯარისკაცები ზოგჯერ რომის მოქალაქეობას ღებულობდნენ. პრეტორიანელები და ლეგიონერები კი მიწათმფლობელები ხდებოდნენ.

ვექსილაცია (ლათ. Vexillatio – დროშა) სპეციალური ლეგების რაზმი. რომაული ვექსილაციები სხვადასხვა სახეობის შენაერთებისაგან შედგებოდა. ზოგჯერ ეს იყო რომელიმე ლეგიონის ან კოჰორტის ნაწილი, ზოგიერთ შემთხვევაში კი დამხმარე კოჰორტების, ფლოტისა და მხედართა ნაკრები. Vექსილაციების შემადგენლობაში შედიოდნენ პრეფექტები, ტრიბუნები, ტრიერარქოსები, სიგნიფერები, ექიმები; საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი – არქიტექტორები, ბალისტარიები, ხელოსნები, მჭედლები, მეტალურგები და ა.შ.

ვიკუსი (ლათ. Vicus, სოფელი) რომაული სოფელი, დასახლება, რომელიც გზის გაყოლებაზე მდებარეობდა. ვიკუსი ზოგჯერ ძველი იტალიელებისათვის დამახასიათებელ უწესრიგოდ განლაგებულ სოფლურ სახეს ინარჩუნებდა, თუმცა ვიკუსებში დაფიქსირებულია პარალელური ქუჩებიც, რაც მათი საქალაქო ცენტრებად გარდაქმნის ტენდენციის მიმანიშნებელია; ვიკუსები, როგორც წესი, რომაული დამხმარე სამხედრო შენაერთების ბანაკებთან ჩნდებოდნენ, მსგავსად კანაბებისა, რომლებიც ლეგიონების კასტელუმებთან იგებოდნენ.

ვოლონტერები (ლათ. Volonteri – მოხალისე) რომაულ არმიაში უხვი დაპირებებით მოხალისეებს იზიდავდნენ.

თურისი (ბერძ. Turris – კოშკი) კოშკები თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. ისინი რამდენიმე ფუნქციას ასრულებდნენ: გალავანსა და მის მისადგომებს იცავდნენ, სადარაჯო-სათვალთვალო და საყრდენ პუნქტებსაც წარმოადგენდნენ. კოშკებზე კატაპულტებიც ეწყობოდა. ანტიკურ ფორტიფიკაციაში ცნობილია სხვადასხვა ფორმის კოშკები – კვადრატული, ოთხკუთხა, ხუთწახნაგა, ექვსწახნაგა, წრიული, მრგვალი ფორმის კოშკები, რამდენადაც ისინი კატაპულტირებას სხვებთან შედარებით უძლებდა.

თურმა (ლათ. Turma - ჯგუფი) ცხენოსანთა რაზმი 30-32 კაციანი. ალას 1/10 ნაწილი.

იმპერატორი (ლათ. Imperator, მთავარსარდალი, მთავარი მბრძანებელი) რესპუბლიკის პერიოდში ანიჭებდნენ გამარჯვებულ მთავარსარდალს. იულიუს ცეზარს ეს ტიტული სიცოცხლის ბოლომდე მიენიჭა. ძვ.წ. 29 წ. სენატმა სიცოცხლის ბოლომდე დანიშნა აუგუსტუსი; შემდგომ რომის სახელმწიფოს ყველა მეთაურის ტიტული იყო.

აკაკულა (ლათ. Cacula) – დამლაგებელი; რომაულ არმიასში მენაგვე.

კამპიგენუსი (ლათ. Campigenus) – კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცი.

კამპიდოქტორი (ლათ. Campidoctor) – სამხედრო საქმის ინსტრუქტორი, მასწავლებელი.

კამპუსი (ლათ. Campus) – ბრძოლის ველი; სამხედრო მოედანი; პლაცი.

კანაბე (ლათ. Canabe – საწყობი) სამოქალაქო დასახლება, რომელიც ლეგიონების კასტელუმების გვერდით არსებობდა. კანაბები კასტელუმებისაგან ჩვეულებრივ 2-3 კმ-ით იყვნენ დაშორებული. კანაბებში გადამდგარი ჯარისკაცები, მათი ოჯახის წევრები, ხელოსნები და ვაჭრები ცხოვრობდნენ. კანაბები საშუაშაგლო როლის ფუნქციას ასრულებდნენ რომაელ სამხედრო მოსამსახურეთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ისინი რომაული კულტურისა და რომანიზაციის კერებსაც წარმოადგენდნენ.

კასსიდა (ლათ. Cassida – მუზარადი) ლეგიონერების თავდაცვითი საჭრვლის მნიშვნელოვანი ელემენტი. ძვ.წ. V ს-ის ლითონის მუზარადი ნახევარსფერული ფორმისა იყო. ძვ.წ. I საუკუნიდან კი ვრცელდება კონუსური მოყვანილობის მუზარადები, რომლებსაც ლოყის საცავი ფირფიტები ჰქონდათ სახის დასაცავად.

კასტელუმი (ლათ. Castellum – სიმაგრე) საშუალო ზომის ციხესიმაგრე. მისი ფართობი 1,5-დან 3,5 ჰექტრამდე მერყეობდა. კასტელუმს ჰქონდა კოშკებით გამაგრებული ოთხი კარიბჭე, რომლებზედაც გადიოდა ბანაკის ორი, ცენტრში ურთიერთ-გადაკვეთი ქუჩა. ცნობილია ორი სხვადასხვა ტიპის კასტელუმი. ერთი ესაა "Castella Tumultuaria" - დროებითი საფორტიფიკაციო ნაგებობა, ხოლო მეორე - "Castella Murata" მუდმივმოქმედი, ხანგრძლივი დროისათვის განკუთვნილი თავდაცვითი ნაგებობა.

იმპერიის სასაზღვრო პუნქტებში არსებობდა მრავალრიცხოვანი კასტელუმები, რომლებიც კოპორტებისა და ალებისათვის იყო განკუთვნილი (მაგალითად, ზალცბურგში, ემონაში, ბიჭვინტაში, აფსაროსში და სხვ.).

კასტრა (ლათ. *Castra* – სიმაგრე, ფორტი) მცირე ციხესიმაგრე. ასეთი ტიპის თავდაცვითი ნაგებობისათვის დამახასიათებელია მიწური ან ქვის ორმაგი ციხესიმაგრეთა სისტემა, რომელიც ხანგრძლივი დროისათვის იყო გათვალისწინებული. ის ზოგჯერ დროებით ციხესიმაგრედაც გამოიყენებოდა. მშვიდობიანობის დროს, იქ მცირერიცხოვანი გარნიზონი რჩებოდა, ხოლო ოპერატიული ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით დამატებითი ძალები შეჰყავდათ.

კასტრუმი (ლათ. *Castrum* – ბანაკი, ციხე) დიდი ზომის მუდმივმოქმედი სამხედრო ბანაკი. კასტრუმით ჩვეულებრივ ქვის ციხესიმაგრე აღინიშნებოდა. რომაელები პროვინციების ცენტრებში აგებდნენ კასტრუმებს, რომლებსაც თვალდაცვითი და შეტევითი დანიშნულება ჰქონდათ. მაგალითად, დაკიაში ასეთი იყო სერმიცეგეტუსის ციხესიმაგრე, ხოლო ქვემო მეზიაში – ტრეზმისი. კასტრუმის სახელწოდებას ატარებდა მთელი რიგი ქალაქები – *Castrum Junii*, *Castrum Album*, *Castrum Novum*, *Castrum Frientium* და სხვ., რომლებიც სამხედრო ბანაკებიდან აღმოცენდნენ. ამგვარი კასტრუმები, როგორც წესი, საეკონომიკურ და სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მდებარეობდნენ.

კატაპულტა (ბერძ. *Catapulta* – სასროლი) სასროლსატყორცნი მანქანა, რომელიც ისროდა პილუმებს, შუბებს და სხვ. მისი სროლის მანძილი 300-500 მეტრს არ აღემატებოდა.

კატაფრაქტარები (ბერძ. *Katafraktari* – აბჯარში ასხმულნი). მძიმედ შეიარაღებული და ჯავშნიანი მხედრები. თავდაპირველად სპარსული არმიის ცხენოსანთა ქვედანაყოფი; ადრიანესა და განსაკუთრებით, სევერუსის დროს რომაულ არმიამაც ვრცელდება. მხედარი და ცხენიც ლითონის ჯავშნებით იყო დაფარული. ისინი ძირითადად შუბებით იყვნენ შეიარაღებული.

კეისარი – ცეზარი. ეს ტიტული რომში იულიუს კეისრის იმპერატორობის დროს დამკვიდრდა. ძვ.წ. 27 წ. სენატმა ახალი ტიტული – აუგუსტიც შემოიღო და ამის შემდეგ იწოდებოდნენ – "იმპერატორი კეისარი (ცეზარი) აუგუსტი". ისინი რომის

სახელმწიფოს უმაღლესი მმართველები იყვნენ. მოგვიანებით შეიქმნა იმპერატორის კულტიც.

კიპუსი (ლათ. Cippus) – სასაზღვრო ბოძი.

კლიბანუსი (ლათ. Clibanus - ჯავშანი) კატაფრაქტარიების ტიპის მხედრები. ადრიანესა და სეპტიმიუს სევერუსის დროს დაქირავებული მხედრებისაგან შედგებოდა. კლიბანუსები რკინის მძიმე ჯავშანს ატარებდნენ და ძირითადად შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი.

კომილიტიუმი (ლათ. Commilitium) – სამხედრო თანამეგობრობა; თანამებრძოლი.

კომიტატენსესი (ლათ. Comitatus) დიოკლეთიანეს რეფორმით, განსაკუთრებული, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არსებული ქვეითი მეომრები.

კონვეტერანი (ლათ. Conveteranus) – ამხანაგი-ვეტერანი.

კონკაედესი (ლათ. Concaedes) – ჯებირი; ხის მესერი.

კონსილიუმი (ლათ. Consilium – საბჭო) სამხედრო საბჭო, სადაც "ინსტურქტაჟებს" იღებდნენ არმიის ხელმძღვანელები. კონსილიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ლეგატები, უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირები და ზოგჯერ ცენტურიონებიც.

კონსული (ლათ. consul – თათბირი, საბჭო) რომის რესპუბლიკის ხანაში სახელმწიფოს მეთაური. ორ კონსულს ირჩევდა სახალხო კრება ერთი წლის ვადით; კონსულები სენატისა და სახალხო კრების სხდომებს იწვევდა. ომიანობის დროს ისინი არმიას მეთაურობდნენ. იმპერიის ეპოქაში კონსულს იმპერატორი ნიშნავდა და მისი როლიც მკვეთრად შეიზღუდა.

კონსული (ლათ. Consul) რესპუბლიკის დროიდან ერთ-ერთი მაღალი ჩინი, ზოლო იმპერიის ეპოქაში საპატიო თანამდებობა. კონსულად ყოფნა პიროვნებას საშუალებას აძლევდა კარიერის კიბეზე (საზოგადოებრივ და სამხედრო სარბიელზე) უფრო სწრაფად წასულიყო წინ.

კონტიო (ლათ. Contio) – შეკრება, შეკრების მოწვევა.

კონტრაფორსები (ლათ. Contrafortes - ბურჯი) თავდაცვით სისტემაში ორმაგ ფუნქციას ასრულებდა: კედლის შიდა პერანგის გამაგრებისათვის და ციხის გალავანზე ასასველელად გამოიყენებოდა.

კონტუმაცია (ლათ. Contumacia) – სამხედრო ბრძანებების შეუსრულებლობა, კანონისადმი დაუმორჩილებლობა.

კორნი (ლათ. Corni – რქა) ხარის რქისაგან ან ლითონისაგან დამზადებული საყვირი, მრგვალი ფორმისა. მისი სიგნალით მანიპულები ეწყობოდნენ და სალაშქროდ ემზადებოდნენ.

კორნიკულარიუსი (ლათ. Cornicularius) – უფროსი ჯარისკაცი; სამხედრო მოსამსახურე; კანცელარიის გამგე.

კორნუ (ლათ. Cornu) – რქა; დასაკრავი ნალარა.

კორონა (ლათ. Corona – გვირგვინი) რომის ლეგიონებს მამაცობისა და თავდადებისათვის გვირგვინებით აჯილდოებდნენ. ოთხი სახეობის კორონა იყო: "corona civica" - მოქალაქის გადარჩენისათვის; "corona muralis" - მოწინააღმდეგის ბანაკის კედელზე პირველი ასვლისათვის; "corona vallaris" - მტრის სიმაგრის, ვალუმის პირველი გადალახვისთვის; "corona vanalis" მოწინააღმდეგის ხომალდზე პირველი შეჭრისათვის.

კოპორტა (ლათ. Cohors – ამალა, მწყრივი) ფეხოსანთა ქვედანაყოფი, რომელშიც 500-600 ჯარისკაცი ირიცხებოდა. თავის მხრივ, ის 80-100 კაციან ცენტურიად იყოფოდა. კოპორტები, როგორც წესი, ლეგიონების ფლანგებზე ეწყობოდნენ.

კუნეუსი (ლათ. Cuneus – სოლი) რომაული არმიის ერთგვარი სამხედრო წყობა. ჯარისკაცთა ენაზე, მას "ლორისებური თავი" ეწოდებოდა. გამოიყენებოდა, ასევე "მაკრატლისებური" (forfex) და V-მაგვარი სამხედრო წყობა.

ლეგატი (ლათ. Legat – რჩეული) რესპუბლიკის ხანაში სენატის მიერ დანიშნული არმიის მთავარსარდლის მოადგილე. მის ფუნქციაში შედიოდა სასამართლო საქმის წარმოება. იმპერიის ეპოქაში – ლეგიონის მეთაური (legat legionis); იმპერატორთა პროვინციების ნაცვალი (legat Augusti pro praetore) და რწმუნებული.

ლეგიონი (ლათ. Legion, Legere – შერჩევა, შეგროვება) რომის არმიის ძირითადი ნაწილი. რესპუბლიკის ხანაში ლეგიონი ითვლიდა 4,2 ათასს ქვეითსა და 300 მხედარს. ძვ.წ. IV ს-ის ლეგიონში შედიოდა 10 მანიპული, რომელიც ორ ცენტურიად იყოფოდა. მეორე პუნიკური ომის დროს (ძვ.წ. 218-201 წწ.), ლეგიონი 30 მანიპულისა და 10 კოპორტისაგან შედგებოდა. ცეზარის ხანაში ლეგიონი 3 ათას ქვეითს, 2-3 ათას მხედარსა და 4-5 ათას გალური ტომებისაგან შემდგარ მხედრობას ითვლიდა. აუგუსტუსის ეპოქაში ლეგიონი შედგებოდა 6100 მძიმედ შეიარაღებული ქვეითისა და 726 მხედრისაგან. მომდევნო

ხანაში 4200-5000 ფეხოსანსა და 120-300 კავალერიას შორის. ლეგიონის შემადგენლობაში შედიოდნენ საინჟინრო-ტექნიკური შენაერთები, ხუროთმოძღვრები, ექიმები, ხელოსნები, არტილერიისტები, ქვისსატყორცი მანქანები და სხვ. თითოეულ ლეგიონს თავისი საკუთარი ნომერი, სახელწოდება, დროშა-შტანდარტები ჰქონდა. სახელწოდება მისი ფორმირების ადგილზე ("იტალიკური", "მაკედონური", "პონტური"), მფარველ ღმერთებზე ("აპოლონისეული"), გაწვრთნილობაზე ("ელვისებური") ან გარეგნულ ნიშნებზე ("ალაუდები") მიუთითებდა. ლეგიონერების შეიარაღება უნიფიცირებული იყო: მათ ჰქონდათ მძიმე საჭურველი, რკინის ან ბრინჯაოს მუზარადი, ლოყის საცავე ფირფიტებით, სახის დასაცავად. ტანზე ეცვათ მუხლამდე სიგრძის ჯაეშნიანი პერანგი, ფარები მართკუთხედის მოყვანილობისა, ბრინჯაოს ფურცლით დაფარული, შუბები, რომლის სიგრძე 65-75 სმ-ს აღწევდა. ხელჩართული ბრძოლისათვის გამოიყენებოდა ორლესული, რომულწვეერიანი, ფართოტანიანი მახვილები (gladius), რომელთა პირი 44-55 სმ შორის მერყეობდა. ფეხზე ეცვათ "სანდლები" (caligae), რომელთა სქელი ლანჩები რკინის ლურსმნებით იყო მოჭვდილი.

ლიმესი (ლათ. Limes – საზღვარი) რომის იმპერიის საზღვარი, ერთმანეთთან საგანგებოდ ნაგები გზებით დაკავშირებული ციხესიმაგრეთა სისტემა. კლასიკური ტიპისა იყო ბრიტანეთის, ზემოგერმანიის, რეციის, ადრიანესა და ანტონინუს პიუსის დროინდელი ლიმესები, რომლებიც ახ.წ. 260 წლამდე ფუნქციონირებდნენ. პანონიის, დაკიისა და მეზიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მათ სასაზღვრო პუნქტებში აშენდა მრავალრიცხოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობანი. იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციის საზღვრების ხშირი ცვლილებების გამო, აქ ლიმესის სისტემა არ შექმნილა. აგალითად, ეგვიპტეში ლიმესი არ არსებობდა. ასევე აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, რომლის თავდაცვითი სისტემა პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზად იწოდება.

მთელ რიგ ქვეყნებში ფუნქციონირებს სპეციალური სამეცნიერო დისციპლინა ლიმესოლოგია, რომელიც სწავლობს რომის იმპერიის თავდაცვით ნაგებობათა ტიპებსა და მათ ფუნქციებს.

ლიტიცინები (ლათ. Liticini - მესაყვირე) კავალერიის მესაყვირენი.

ლიტუსი (ლათ. Lituc - საყვირი) გრძელი და სწორი საყვირი, რომელსაც ცხენოსნები იყენებდნენ.

ლიქტორი (ლათ. Lictor) მაღალჩინოსნების პირადი დაცვა. მაგ.: ლიქტატორს 25 ლიქტორი იცავდა. ისინი უმეტესად დაბალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ.

ლორიკა (ლათ. Lorica - ჯავშანი) რომაულ სამყაროში ჯავშანი მზადდებოდა ლითონის, სელის ქსოვილისა და ტყავისაგან. ცნობილია ოთხი ტიპის ჯავშანი: Lorica squamata - "ქერცლისებური," Lorica hamata - "ჯაჭვის პერანგი", Lorica segmentata - "კრამიტისებური," Lorica plumata "ბუმბულისებური". ისინი დამაგრებული იყვნენ ტყავის ან სელის სქელ ქსოვილზე და საიმედოდ იცავდნენ მეომრის სხეულს.

მაგისტერ ეკუიტუმი (ლათ. Magister equitum - კავალერიის მეთაური) რომის რესპუბლიკის ხანაში ლიქტატორის თანაშემწე; იმპერიის დროს ცხენოსანთა რაზმის მეთაური.

მაგისტერ მილიტიუმი (ლათ. Magister Militum - სამხედრო მეთაური) კონსტანტინე I დროს დაწესდა. ქვეითებისა და კავალერიის მთავარსარდალი.

მანიპული (ლათ. Manipulus - მუჭა) ლეგიონის ქვეითი შენაერთი. ლეგიონის შემადგენლობაში შედიოდა 10 მანიპული, რომელიც თავის მხრივ 2 ცენტურიად იყოფოდა და ლეგიონის მცირე ტაქტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მეორე პუნიკური ომიდან ლეგიონი 10 კოჰორტისა და 30 მანიპულისაგან შედგებოდა. მანიპულის მეთაური იყო ცენტურიონი. ადრიანეს დროიდან მანიპული გაუქმდა და ის ცენტურიამ შეცვალა.

მანუბია (ლათ. Manubiae - ნადავლი) თავდაპირველად ყველა სახის სამხედრო ნადავლს ეწოდებოდა. მოგვიანებით ნადავლის იმ ნაწილს, რომელსაც მხედართმთავარი მეომრებს უნაწილებდა. დანარჩენი ნაწილი (praeda) მეთაურის სრულ განკარგულებაში რჩებოდა.

მილიტია (ლათ. Militia) - სამხედრო სამსახური; სამხედრო ლაშქრობა.

მურუსი (ლათ. Murus – კედელი) სასიმაგრო კედლები. ფილონ ბიზანტიელის რეკომენდაციით, სასიმაგრო კედლის მაქსიმალური სისქე 10 ლოკტი – 4,45 მ უნდა ყოფილიყო.

ნავის პრეფექტუსი (ლათ. Navis Praefectus) საბრძოლო ხომალდის მეთაური, კაპიტანი.

ნუმერები (ლათ. Numero – სწრაფი) პოლიციის ნაწილები. აუგუსტუსის დროს პოლიციის ნაწილები 1000 ჯარისკაცისაგან შედგებოდა.

ოვაცია (ლათ. Ovacia) მცირე ტრიუმფი. ასეთ დროს ტრიუმფატორი, სენატორების თანხლებით, ცხენით ან ფეხით მიდიოდა.

ონაგრი (ბერძ. Onagri – გარეული ვირი) ქვისსატყორცი მანქანა. ონაგრი, ისევე როგორც სხვა ტიპის ქვისსატყორცი მანქანები გამოიყენებოდა მტრის ცოცხალი ძალის და მისი სააღყო მოწყობილობის წინააღმდეგ. საველე პირობებში მათ ფართოდ ვერ იყენებდნენ. ქვისსატყორცი მანქანებს იყენებდნენ, როგორც ქალაქის დამცველები, ასევე თავდამსხმელები. ისროდნენ 300-400 მ-ზე.

ოპტიონები (ლათ. Optionii) ცენტურიონებისა და დეკურიონების თანამეძვეები.

ორბისი (ლათ. Orbis – წრე) არმიის სამხედრო წყობა წრიულად, როცა მოწინააღმდეგე რომაელებს ალყაში მოაქცევდა.

პალუდამენტუმი (ლათ. Paludamentum) გრძელი სამხედრო ლაბადა, რომელსაც უპირატესად მხედართმთავრები ატარებდნენ.

პილუმი (ლათ. Pilum – შუბი) საშუალო ზომის სატყორცი შუბი. მისი მაქსიმალური სიგრძე 2 მ. აღწევდა, ხოლო წონა 2 კგ. პილუმის ტიპის იარაღი ვანის ნაქალაქარის ძეწ. I ს-ის ფენაშია აღმოჩენილი.

პლუტეუსი (ლათ. Pluteus) ხის დაწნული ან ფიცრული მოძრავი ფარი, რომელიც ლეგიონერებს მოწინააღმდეგის ზემოდან ნასროლი ცეცხლგამჩენი ისრებისაგან იცავდა.

პორტა (ლათ. Porta – კარი) სამხედრო ბანაკის კარები. მუდმივმოქმედ ბანაკებს ჰქონდა ოთხი კარი: Porta praetoria – პრეტორიანული კარი, რომელიც ავანგარდში მდებარეობდა; Porta decumana – დეკუმანის კარი – არიერგარდში; Porta principalis dextra et sinistra – პრინციპიის კარი, რომლებიც ბანაკის

ფლანგებზე იყო განლაგებული. კარები შიგნიდან იკეტებოდა და კომპეხით იყო დაცული.

პრეტორი (ლათ. Praeire – შინ მიმავალი, წინისკენ) რომის ადრერესპუბლიკის ხანაში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ძვ.წ. IV ს-დან სასამართლო ხელისუფლება გადასცეს. ცეზარის დროს პრეტორთა რაოდენობა 15-ს ითვლიდა, იმპერიის ხანაში – 18. Praetor unbanus კონსულის ფუნქციას ასრულებდა რომში მისი არყოფნის დროს. გარდა ამისა, მას უფლება ჰქონდა ერთი ლეგიონის მეთაურობისა. იმპერიის ხანაში პრეტორის თანამდებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

პრეტორიელები (ლათ. Praetorium, მცველთა რაზმი) საიმპერატორო გვარდიის მეომრები. მათ განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა იმპერატორმა აუგუსტუსმა; ჰქონდათ დიდი ხელფასი; კარგად იყვნენ გაწვრთნილნი; ხშირად ერეოდნენ პოლიტიკურ პროცესებში.

პრეტორიუმი (ლათ. Praetorium – მეთაურის, წინამძღოლის სახლი) სამხედრო შენაერთის მეთაურის რეზიდენცია, სახლი, რომელიც იღგა ბანაკის გზათა ღერძების გადაკვეთის ადგილას. პრეტორიუმს სამი კარი ჰქონდა. პრეტორიუმში განთავსებული იყო ხაზინა, კანცელარიის საცავი, საცხოვრებელი, სამზარეულო, სასადილო, იარაღისა და პროდუქტების საწყობი, მარანი, საკუჭნაო და სხვ.

